პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 24, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- ამხ. ა. ენუქიძის განცხადება საკავშირო ცაკის სესიის მნიშვნელობის შესახებ.
- გაიხსნა ესპანეთის ნაციონალური კრება.
- მექსიკის მთავრობის ჯარებმა ჩააქრეს კონტრ-რევოლიუციონერების აჯანყება.
- ბულგარეთ-სამხრეთ-სლავიის კონფლიქტი მოგვარებულათ მიაჩნიათ.
- გერმანიიდან საბჭოთა კავშირში ჩამოდის გლეხების დელეგაცია.
- ბერლინში დაიწყო ხეზე მომუშავეთა გაფიცვა.

ხუთშაბათი, 13 ოქტომბერი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 232 (1977)

თბილისის მე-VIII-ე სამაზრო-საქალაქო პარტკონფერენცია გაიხსნება 25 ოქტომბერს.

წარმომადგენლების ნორმა თბილისის პარტკონფერენციაზე ასეთია:

პარტიის 25 ნამდვილი წევრი ირჩევს ერთ დელეგატს, პარტიის 20 კანდიდატი კი ირჩევს ერთ დელეგატს სათათბირო ხმით.

დღის წესრიგი: 1) თბილისის კომიტეტის ანგარიში, 2) სარევიზიო კომისიის ანგარიში, 3) საქართველოს სახალხო მეურნეობა და მისი განვითარების პერსპექტივები, 4) მუშათა კოოპერაციის მდგომარეობა და მისი უახლოესი ამოცანები, 5) არჩევნები.

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი.

ჯანსაღი ბიუჯეტის გზით

ამჟამად მიმდინარეობს 1927—28 წლის ადგილობრივ ბიუჯეტების შედგენა, ბევრგან ეს მუშაობა უკვე დამთავრებულია და ბიუჯეტი განხილულია ადგილობრივ ორგანოების მიერ. რა სურათს იძლევა მიმდინარე წლის საბიუჯეტო მუშაობა? პირველყოვლისა აღსანიშნავია ერთი მეტად საგულისხმო დადებითი ხასიათის გარემოება. ეს ის, რომ ბიუჯეტის საერთო ჯამი ყოველწლიურად იზრდება როგორც რესპუბლიკანური, ისე ადგილობრივი მასშტაბით, რაიც ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ჩვენ წინ მივდივართ შეუჩერებლათ სამეურნეო და კულტურულ-ადმინისტრატიულ აღმშენებლობის გზით.

ამასთან ერთად უნდა, აღინიშნოს მეორე არანაკლებ საგულისხმო ფაქტი. 1927—28 წლის ადგილობრივი ბიუჯეტები ბევრ შემთხვევაში უდეფიციტოა. ეს ჩვენს საბიუჯეტო მუშაობაში დიდ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს. ადგილობრივ მუშაკებმა ისწავლეს არა მარტო თანხების მიზანშეწონილად გამოყენება, არამედ არსებულ საშემოსავლო წყაროების გაძლიერება და ახალის გამოძებნაც.

მაგრამ ჩვენ ამ მიღწევებზე ვერ შევჩერდებით, საბიუჯეტო მუშაობაში არის მთელი რიგი მნიშვნელოვანი დეფექტებისა, რომელთა აღმოფხვრისაკენაც უნდა იქნას მიმართული ჩვენი ყურადღება ახალი ბიუჯეტების შედგენის დროს. ამ დეფექტებს ჩვენ ვხედებით ბიუჯეტის როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში.

ძირითადი ხაზი, რომელიც აღებულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ საბიუჯეტო პოლიტიკაში, იმაში მდგომარეობს, რომ გაძლიერებულ იქნას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი წარმოების და სხვა არასაგადასახადო ხასიათის წყაროების საშუალებით, რომ ამ გზით სახელმწიფოს შესაძლებლობა მიეცეს კიდევ უფრო შეუმსუბუქოს მუშა-მოსამსახურეთა მასებს და მშრომელ გლეხკაცობას საზოგადო მოვალეობა. ეს ძირითადი ხაზი ერთნაირად დამახასიათებელია როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის. მაგრამ მთავარი აქ ისაა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენი ადმინისტრატიულ-სამეურნეო ორგანოები ხვადასხვა ადგილობრივ პირობების გამო (სუსტად განვითარებული მრეწველობა, აღებ-მიცემობის განვითარება და სხვა) ვერ პოულობენ საშუალებას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის არასაგადასახადო წყაროებით გასაძლიერებლათ. ასეთ შემთხვევაში ჯანსაღი ბიუჯეტის შედგენა დამოკიდებულია არა მარტო ადგილობრივ მუშაკების უნარზე და გარჯილობაზე, არამედ იმ ეკონომიურ პირობებზე რომელიც დამახასიათებელია ამა თუ იმ ადმინისტრატიულ ერთეულისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს მეორე გარემოებაც. ეს ის, რომ ზოგიერთ შემთხვევაში უდეფიციტო ადგილობრივი ბიუჯეტის მიღწევა შესაძლებელია საგადასახადო შემოსავლის შემცირების შემთხვევაშიაც, მაგრამ ეს ასე არ ხდება ჩვენ მხედველობაში გვაქვს ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის მოწესრიგების საქმე. ბიუჯეტის უდეფიციტობა დამოკიდებულია არა მარტო საშემოსავლო წყაროების გაძლიერებაზე, არამედ ის ამდენადვე დამოკიდებულია საგასავლო ხარჯების რაციონალურად მოწესრიგებაზედაც. როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ ადგილებზე? საბიუჯეტო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მიუხედავად საერთო გაჯანსაღებისა, ამ დარგში მაინც ადგილი აქვს საგასავლო ნაწილის მოუწესრიგებლობას.

ჯერ კიდევ წარსული წლის ბიუჯეტების შედგენის დროს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოების მიერ მიცემული იყო დირექტივა ადმინისტრატიულ ხარჯების შეკვეცისა და სამეურნეო-საწარმოო-კულტურულ ხარჯების გაძლიერების შესახებ. ეს დირექტივა ჩვენმა ადგილობრივმა ორგანოებმა ზოგიერთ შემთხვევაში უკუღმა გაიგეს. ადმინისტრატიულ ხარჯებმა არა თუ დაიკლო, პირიქით, თუმცა უმნიშვნელოდ, მაგრამ ეს ხარჯები ჩვენში კიდევაც გაიზარდა.

დღეს ისეთი მდგომარეობა გვაქვს, რომ ბიუჯეტებში ბევრ შემთხვევაში ადმინისტრატიულ ხარჯებს ისევ დიდი ადგილი უჭირავს და, რასაკვირველია, ამის შესაფერისად შეკვეცილია ადგილობრივ მეურნეობის და კულტურულ საჭიროებისათვის ნავარაუდევი ხარჯები. ასეთი მდგომარეობა მოსათმენი არაა.

ადმინისტრატიული ხარჯები უნდა შემცირებულ იქნას მინიმუმამდე. ეს მით უფრო ეხლა, როცა პარტია ჩვენს წინაშე სვამს საკითხს ადმინისტრატიულ ხარჯების 20 პროცენტით შემცირების შესახებ. ამ მხრივ ჩვენს ადგილობრივ ორგანოებში ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეიძლება.

ადმინისტრატიულ ხარჯების შემცირების გზით უნდა გაძლიერებულ იქნას ხარჯები ადგილობრივ მეურნეობის, საგზაო მშენებლობის, და სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა საჭიროებისათვის.

დასასრულ საჭიროა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება. სახეში გვაქვს საბიუჯეტო დისციპლინის განმტკიცება განსაკუთრებით, ბიუჯეტების შედგენის დროს უნდა გავიხსენოთ, რამდენად უფრო რეალურია და ცხოვრებასთან დაახლოვებულია ბიუჯეტი, მით უფრო მეტი გარანტიაა იმისი, რომ ის უცვლელად და სავსებით იქნება შესრულებული.

ჩვენი საერთო სამეურნეო და კულტურული ზრდა კარგ ნიადაგს იძლევა ჯანსაღ და მტკიცე ბიუჯეტის შექმნისათვის. ამ პირობების სათანადოდ გამოყენება ადგილობრივ ორგანოების ფხიანობაზეა დამოკიდებული.

ჰამბურგისა და კენიგსბერგის გაკვეთილები

სწორედ მას შემდეგ, რაც გერმანიის პრეზიდენტი ჰინდენბურგი მოგზაურობდა გერმანიაში და გამოდიოდა ნაციონალისტური სიტყვებით, სწორედ მაშინ, როდესაც მემარჯვენე პრესამ გააჩაღა შოვინისტური კამპანია, მოულოდნელად ჰამბურგსა და კენიგსბერგში გერმანიის მმართველმა წრეებმა მიიღეს უნდობლობის აშკარა ვოტუმი. როგორც ისეთ დიდ სამრეწველო ცენტრში, როგორიცაა ჰამბურგი, ისე გერმანიის რეაქციის ისეთ კლასიკურ პროვინციაში, როგორიცაა აღმოსავლეთი პრუსია, მემარჯვენე პარტიებმა, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო აპარატი მათ ხელშია, არჩევნებში განიცადეს სერიოზული დამარცხება. ჰამბურგში ბურჟუაზიულ ბლოკის პარტიებმა, ნაცვლად ხმების 50 პროცენტისა, რომელიც მათ მიიღეს 1925 წელში, ახლა შეჰკრიბეს მხოლოდ 45 პროც., კენისგსბერგში კი ნაცვლად 57 პროცენტისა —44 პროც.

ამრჩეველთა მასების გამემარცხენება გამოიხატა, როგორც სოციალ-დემოკრატიის, ისე კომუნისტური პარტიის გაძლიერებაში. 1925 წლიდან ამ ორი პარტიის მონაწილეობა ხმების საერთო რაოდენობაში გაიზარდა ჰამბურგში 48,3 პროცენტიდან 53,4 პროცენტამდე და კენიგსბერგში 37 პროცენტიდან 52 პროცენტამდე. ამჟამად ამ პარტიებს ერთად აქვთ ხმების უმრავლესობა ჰამბურგის და კენიგსბერგის თვითმართველობებში.

ეს ფაქტი განსაკუთრებული დაბეჯითებით აყენებს კომპარტიის წინაშე ერთიან ფრონტის ტაქტიკის გატარების ამოცანას. რომ სოციალ-დემოკრატია ნამდვილად იყოს მუშათა პარტია, ამჟამად ორ დიდ ქალაქის თვითმმართველობებზე დაყრდნობით შესაძლებელი იქნებოდა სერიოზული ბრძოლის წარმოება მთელ რიგ ზომებისათვის, რომლებიც არსებითად აუმჯობესებენ მუშების მდგომარეობას და არყევენ გერმანიის კაპიტალიზმს: 8 საათის სამუშაო დღისათვის, სამუშაო ხელფასის გადიდებისათვის, რეაქციონურ „სასკოლო კანონის“ გაუქმებისათვის, ბურჟუაზიის გახედულად დაბეგვრისათვის, პროლეტარიატის მებრძოლთა საპყრობილეებიდან განთავისუფლებისათვის, ბურჟუაზიულ მთავრობის დამხობისათვის, გერმანიაში მუშათა მთავრობის შექმნისათვის. ამ მოთხოვნილებების წარდგენით კომუნისტები ერთხელ კიდევ აიძულებენ სოციალ-დემოკრატიას უჩვენოს თავისი სახე მუშათა მასებს: ვისთან არის ის—მუშათა კლასთან, თუ იმპერიალიზმთან მუშათა კლასის წინააღმდეგ. როგორ კოალიციას ემხრობა ის—რევოლუციონურ პროლეტარიატის პარტიასთან, თუ ბურჟუაზიულ პარტიებთან.

გამოცდილება უდავოდ გვარწმუნებს, რომ სოციალ-დემოკრატია ძველებურად არჩევს კოალიციას ბურჟუაზიასთან და ამით მარცხნივ კომუნისტებისაკენ გადახრის პროლეტარიატის ახალ ფენებს, რომლებსაც თვალი აეხილებათ სოციალ-დემოკრატების გამცემლობაზე.

პროლეტარულ ქვეყანაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ აღმართულ ბარიკადებთან სდგას მხოლოდ კომუნისტური პარტია. ამიტომ ყველაზე უფრო დიდ და მნიშვნელოვან ფაქტს, რომელიც გამოირკვა არჩევნების დროს, წარმოადგენს ის, რომ, როგორც აღმოჩნდა, მასების გამემარცხენების პროცესში კომუნისტური პარტია უფრო სწრაფად ძლიერდება, ვიდრე სოციალ-დემოკრატია.

მართალია, კენიგსბერგში 1925 წლიდან პროცენტულად უფრო გაიზარდა სოციალ-დემოკრატია, მაგრამ ამ მატებამ, რომელიც მათ მიიღეს იქ ბურჟუაზიულ პარტიების ხარჯზე. მაინც ვერ მისცა მათ იმაზე მეტი ხმები, რაც აქვს კომუნისტებს. კომუნისტური პროლეტარული პარტია ხმების რაოდენობით იქ სდგას მეორე ადგილზე სახალხო პარტიის“ შემდეგ, რის გამო მთელმა გერმანიის პრესამ ასტეხა განგაში. რაც შეეხება ჰამბურგს, სადაც არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ექვს-შვიდჯერ მეტმა ამომრჩევლებმა და სადაც ამიტომ არჩევნები უფრო დამახასიათებელია. კომპარტიამ, რომელსაც 1925 წელში ჰქონდა ყველა ამომრჩეველთა მხოლოდ 13,33 პროც., ახლა მიიღო 17,1 პროც. მაშინ, როდესაც სოციალ-დემოკრატია თითქმის არაფერი მომატებია ხმების საერთო რაოდენობის თავის ნაწილზე. 1925 წელში ჰქონდათ 35 პროც., ახლა კი—36,3 პროც. ამრიგად—იმპერიალისტურ წრეების დამარცხება, „პაციფისტურ“ სოციალ-იმპერიალისტურ წრეების რამოდენიმედ გაძლიერება და კომპარტიის კიდევ მეტი გაძლიერება—ასეთია ჰამბურგისა და კენიგსბერგის არჩევნების ძირითადი შედეგები.

ეს ფაქტები ბრწყინვალედ აქარწყლებს იმ ლიკვიდატორულ ურწმუნოებას, რომლითაც არის მოწამლული ჩვენი ოპოზიცია დასავლ. ევროპის მუშათა მოძრაობის მიმართ. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ცეკას და ცენტ. საკონტროლო კომისიის პლენუმზე ტროცკი ამტკიცებდა, რომ ჩვენ თითქოს „ვამჩნევთ, რომ უკანასკნელ ხანებში მთელს ევროპაში სოციალ-დემოკრატია ძლიერდება „კომუნისტური პარტიის ხარჯზე“. ეს მტკიცება სავსებით შეეფერება ოპოზიციის მთელ ლიკვიდატორულ განწყობილებას, მაგრამ, როგორც ჩვენ ვხედავთ, სრულიადაც არ შეეფერება სინამდვილეს.

მუშათა კომუნისტური მოძრაობა დასავლეთ ევროპაში სრულიადაც არ კლებულობს, არამედ ფართოვდება, ის სრულიადაც არ განიცდის პოლიტიკურ „მწუხრს“. კომუნისტურ პარტიის „ხარჯზე“, არა თუ არავინ სხვა არ ძლიერდება, არამედ პირიქით, ის ძლიერდება უწინარეს ყოვლისა უპარტიო და სოციალ-დემოკრატიულ მუშების ხარჯზე (დიდი ხანი არ არის, მაგალითად, მას შემდეგ, რაც ლისაუდან—დანციგის ოლქი იუწყებოდენ, რომ მთელი სოციალ-დემოკრატიული რაიონი, რომელიც შესდგებოდა შვიდი ადგილობრივი ჯგუფისაგან 220 წევრით, გადავიდა კომპარტიაში).

პროლეტარიატი იკრებს ძალებს გადამწყვეტ კონფლიქტისათვის კაპიტალისტურ წყობილებასთან. პროცესები, რომლებიც ხდება გერმანიაში, განსაკუთრებით საინტერესოა მიტომ, რომ გერმანიის კაპიტალიზმი ჯერ კიდევ არ გამოსულა სრულიად განსაკუთრებული ტემპის სამეურნეო აღორძინების ხანიდან. თუ ამ აღორძინების დროს ჩვენ ვამჩნევთ გამემარცხენების ისეთი დამახასიათებელ ფაქტებს, როგორიც იყო რევოლიუციონურ მუშების გიგანტური დემონსტრაციები წითელ ფრონტელების დღეს და საკოს და ვანცეტის დასჯის დღეებში (დემონსტრაციები, რომლების თანაბარი გერმანიას აღარ ახსოვს 1923 წლიდან), თუ ახლა ჰამბურგის არჩევნებში კომპარტია აღიდებს მის მიერ მიღებულ ხმების რაოდენობას 1925 წელთან შედარებით და იწყებს ხმების იმ „სარეკორდო“ რაოდენობის აღდგენას, რომელიც ჰქონდა წინანდელ არჩევნებში, როდესაც კიდევ სავსებით არ იყო ჩამქრალი რევოლიუციონურ დროის ქუხილი. ყველაფერი ეს ნიშნავს იმას, რომ მომავალ სამეურნეო და პოლიტიკურ კრიზისის დღეებში გერმანიის კომპარტია უკვე აღარ იქნება ისეთი, როგორიც იყო 1923 წელში და უფრო ადრე. ის იქნება ასჯერ უფრო ძლიერი და გავლენიანი. ამასთანავე იმ გამარჯვებამ, რომელიც მან ასე ადვილად მოიპოვა ულტრა-მემარცხენე მოღალატეებზე, ჩამოიშორა რა ისინი თავის გზიდან, განუზომლათ გააძლიერა ის იდეოლოგიურად და შეაიარაღა ლენინიზმის პრინციპებით.

გერმანიის მეურნეობის კრიზისი კი, როგორც სჩანს, უკვე აღარაა შორს. მას ითვალისწინებენ და მასზე უკვე აშკარად ლაპარაკობენ გერმანიის ბურჟუაზიული ეკონომისტები. ისინი შეთანხმებული არიან იმ აზრში, რომ აღორძინების მრუდემ მიაღწია თავის კულმინაციურ წერტილს და დავობენ ერთმანეთს შორის მხოლოდ იმის შესახებ, თუ რა ფორმებში და როგორი სიღრმით მოხდება ეს კრიზისი.

საღამოს „მწუხრს“ განიცდის ევროპის პროლეტარიატი კი არა, არამედ ევროპის კაპიტალიზმი. კომუნისტურ ინტერნაციონალს და მის პარტიებს იმედიანად შეუძლიათ უცქირონ მომავალს.

„პრავდა“, 12 ოქტომბერი.

მუშა და გლეხ-დეპუტატ ქალების საკავშირო ყრილობა

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა

ამხ. კალინინის მოხსენება

მოსკოვი, 12 ოქტომბერი. ამხ. კალინინმა თავისი მოხსენება დაიწყო განვლილ რევოლიუციონური გზის მიმოხილვიდან და აღნიშნა, რომ 10 წლის წინად დასავლეთ ევროპის ბევრი კაპიტალისტური ქვეყნის პროლეტარიატი მზად იყო ხელისუფლების დასაპყრობად და ზოგან დროებით მოიპოვა კიდეც ძალა-უფლება. მაგრამ, მიუხედავად პროლეტარიატის დამარცხებისა მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში, საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა მიაღწიეს უდიდეს გამარჯვებას და განამტკიცეს ეს გამარჯვება. საერთაშორისო პროლეტარიატმა რუსეთის მუშებისა და გლეხების გამარჯვება თავის საკუთარ საქმეთ გამოაცხადა. საბჭოთა რესპუბლიკა იქცა გზის მაჩვენებელ—ჩირაღდნად კაპიტალის ყველა მონებისათვის. და ამიტომ გასაკვირიც არაა, რომ იმ მომენტიდან, როცა რუსეთის მუშათა კლასმა გაიმარჯვა, საერთაშორისო ურთიერთობაში მოხდა უდიდესი მანამდე წარმოუდგენელი ცვლილებები. ყველა ბურჟუაზიულმა სახელმწიფოებმა დაიწყეს გააფთრებული კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამხ. კალინინმა ყრილობას მოაგონა ინტერვენციები, რომლებიც მარცხით დამთავრდა იმიტომ, რომ რევოლიუციონური არმიების წინაღმდეგობა უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ინტერვენტები ფიქრობდენ, ხოლო საბჭოთა კავშირისადმი სიმპატია თავდამსხმელ არმიებში—იმაზე უფრო დიდი, ვიდრე ჩვენ მტრებს ეგონათ. შემდეგ ადგილი ჰქონდა მთელ რიგ თავდასხმებს (ვოროვსკის მოკვლა, კერზონის ულტიმატუმი. ურთიერთობის გაწყვეტა ინგლისთან. თავდასხმა ჩვენს საელჩოზე პეკინში (და ვოიკოვის მოკვლა) და, ბოლოს დაიწყო სასტიკი კამპანია ამხ. რაკოვსკის წინააღმდეგ. მიუხედავად ყოველივე ამისა,—სთქვა ამხ. კალინინმა,—საბჭოთა კავშირი იზრდება და მტკიცდება და მისი როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო ასპარეზზე უსათუოდ ძლიერდება. კაპიტალისტური ქვეყნების საბჭოთა კავშირისადმი დამოკიდებულების უფრო თვალსაჩინო ილიუსტრაციისათვის გამოდგება ინგლისისა და საფრანგეთის დამოკიდებულება ჩვენდამი. ინგლისის კონსერვატიულ მთავრობას არსებულ მდგომარეობაში არ შეუძლია პირდაპირ გამოილაშქროს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ვინაიდან ასეთ ნაბიჯს წინააღუდგებოდენ ინგლისის მოსახლეობის მასები, მუშები, გლეხები და წვრილი ბურჟუაზია, ამიტომ ინგლისის კონსერვატორები საბჭოთა კავშირის წინაღმდეგ სხვა მანევრებს მიმართავენ. ეს მანევრები იმაში მდგომარეობს, რომ ინგლისის კონსერვატორები საბჭოთა კავშირთან ახალ-ახალ კონფლიქტებს ქმნიან და უკიდურესათ ამწვავებენ მათ. ეს განზრახ ხდება, რომ ინგლისის ობივატელურ მასას დაანახვონ, რომ თითქოს საბჭოთა კავშირთან მშვიდობიანი და კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება შეუძლებელია.

გვიწყობენ რა ამ კონფლიქტებს. კონსერვატორები მუშებსა და მოსახლეობის სხვა ფენებს აჩვევენ, რომ ამ კონფლიქტებს, როგორც ხშირ მოვლენას, უფრო ნაკლები ეჭვით და მეტი უდარდელობით მოეკიდონ. ხოლო როცა ინგლისის ხალხი არ იგრძნობს ამ კონფლიქტების საშიშროებას, მაშინ ისარგებლებენ მომენტით და ინგლისის მოსახლეობას უკვე მომხდარი ფაქტი, ე. ი. ომის წინაშე დააყენებენ. აი რაში მდგომარეობს ინგლისის პოლიტიკის ძირითადი მხარე. ამის წინააღმდეგ იბრძვის საბჭოთა მთავრობა. ის მონდომებულია, რომ ომი არ მოხდეს, მას გულწრფელადა სურს მშვიდობიანობა.

საფრანგეთის მთავრობასთან ჩვენ ორი წლის განმავლობაში ვაწარმოებთ მოლაპარაკებას, როგორც კი საფრანგეთის მემარჯვენეებმა იგრძნეს, რომ მოახლოვებულია შეთანხმების დადება საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის შორის მათ მაშინვე გააჩაღეს გააფთრებული კამპანია. ჩვენი სრულუფლებიანი წარმომადგენლის ამხ. რაკოვსკის წინააღმდეგ, ხელზე დაიხვიეს რა მისი ხელმოწერა ცნობილ ოპოზიც.-ურ დოკუმენტზე. ეს თავიდან ბოლომდე პირფერული კამპანია არსებითად სწარმოებს არა სრულუფლებიან წარმომადგენლის პიროვნების წინაღმდეგ. არამედ საფრანგეთ-საბჭოთა ხელშეკრულების დადების წინაღმდეგ.

რატომ სთქვეს უარი მემარჯვენეებმა ორთავე მხარეთათვის—საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთისათვის—ხელსაყრელ შეთანხმებაზე? აკი ჩვენ თანახმა ვართ გადავიხადოთ წელიწადში ომის წინა დროის ვალების ანგარიშში 60 მილ. ფრანკი. საქმე იმაშია, რომ საბჭოთა კავშირის მიერ სახელმწიფოსთან დადებული ყოველი ხელშეკრულება ამცირებს კონფლიქტების რიცხვს საბჭოთა კავშირთან. საფრანგეთის მემარჯვენეები კი სწორედ საბაბს ეძებენ კონფლიქტებისათვის, მათ სურთ ისეთი მდგომარეობის შექმნა, რომელიც მუდამ სახელს გაუტეხავდა საბჭოთა წყობილებას. აი, რატომ არის. რომ საბჭოთა მთავრობა მოუწოდებს ყველა ქვეყნის მოსახლეობას სიფხიზლისაკენ, რომ მზად იყოს ყოველ შემთხვევისათვის.



შემდეგ ამხ. კალინინმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ გერმანიასთან ურთიერთობა ორთავე ქვეყნისათვის დადებით შედეგებს იძლევა. აღმოსავლეთის ქვეყნებთან სულ უფრო და უფრო მჭიდრო ეკონომიურ კავშირს ვამყარებთ. ამ მიზანს ემსახურება ჩვენ მიერ ამას წინად სპარსეთთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულებაც. მიუთითა რა ამ ფაქტებზე, ამხ. კალინინმა აღნიშნა, რომ იმ ქვეყნებს. რომლებიც არ ფიქრობენ საბჭოთა კავშირის შინაურ ცხოვრებაში ჩარევას, შეუძლიათ იქონიონ ჩვენთან ხანგრძლივი ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა. განვლილ 10 წლ. განმავლობაში საბჭოთა მთავრობა მტკიცედ იბრძოდა მშვიდობიანობისათვის. მთელ ამ 10 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირი ყოველთვის მხარს უჭერდა სუსტ ხალხებს და იმ პოლიტიკამ, რომელსაც საბჭ. კავშირი ატარებდა საერთაშორისო ასპარეზზე, უეჭველად მოიპოვა და მომავალშიაც მოიპოვებს მთელი ქვეყნის მშრომელი კლასების თანაგრძნობას.

გადავიდა რა საბჭოთა კავშირის შინაურ მდგომარეობაზე ამხ. კალინინმა სთქვა:

„ზოგიერთებიდან შეიძლება გაიგონოთ კითხვა—რისთვის ვიბრძოდით? ეხლა მე მგონია, რომ უკვე შეიძლება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ბურჟუაზიული რევოლიუციები სპობდენ მხოლოდ ფეოდალიზმისა და ბატონყმობის ნაშთებს და ზოგიერთ შემზღუდავ კანონებს წარმოების დარგში. სოციალისტური რევოლიუცია გაცილებით უფრო რთული პროცესია. იმ მომენტიდან, როცა პროლეტარიატმა დაიპყრა ხელისუფლება, იწყება სოციალიზმის მშენებლობა. მაგრამ ეს მეტად მძიმე და რთული პრობლემაა, რაც ვერ შეუგნია ბევრ კომუნისტ ენტუზიასტსაც კი, რომლებიც ფიქრობენ, რომ მთავარი საქმეა ბრძოლის ველზე გამარჯვება, შემდეგ დანარჩენი საკითხები თავის თავად მოგვარდებაო. სოციალიზმი ჩვენ დღითი-დღე უნდა ვაშენოთ. ამ მუშაობაში იყვნენ ჩაბმული მუშები და გლეხები 10 წ. განმავლობაში. ეხლა მხოლოდ ბრმებს არ შეუძლიათ დაინახონ, თუ რამდენად შორს წავედით ამ 10 წელიწადში. თქვენ გახსოვთ, რომ ჩვენ მშიერ ულუფაზე დავიწყეთ სოციალიზმის შენება. ლენინგრადში, როცა ჩვენ ხელისუფლება დავიპყრეთ, მხოლოდ 2 დღის სამყოფი პური იყო. ჩვენ მტრებს ეგონათ, რომ ჩვენ ვერ გაუძლებდით და დავიღუპებოდით. სინამდვილემ გვიჩვენა, რომ ჩვენ არამცთუ აღვადგინეთ ჩვენი მეურნეობა ომის წინა დროის დონემდე, არამედ მოკლე ხანში კიდეც გადავაცილეთ ომის წინა დროის დონეს, ინგლისს კი ომის წინა დროის დონემდეც არ მიუღწევია.

ყოველივე ეს, ამხანაგებო, არის რევოლიუციის ნაყოფი, ათი წლის ბრძოლის ნაყოფი. ჩვენში ათი წლის განმავლობაში შეიქმნა მრავალი სხვა და სხვა წარმოება-დაწესებულება, რომლებიც მუშებსა და გლეხებს ემსახურებიან. აიღეთ საფ.-საქარხნო სკოლები, მუშფაკები, კურორტები, საბავ. ბაღები, რამდენადმე ჩვენ შეიძლება გვისაყვედურონ კიდეც, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მიღწევების დაფასება, რომ ჩვენ მეტად მცირე ყურადღებას ვაქცევთ შედეგებს. მე არ შეგაწუხებთ თქვენ ყოველივე იმის ჩამოთვლით, რასაც ჩვენ მივაღწიეთ. ეს ყრილობა ჩვენი რევოლიუციის შედეგების საუკეთესო დამამტკიცებელია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქალების თანაბარ-უფლებიანობის განხორციელებისა და მათი სოციალისტურ მშენებლობაში, კერძოდ, სახელმწიფო მშენებლობაში ჩაბმის საქმეში, იმდენი რამ გაკეთდა, რასაც ქალები წინად ორი საუკუნის განმავლობაშიც ვერ გააკეთებდენ.

მაგრამ ამასთანავე კიდევ ბევრი რამ დაგვრჩა გასაკეთებელი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად მშრომელების, მდგომარეობის ყოველი სერიოზული გაუმჯობესება, მშრომელთა, და განსაკუთრებით კი ქალების, კულტურული დონის ყოველი ოდნავ მაინც სერიოზული ამაღლება, არსებითად სოციალისტური მშენებლობაა.

ყოველი ახალი რკინის გზა, ყოველი ახალი ბაგა, ყოველი კულტურული კერა, ყოველი ახალი ელსანათური გლეხის ქოხში აახლოვებს ქალაქს სოფელთან, აახლოვებს სოციალიზმს. სოციალიზმის გამარჯვებაში იმიტომ ვართ დარწმუნებული, რომ სოციალიზმის მიღწევები და მისი მოახლოვება არის მუშათა კლასის და გლეხობის მდგომარეობის სისტემატიური გაუმჯობესება. ჩვენ დარწმუნებული ვართ სოციალიზმის გამარჯვებაში იმიტომ, რომ თვითეული მუშა და მუშა ქალი, რომელიც საზოგადოებრივ ასპარეზზე მუშაობს და ახალი ცხოვრების ფორმებს ამტკიცებს, აკეთებს სოციალისტურ საქმეს“.

კამათი ამხ. კალინინის მოხსენების გარშემო

მუშა და გლეხ-ქალების ყრილობის 11 ოქტომბრის დილის სხდომაზე სწარმოებდა კამათი ამხ. კალინინის მოხსენებას გარშემო.

დელეგატები, განსაკუთრებით გლეხი ქალები, თავის სიტყვებში დიდ ყურადღებას უთმობენ ქალის იმ ყოველდღიური ბრძოლის საკითხებს, რომელსაც ის აწარმოებს თავისი სრული განთავისუფლებისათვის.

კამათის დასრულების შემდეგ, საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. კალინინი, რომელმაც პასუხი გასცა კამათში აღძრულ ყველა მნიშვნელოვან საკითხებზე.

ყრილობა ამხ. კალინინს მქუხარე ტაშით აჯილდოებს და ოვაციებს უმართავს

მუშა-ქალების მონაწილეობა საბჭოების მუშაობაში

ამხ. ენუქიძის მოხსენება

საღამოს სხდომაზე საბჭოების და მასში მუშა და გლეხ ქალების მონაწილეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ენუქიძე.

ამხ. ენუქიძემ აღნიშნა, რომ მაშინ, როდესაც ყველა საბჭოთა ორგანოებში, დაწყებული სოფლის საბჭოთი და გათავებული ცაკით, 15 მამაკაცზე მოდის საშუალოდ ერთი წარმომადგენელი, 06 ქალზე მოდის 1 წარმომადგენელი. ქალების სრული თანასწორობა, სთქვა შემდეგ ამხ. ენუქიძემ—განხორციელდება მაშინ, როდესაც მთელი ეკონომიური წყობილება სავსებით მოსპობს იმ განსხვავებას ქალსა და მამაკაცს შორის, რომელიც დღეს არსებობს. მომავალში უფრო უნდა გაფართოვდეს ქალის მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მომავლის მთავარი ამოცანები შემდეგია: ქალაქის მონაწილეობა საბჭოთა მუშაობის ყველა დარგში, ქალების საყოველთაო მონაწილეობა არჩევნებში, საბჭოების შემადგენლობაში მუშა და გლეხ-ქალთა დღეს არსებული პროცენტის გადიდება და ქალების ჩაბმა სამეურნეო-ადმინისტრატიულ მუშაობაში.

თანამოხსენებით საბჭოს წევრების მუშა და გლეხ-ქალთა პრაქტიკული მუშაობის შესახებ გამოვიდა ამხ. **კალიგინა**, რის შემდეგ ყრილობამ მოისმინა ინგლისის მუშა-ქალთა დელეგაციის მისალმება. ყრილობამ მოისმინა აგრეთვე უკრაინის ცაკის სესიის, ლენინგრადის, კოსტრომის, ჩელიაბინსკის, ბელორუსიის და სხვა ქალაქების მუშა-ქალების მისალმება. (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

(ფრონტების მიხედვით)

ჩინეთის სამხედრო ფრონტებიდან ამჟამად მთავარ ყურადღებას იპყრობს პეკინისაკენ უშუალოდ მიმართული ფრონტი, სადაც შან-სის მფლობელის იენ-სი-შანის ჯარი შეტევას აწარმოებს მუკდენელების წინააღმდეგ. ეს ფრონტი დანარჩენებთან შედარებით ყველაზე უფრო ახლოს არის პეკინთან და უშუალოდ ემუქრება უკანასკნელს. იენ-სი-შანის ჯარებმა შეტევა დაიწყეს პეკინის წინააღმდეგ ორი მიმართულებით: კალგან-პეკინის და ტაი-იუან-ჩენ-დინ-პეკინის რკინის გზების ხაზებით. კალგან-პეკინის მიმართულებით იენ-სი-შანის ჯარმა დაამარცხა მუკდენელების ჯარი, აიღო კალგანი. წაიწია კიდევ წინ პეკინისაკენ და მიაღწია ქ. სუან-ხუს. აქედან რკინის-გზით პეკინამდე რჩებოდა მისავალი სულ 120—130 კილომეტრი. ასე, რომ საფრთხე უკვე პეკინის კარს იყო მიმდგარი. მეორე მიმართულებით, ე. ი. ჩენ-დინ-პეკინის რკ.-გზის ხაზით იენ-სი-შანის ჯარი აგრეთვე წარმატებით მოქმედობდა და იწევდა პეკინისაკენ. აქ მან მიაღწია ქ. ტინ-ჯოუს, რომელიც დაშორებულია პეკინს დაახლოვებით 200 კილომეტრით. ასე, რომ აქაც საფრთხე მეტად დაუახლოვდა პეკინს. იენ-სი-შანის ჯარების ასეთმა წარმატებამ პეკინში, რასაკვირველია, მთელი აურ-ზაური გამოიწვია და პეკინის ევაკუაციაზედაც კი დაიწყო ლაპარაკი.

მაგრამ როგორც ეტყობა ჩან-ძო-ლინს გადაწყვეტილი აქვს ყოველი ღონე იხმაროს და პეკინი შეინარჩუნოს ხელში. დღევანდელი დეპეშის ცნობით ჩან-ძო-ლინის ახალი, საკმაოდ ძლიერი ჯარები გადმოუყვანია ამ ფრონტისაკენ. ჩან-ძო-ლინის შვილი ჩან-სუე-ლიანი ატყობინებს თავის მამას, რომ მუკდენელების ჯარმა დაიბრუნა ტინ-ჯოუ (ჩენ-ტინ-პეკინის რკინის-გზით) და კალგანის მიმართულებით მისივე სიტყვით ხელუნციანის ჯარები და-ტუნისაკენ მიიმართებიან, რათა ზურგით შემოუარონ კალგანის მიმართულებით მოქმედ იენსი შანის ჯარებს. ხეილუნციანი მანჯურიის ჩრდილ. პროვინციაა. ამას წინად ცნობები იყო, რომ ამ პროვინციაში ჩან-ძოლინის განკარგულებით მობილიზაცია იყო გამოცხადებული და ჯარებს ჰკრებდნენ. და აი, ეხლა ეს ჯარი ვითომ გაჩენილა კალგანის მახლობლად. აღნიშნული და-ტუნი კალგანის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს, რკინის-გზის ხაზით, დაახლოებით 150—180 კილომეტრის სიშორეზე. თუ ეს უკანასკნელი ცნობა შემოვლის შესახებ სწორია და თუ მისი განხორციელება შესძლეს მუკდენელებმა, მაშინ მთელი ენ-სი-შანის ფრონტი მართლაც დიდს განსაცდელში ჩავარდება, რადგანაც და-ტუნი შან-სის პროვინციაში მდებარეობს და აქნობამდისინ მოსული მუკდენელების ჯარი უკვე დაემუქრება იენ-სი-შანის მთავარ ქალაქ ტაი-იუანს.

არა ერთხელ იყო გადმოცემული ცნობა, რომ იენ-სი-შანი მოქმედობს ფინ-იუი-სიანთან შეთანხმებით, მაგრამ ჯერჯერობით არა სჩანს, თუ რა დახმარებას უწევს უკანასკნელი პირველს, როდესაც იენ-სი-შანი ასეთ მედგარ შეტევას აწარმოებდა პეკინის წინააღმდეგ, ფინ-იუი-სიანი უძრავად იდგა და ეხლაც თითქოს გაჩერებულია. თითქოს ამ ორ გაიძვერა გენერლების როლები შეიცვალა. წინად როდესაც ფინ-იუი-სიანი მედგარ შეტევას აწარმოებდა აგრეთვე პეკინისაკენ, იენ-სი-შანი, მიუხედავად მასთან შეთანხმებისა, ადგილიდან არ იძროდა. ეხლა კი, როდესაც იბრძვის იენ-სი-შანი, ფინ-იუისიანის მოქმედების შესახებ არაფერი ისმის. და სწორედ ეხლა, როდესაც მუკდენელები მედგარ კონტრ-იერიშს აწარმოებენ იენ-სი-შანის წინააღმდეგ. ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს უკანასკნელთათვის ფინ-იუი-სიანის აქტიურ დახმარებას.

ი. გედევანიშვილი.

ამხ. რაკოვსკის გაწვევის მოთხოვნის გარშემო

მიწერ-მოწერა ამხ. ჩიჩერინსა და ერბეტს შორის

ამხ. ჩიჩერინის წერილი ერბეტს, 4 ოქტომბრის თარიღით

მოსკოვი, 12 ოქტომბერი. „ბატონო ელჩო! გარეშე საქმეთა სახ. კომისარის მოადგილე ლიტვინოვმა მოახსენა საბჭოთა მთავრობას შინაარსი თქვენი სიტყვიერი განცხადებისა, რომლითაც მიმართეთ თქვენ მას თქვენი მთავრობის სახელით პირველ ოქტომბერს საფრანგეთის მთავრობის მოთხოვნილების შესახებ, რომ რაკოვსკი გამოწვეული ყოფილიყო სრულუფლებიან წარმომადგენლის თანამდებობიდან. თქვენი განცხადება, საბჭოთა მთავრობის აზრით ეხება ორივე ქვეყნის ურთიერთობის უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს. რაკოვსკის გამოწვევა წარმოადგენს საბჭოთა მთავრობისათვის იმდენად არასასურველ და აუხსნელ მოვლენას იმ წარმატებათა თვალსაზრისით, რომლებიც, რაკოვსკის წყალობით უკვე მიღწეულია ვალების გარშემო შეთანხმების საქმეში. ეს იმდენად საშიში მოვლენაა ორივე ქვეყნის მთელ მოლაპარაკების საქმისათვის როგორც ვალებისა და კრედიტების საკითხებში, ისე აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან საკითხებში, რის შესახებაც გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატმა არა ერთხელ გაგიცხადათ თქვენ, — რომ საბჭოთა მთავრობას უძნელდება მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება, თუ მის განკარგულებაში არ იქნა სწორად ჩამოყალიბებული ის მომენტი, რომლებმაც უკარნახა საფრანგეთის მთავრობას ამ მოთხოვნილების წარმოდგენა. ამის გამო პატივი მაქვს გთხოვოთ წერილობითი სახით გამოგზავნოთ თქვენი მთავრობის სახელით საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება და ის საფუძვლები, რომლებმაც გამოიწვია ამ გადაწყვეტილების მიღება. ნათხოვნ წერილობითი მოთხოვნილების მიღების შემდეგ არ დავაყოვნებ ვაცნობო თქვენი მთავრობის გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმს“.

ერბეტის წერილი ამხ. ჩიჩერინს, 7 ოქტომბრის თარიღით

„ბ-ნო სახალხო კომისარო! იმ სურვილის თანახმად, რომელიც თქვენ გამოსთქვით წერილში 4 ოქტომბრის თარიღით, პატივი მაქვს ჩემი მთავრობის დავალებით წარმოგიდგინოთ შემდეგი წერილობითი ცნობა: ბ. რაკოვსკის მიერ 9 აგვისტოს დეკლარაციაზე ხელმოწერა, რომლის თანახმად „საბჭოთა კავშირთან ომის შემთხვევაში კაპიტალისტურ ქვეყნების პროლეტარებმა უნდა იმუშაონ თავის მთავრობის დასამარცხებლად და უცხოელი ჯარისკაცები უნდა გადავიდენ წითელი არმიის მხარეზე“, წარმოადგენდა საბჭოთა მთავრობის მიერ, 1924 წლის 29 ოქტომბერს, საფრანგეთის მთავრობისაგან მისი ცნობის მომენტში თავის თავზე აღებულ ვალდებულებათა აშკარა დარღვევას შინაურ საქმეებში ჩაურევლობის შესახებ. ამ დეკლარაციამ გამოიწვია საფრანგეთში მეტად ძლიერი, კანონიერი აღშფოთება და რესპუბლიკის ელჩს მოსკოვში დაუყოვნებლივ დაევალა მიეღწია ამ დოკტრინის გაბათილებისათვის და განეცხადებია, რომ საფრანგეთის მთავრობას არ შეუძლია დაუშვას საბჭოთა მთავრობის კვალიფიციურ წარმომადგენლის მხრივ ისეთი გამოსვლა, რომელიც ესოდენ შეუფერებელია მის ვალდებულებებთან.

საფრანგეთის ელჩის მიერ გადადგმულ ნაბიჯების შედეგათ საბჭოთა მთავრობამ 29 აგვისტოს დააკმაყოფილა საფრანგეთის მთავრობის მოთხოვნილება. ამის შემდეგ საფრანგეთის მთავრობას საფუძველი ჰქონდა ეფიქრა, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა გააკეთებდა ბუნებრივ დასკვნას ამ გაბათილებიდან და გაიწვევდა თავის სრულუფლებიან წარმომადგენელს, რომლის მორალური ავტორიტეტი ამ ხნიდან აღმოჩნდა ძლიერ შელახული. მაგრამ, ამავე დროს, ხელმეორედ დაარღვია რა ის თავდაჭერილობა, რომელსაც ავალებდა მას მისი თანამდებობა, რაკოვსკიმ გაგზავნა პრესაში მიუღებელი ცნობები რუსეთის ვალების მოწესრიგების შესახებ იმ მიზნით, რათა აღედგინა კერძო ინტერესები საფრანგეთის მთავრობის დირექტივების წინააღმდეგ. ამ დეკლარაციებმა, რომლებმაც გამოიწვია ფორმალური უარყოფის გამოქვეყნება, აღძრა რესპუბლიკის მთავრობასა და საბჭოთა ელჩის შორის პარიზში პოლემიკა, რომელსაც არ შეეძლო გაეხადა რაკოვსკი კვალიფიციურ პირად და სასურველად დაებოლოებია ის მნიშვნელოვანი საქმეები, რომელიც სწარმოებს ორივე მხარეს შორის.

ამ პირობებში რესპუბლიკის მთავრობა შეუძლებლად სთვლიდა ორივე მთავრობისა და მათი მოლაპარაკების ინტერესებისათვის, რომ რაკოვსკის შერჩენოდა მისი ფუნქციები პარიზში. გარეშე საქმეთა სამინისტროს გენერალურმა მდივანმა უკვე მიუთითა საბჭოთა ელჩს, რომ კარგი დამოკიდებულების შენარჩუნებისათვის მის მთავრობასა და საფრანგეთს შორის უკეთესი იქნებოდა, რომ თვით რაკოვსკის ეთხოვა თავისი უკან გაწვევა. რაკოვსკიმ ამ წინადადებას დუმილით აუარა გვერდი, თავის მხრივ რესპუბლიკის ელჩმა მოსკოვში საგარეო საქმეთა კომისარიატს დაუსურათა ის დაუშვებელი მდგომარეობა, რომელშიც ჩააყენა თავისი თავი რაკოვსკიმ. მაგრამ თავაზიანობისა და იმ სურვილის გამო, რომ შეემსუბუქებია საბჭოთა მთავრობისათვის აღნიშნულ ამოცანის განხორციელება, საფრანგეთის მთავრობამ დაუთმო მას, მისი ელჩის გამგზავრებისა და ამ ელჩის შეუბღალავი ავტორიტეტის მქონე პირით შეცვლის ფორმების არჩევა და ინიციატივა. საბჭოთა კავშირის მთავრობამ ვერ სცნო შესაძლებლად გაეზიარებია ეს თვალსაზრისი და ითხოვა 29 სექტემბერს, რომ წარდგენილი ყოფილიყო ფორმალური მოთხოვნილება გაწვევის შესახებ, რომელ შემთხვევაშიაც, როგორც ეს განცხადებული იყო, რაკოვსკი იქნებოდა გაწვეული. ასეთი მოთხოვნილება სიტყვიერად ეუწყა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ლიტვინოვს პირველ ოქტომბერს. ეს მოთხოვნილება მეორდება ამ წერილით. საფრანგეთის მთავრობა საჭიროდ სთვლის კვლავ აღნიშნოს, რომ ორივე ქვეყნის შორის ურთიერთობის გაწყვეტის საკითხი არ დასმულა არც ერთი წუთით. რაკოვსკის საქმე იყო და რჩება პიროვნების საკითხად და ამ საქმის მოგვარების ერთად ერთ მიზანს შეადგენს უზრუნველჰყოს პოლიტიკურ და ეკონომიურ მოლაპარაკების წარმატების შესაძლებლობა. ეს მოლაპარაკება შეიძლება სასურველად დაბოლოვდეს მხოლოდ ურთიერთისადმი ნდობის ატმოსფერაში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელსა და რესპუბლიკის მთავრობის შორის“. (ადს)

კომინტერნში

უორკერს პარტის პოლიტბიურო ტროცკისტულ ოპოზიციის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 11 ოქტომბერი. კომუნისტურ უორკერს პარტის პოლიტბიურომ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც იწონებს ტროცკისა და ვუიოვიჩის გამორიცხვას კომინტერნიდან. (ადს).

უცხოეთის მუშათა დელეგაციები

ავსტრიიდან

ვენა, 11 ოქტომბერი. **12 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში მიემგზავრება ავსტრიის მუშათა მეორე დელეგაცია 12 კაცის შემადგენლობით.** დელეგაციას განზრახული აქვს საბჭოთა კავშირში დარჩენა 6 კვირით. **ოქტომბრის ბოლო რიცხვებში საბჭოთა კავშირში მიემგზავრება ავსტრიის მუშათა კიდევ ერთი** დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლისთავის ზეიმში. (ადს).

გერმანიიდან

ბერლინი, 11 ოქტომბერი. ახლო ხანში დასრულდება გერმანიის გლეხთა დელეგაციის შედგენა საბჭოთა კავშირში გასაგზავნათ ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლისთავისათვის. განზრახულია დელეგაციის შემადგენლობაში 14 წვრილი მეურნისა და 4 მოჯამაგირის შეყვანა. (ადს).

ესპანეთის ნაციონალური კრება

პოლიცია და ჯარი

პარიზი, 11 ოქტომბერი. მადრიდში გაიხსნა ნაციონალური კრება. ყოველგვარი ინციდენტების თავიდან ასაცილებლად, **ნაციონალურ კრებისაკენ მიმავალ გზას იცავდენ ჯარები და პოლიციელების გაძლიერებული რაზმები.** მეფე მოვიდა კრებაზე ცხენოსანთა რაზმის თანხლებით, კრების გახსნის შემდეგ **პრიმო-დე-რივერამ** გამოაქვეყნა დეკლარაცია, პრიმო-დე-რივერამ დეკლარაციაში კრიტიკაში გაატარა საყოველთაო საარჩევნო უფლების პრინციპი და განაცხადა, რომ მას გადაწყვეტილი აქვს დაიცვას სამართლიანი წონასწორობა კლასთა ეკონომიურ ბრძოლაში.

პრიმო-დე-რივერა უარყოფს

პარიზი, 11 ოქტომბერი. გამოქვეყნებულია ესპანეთის ოფიციალური ცნობა, რომელშიაც პრიმო-დე-რივერა კატეგორიულად უარყოფს იმ განცხადებას, რომელიც მოყავს „სენდეი ტაიმსს“ თავის ინტერვიუში. ესპანეთის ცნობა იუწყება, რომ პრიმო-დე-რივერას და ჩემბერლენს არ განუხილავთ საკითხი არც გიბრალტარის შესახებ და არც იმის შესახებ, თითქო ესპანეთი უარს ამბობდეს მაროკოზე (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

დამატებითი გადასახადი

პეკინი, 11 ოქტომბერი. შანდუნის ჯარებმა შემოიღეს დამატებითი ბაჟები ფუფუნების საგნებზე 4-დან 20 პროცენტამდე ვაშინგტონის შეთანხმებით დაწესებულ ნორმებზე ზევით.

იტყობინებიან, რომ უცხოეთის კონსულებს შანდუნში განზრახული აქვთ განაცხადონ პროტესტი შანდუნის ხელისუფლების მოქმედების წინააღმდეგ, **ბაჟები შემოღებულია ენ-სი-შანთან და ფინ-იუი-სიანთან საბრძოლველად თანხების შეგროვების მიზნით** (ადს).

მუკდენელების ოპერაციები

შანხაი, 11 ოქტომბერი, გოვენის სააგენტოს ცნობით, ჩან-სუე-ლიანმა (ჩან-ცზო-ლინის შვილმა) გაუგზავნა დეპეშა ჩან-ცზო ლინს, რომ მუკდენის ჯარებმა აიღეს ტინჩჟოუ. შემდეგ დეპეშაში აღნიშნულია, რომ ხეილუნცსიანის ჯარები მიიწევენ ტატუნისაკენ, რათა ზურგში მოექცენ შანსის ჯარებს და გადაუჭრან მათ უკან დასახევი გზები (ადს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

საბჭოთა კავშირის შეთანხმება შვეციასთან

მოსკოვი, 12 ოქტომბერი. საგარეო საქმეთა კომისარიატში ხელი მოაწერეს შეთანხმებას საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობის უფლებების შესახებ შვეციაში. სხვათა შორის, შეთანხმება ითვალისწინებს იმ ბინების ექსტერიტორიალობას, რომლებიც უკავია წარმომადგენლობას და იმ პირების დიპლომატიურ პრივილეგიებს, რომლებიც მეთაურობენ მას. (ადს).

გადაფრენა ნიუ-იორკი-პარიზი

ნიუ-იორკი, 11 ოქტომბერი. ნიუ-იორკიდან პარიზში გაფრინდა აეროპლანი, რომელსაც მართავენ მფრინავი ჯორჯ ჰალდემანი და ქალი-პილოტი რუთ ელდერი (ადს).

რეპრესიები ლიტველების წინააღმდეგ ვილნოში

კოვნო, 12 ოქტომბერი. ლიტვის თითქმის ყველა გაზეთები განაგრძობენ წერილების ბეჭდვას ვილნოში ლიტველების წინააღმდეგ წარმოებულ რეპრესიების შესახებ. გაზეთები აღნიშნავენ, რომ, ეს რეპრესიები წარმოადგენს პროვოკაციას და, რომ პოლონეთი ამზადებს ახალ ავანტიურას, მიმართულს ლიტვის წინააღმდეგ. (ადს).

ტრანს-ატლანტის პირველი გადაფრენა

პარიზი, 11 ოქტომბერი. ფრანგი ავიატორები კოსტი და ლებრი, რომელნიც ტრანსატლანტაზე გადაფრენას ახდენენ, დაეშვნენ სენ-ლუიში (სენეგალი). მათ უკვე დაამთავრეს გადაფრენის პირველი ეტაპი (ადს).

კაპაბლანკა—ალიოხინი

ბუენოს-აირესი, 12 ოქტომბერი. ალიოხინ-კაბალანკას მე-12 პარტია გადაიდო ორმოცი სვლის შემდეგ (ადს).

აჯანყება მექსიკაში ჩაქრობილია

მექსიკო, 11 ოქტომბერი. მექსიკის მთავრობამ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც იუწყება, რომ აჯანყება საბოლოოთ ჩაქრობილია და მთავრობის ჯარებმა ალყა შემოარტყეს გომეცს და ალმადას იმ მიზნით, რომ ხელი შეუშალონ მათ გაპარვას მექსიკიდან.

მთავრობამ გამოსცა ბრძანება ყველა იმ აჯანყებულების პატიების შესახებ, ვინც ნებაყოფლობით დანებდება მთავრობას. მოკლული აჯანყებულების რიცხვი სიკვდილით დასჯილებთან ერთად შეადგენს 150 კაცს. (ადს).

ბულგარეთ-სამხრ.-სლავიის კონფლიქტი

საალყო წესები საზღვრებზე

ვენა, 11 ოქტომბერი. ბულგარეთის მთავრობამ გამოაქვეყნა დეკრეტი, რომლის მიხედვითაც საალყო წესებია გამოცხადებული ბულგარეთის მოსაზღვრე ოლქებში—კიუსტენდილში და პეტრიჩში.

15 ოქტომბერს მოწვეულია ბულგარეთის პარლამენტის საგანგებო სესია მთავრობის მიერ მიღებული ზომების დასამტკიცებლად.

საალყო წესების გამოცხადებამ ბულგარეთში დამამშვიდებელი გავლენა იქონია სამხრეთ-სლავიის მთავრობის წრეებზე.

ბულგარული გაზეთი „ვრემე“ იუწყება, რომ სამხრეთ-სლავიის მთავრობა მომავალში აღარ გაგზავნის დიპლომატიურ წარმომადგენლებს სოფიაში, ვინაიდან მას სურს წინასწარ გამოარკვიოს, თუ რა ზომებს მიიღებს ბულგარეთის მთავრობა მაკედონელთა პარტიის წინააღმდეგ. სამხრეთ-სლავიის პოზიცია უეჭველია აიხსნება ინგლისის ზეგავლენით.

სამხრეთ-სლავიის პრესის ცნობით, ინგლისის ელჩებმა ბელგრადში და სოფიაში, საფრანგეთის ელჩებთან შეთანხმებით, სამხრეთ-სლავიის და ბულგარეთის მთავრობებს მიმართეს განცხადებით, რომელშიაც გამოსთქვამდნენ სურვილს, რომ არც ერთი და არც მეორე მთავრობა არ დაუშვებს ბულგარეთ-სამხრეთ-სლავიის ურთიერთობის გაუარესებას.

კონფლიქტის მოგვარება

ვენა, 12 ოქტომბერი. სამხრეთ-სლავიის ელჩს სოფიაში ნეშიჩს საუბარი ჰქონდა ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ბუროვთან; საუბრის დროს მან განაცხადა, რომ ბულგარეთის მთავრობის მიერ მიღებული ზომები იწვევენ სამხრეთ - სლავიის მთავრობის სრულ კმაყოფილებას.

ბულგარეთის მთავრობამ აცნობა ყველა იმ სახელმწიფოების ელჩებს, რომლებიც ღებულობენ ზომებს სამხრეთ-სლავიის - ბულგარეთის კონფლიქტის მოსაწესრიგებლად, რომ ის მზად არის ყველა საშუალებებით ებრძოლოს იმათ, ვინც ცდილობს ბულგარეთ - სამხრეთ-სლავიის მეგობრულ ურთიერთობის ჩაშლას.

სოფიის და ბელგრადის დიპლომატიურ წრეების აზრით, ბულგარეთ-სამხრეთ-სლავიის კონფლიქტი დასასრულს უახლოვდება. (ადს).

პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

მოსკოვი, 12 ოქტომბერი. ფინეთიდან მოსკოვში დაბრუნდა ხეზე მომუშავეთა კავშირის ცეკას პრეზიდიუმის წევრი. კონგრესმა თავის რეზოლიუციაში მიზანშეწონილად სცნო სკანდინავიის და საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა გაერთიანებული კომიტეტის დაარსება. კომიტეტის მიზანი იქნება საერთო ბრძოლის წარმოება პროლეტარული მთლიანობის განსახორციელებლად. ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარება დაევალა ახლად არჩეულ ალმასკომს. ალმასკომის ახალ შემადგენლობას განზრახული აქვს მარტში გაერთიანებული კონფერენციის მოწვევა საბჭოთა-სკანდინავიის მთლიანობის კომიტეტის ასარჩევად. (ადს)

მდგომარეობა ელზას-ლოტარინგიაში

პარიზი, 11 ოქტომბერი. „კოტიდიენი“ ათავსებს პიერ ბერტრანის წერილს, რომელშიაც იგი განგაშს სცემს იმის გამო, რომ ელზას-ლორენში ძლიერდება სეპარატიზმი. ბერტრანს მოჰყავს ამონაწერები ავტონომისტების პარტიის მანიფესტიდან, რომელიც მისი სიტყვით, გამსჭვალულია ღალატის სულით. ბერტრანი განსაკუთრებით უსვამს ხაზს მანიფესტის იმ ადგილებს, სადაც უპირატესობა ეძლევა გერმანულ კულტურას და გერმანულ ენას. ეს მანიფესტი,—სწერს დასასრულ ბერტრანი,—წარმოადგენს საფრანგეთის მთავრობის უხეშ გამოწვევას. როგორი ზომები იქნება მიღებული ამ სახიფათო პროპაგანდის წინააღმდეგ?—კითხულობს ბერტრანი. (ადს).

საბჭოთა კავშირში

საკავშირო ცაკის სესიის წინ

ამხ. ენუქიძე საბჭოთა კავშირის ცაკის მეორე სესიის მნიშვნელობის შესახებ

მოსკოვი, 12 ოქტომბერი. საუბარში საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საბჭოთა კავშირის ცაკის მეორე სესიის მნიშვნელობის შესახებ, ამხ. ენუქიძემ განაცხადა:

„მეორე სესიის დღის წესრიგი მოწმობს მის განსაკუთრებულ პოლიტიკურ მნიშვნელობას. ის მოწვეულია ოქტომბრის მეათე წლის თავისათვის და თავისი მნიშვნელობით უახლოვდება საბჭოთა კავშირის საბჭოების ყრილობებს. ისე, როგორც ყრილობაზე, მშრომელ მასების წინაშე წაკითხული იქნება მთავრობის მოხსენებები და ანგარიშები მისი მუშაობის შესახებ, მაგრამ ერთი წლისთვის კი არა, არამედ მთელი ათი წლისთვის. სესია მოწვეულია ლენინგრადში, ვინაიდან არც ერთ სხვა ადგილზე, გარდა ლენინგრადისა, მთავრობას არ შეეძლო მისი მოწვევა. ლენინგრადის პროლეტარიატი პირველი მიემხრო 1917 წელში ბოლშევიკებს და სწორად სცნო ლოზუნგი: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ ლენინგრადის პროლეტარიატი წარმოადგენდა მოწინავე რაზმს ბრძოლაში ხელისუფლების დასაპყრობად და სისხლისმღვრელ სამოქალაქო ომში ამ ხელისუფლების დასაცავად. ლენინგრადი არის ნამდვილი იუბილიარი ამ დიდ წლისთავზე“.

შეკითხვაზე— აღნიშნავს თუ არა მთავრობა ოქტომბრის რევოლიუციის მე-10 წლის თავს რაიმე განსაკუთრებული აქტით, ამხ. ენუქიძემ სთქვა: :

„რა თქმა უნდა, ეს მოვლენა აღინიშნება ასეთი აქტით, რევოლიუციონურ ბრძოლის ათი წელიწადი თამამად შეიძლება ჩაითვალოს თუ ასად არა, ორმოცდა ათ წლად მაინც. ამას გარდა, ათ წელიწადში ჩვენი სახელმწიფო გახდა საერთაშორისო მნიშვნელობის უდიდეს ძალად. რა თქმა უნდა, მთავრობა აღნიშნავს განსაკუთრებული აქტით ოქტომბრის მე-10 წლის თარიღს“ (ადს).

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

მოსკოვი, 11 ოქტომბერი. გაიხსნა საკავშირო პროფსაბჭოს მეორე პლენუმი. პირველ სხდომაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ამხ. **დოგადოვი**, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ არსებული ცნობების მიხედვით, მუშების ხელფასი განუწყვეტლივ იზრდება. გაიზარდა აგრეთვე შრომის ნაყოფიერებაც. მაგრამ, სახალხო მეურნეობის მდგომარეობა მოითხოვს შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას. შეეხო რა ახალი განაკვეთების საკითხს, ამხ. დოგადოვმა აღნიშნა, რომ ამ განაკვეთების გატარება მიმდინარე წელს შესაძლებელი იქნება მხოლოდ ხუთ-ექვს მსხვილ კავშირში, დანარჩენ კავშირებში კი განაკვეთების გატარება, ალბათ, მომავალ წლისათვის გადაიდება. დასასრულ ამხ. დოგადოვი შეჩერდა კულტმუშაობის საკითხებზე და მიუთითა, რომ საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მთავრობის ორგანოების წინაშე დასვა საკითხი მიმდინარე სამეურნეო წელში ამ მიზნისათვის 5 მილ. მან. გადადების შესახებ. გათვალისწინებულია აგრეთვე საკლუბო მშენებლობისათვის „ცეკომბანკიდან“ ერთი მილ მან. სესხის მიღება. საწარმოო მუშაობის შესახებ ამხ. დოგადოვმა აღნიშნა, რომ საკონტროლო კომისიის მუშაობა სავსებით დამაკმაყოფილებელი იყო და ამიტომ საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა საკონტროლო კომისიის წევრთა რიცხვი 200-დე გაადიდოს.

კამათი ამხ. დოგადოვის მოხსენების გარშემო

მოსკოვი, 12 ოქტომბ. საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმის 11 ოქტომბრის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. **დოგადოვის** მოხსენების გარშემო.

ამხ. დოგადოვის საბოლოო სიტყვა

საღამოს სხდომაზე პლენუმმა მოისმინა ამხ. **დოგადოვის** საბოლოო სიტყვა და დაადგინა მოიწონოს საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მოქმედება და მისი ხაზი სცნოს სწორად.

ამხ. დოგადოვის მოხსენების გამო რეზოლიუციის შესამუშავებლად გამოყოფილ იქნა კომისია.

ამხ. მიქოიანის მოხსენება

საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე ვაჭრობის სახ. კომისრის ამხ. **მიქოიანის** მოხსენება სამრეწველო და სასოფლო - სამეურნეო საქონელზე ფასების დაკლების კამპანიის შესახებ.

ამხ. მიქოიანმა დაახასიათა ფასების დაკლების კამპანიის მიმდინარეობა და აღნიშნა, რომ მოსახლეობამ ფასების დაკლებით შეინარჩუნა 85 მილიონი მანეთი. ვაჭრობაზე კონტროლის გაწევის საქმეში ჩაბმულია მრავალი ათასი მუშა. სავაჭრო აპარატი მუშათა მასების კონტროლის ქვეშ იმყოფება. პროფკავშირებმა ხელი უნდა შეუწყონ მუშების კიდევ უფრო მეტად ჩაბმას ამ მეტად მნიშვნელოვან მუშაობაში.

თანამოხსენება სამომხმარებლო კოოპერაციაში ფასების დაკლების შესახებ გააკეთა „ცენტროსოიუზის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. **კისინმა** (ადს).

პედაგოგიური განათლება რ. ს. ფ. ს. რ.-ში

მოსკოვი, 12 ოქტომბერი. საკ. კომ. პ. (ბ) ცეკამ მოისმინა მოხსენება პედაგოგიურ განათლების შესახებ რ. ს. ფ. ს. რ-ში და აღნიშნა, რომ ამ განათლების მდგომარეობა მატერიალური ხაზით და საქმის დაყენების მხრივ მძიმეა.

ცეკამ აღნიშნა, რომ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების მიერ ნაკლები ყურადღება ექცევა აღნიშნულ განათლების გაუმჯობესებას.

ცეკამ დაავალა აგიტპროპის ცეკას განათლების სახკომისარიატთან ერთად, არა უგვიანეს 1928 წ. 8 იანვრისა შეიმუშაოს და შემოიტანოს ცეკაში პრაქტიკული ღონისძიებანი პედაგოგიური განათლების გასაუმჯობესებლად.

ცეკამ საჭიროდ სცნო აგრეთვე დაავალოს რ. ს. ფ. ს. რ-ის და ავტონომიურ რესპუბლიკების განათლების სახ. კომისარიატებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ პედაგოგიურ სასწავლებლებში საქმის დაყენების გაუმჯობესებას, რომლებიც ამზადებენ მასწავლებლებს კულტურულად ჩამორჩენილ ეროვნებათა სკოლებისათვის. (ადს)

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

ჩვენი სამხედრო ტეხნიკა

თუ შევადარებთ ჩვენი წითელი არმიის და კაპიტალისტური ქვეყნების ჯარების სამხედრო მომზადებას, ნათლად დავინახავთ, რომ წითელი არმია თავისი ცოდნით არ ჩამოუვარდება კაპიტალისტებს არმიას და შეგნებით გაცილებით მაღლა სდგას მასზე.

როგორ მდგომარეობაშია ჩვენი წითელი ჯარის შეიარაღება და ბრძოლის ტეხნიკური საშუალებები?

შაშხანა თოფზე, ტყვიამფრქვევებზე, არტილერიაზე და ყუმბარებზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან ამაში ჩვენ არავის ჩამოვრჩებით (პირველ რიგში კი ჩვენ მახლობელ მეზობლებს).

გადავიდეთ ავიაციაზე, აქ უნდა ითქვას, რომ ჯერ-ჯერობით ჩვენ სუსტნი ვართ და ჩამოვრჩებით დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, იმიტომ, რომ ომამდის რუსეთში თვითმფრინავების აშენება არ მიმდინარეობდა, შემდეგ იმპერიალისტურმა და სამოქალაქო ომებმა სავსებით გაანადგურეს არსებული თვითმფრინავები. სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ ჩვენ შეუდექით საკუთარ თვითმფრინავების აგებას. მიუხედავად იმისა, რომ არ მოგვეპოვებოდა მცოდნე ინჟინერები და საალმშენებლო მასალა, ჩვენ სწრაფად მივდიოდით და მივდივართ წინ ამ საქმეში. 1923 წლიდან დღევანდლამდის ჩვენი საჰაერო ძალების აღმშენებლობა გაიზარდა 851 პროცენტით, ე. ი. რიცხვი ახალი თვითმფრინავებისა 1923 წლიდან გაიზარდა 8 ნახევარჯერ. გაიზარდა უფრო დიდათ მოტორების წარმოება: თუ 1923—24 წელში მზადდებოდა 100 მოტორი, ეხლა წელიწადში მზადდება 547 მოტორი.

ჩვენი საბჭოთა ავიაციის მიღწევები ნათლად დაგვანახვეს გადაფრენამ მოსკოვიდან იაპონიაში, სპარსეთში, ოსმალეთში და ევროპაში, საბჭოთა თვითმფრინავები არა თუ არ ჩამორჩნენ, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში გამოდგნენ უკეთესი ვიდრე საზღვარგარეთელი თვითმფრინავები.

ჩვენი საჰაერო ფლოტის ზრდა გამოიხატება შემდეგ ციფრებში: შედარებით 1920 წელთან საჰაერო ფლოტი გაიზარდა 1921 წელს 16,4 პროც,, 1922 წელს—27,2 პროც., 1923 წელს—86,4 პროც., 1924 წელს—115,4 პროც., 1925 წელს—304 პროც,. 1926—411,6 პროც.

მიუხედავად ჩვენი სიღარიბისა, შევძელით აგრეთვე ანგარების (თვითმფრინავების ხადგომია) გაფართოება. დავაარსეთ ცენტრალური ჰაეროჰიდროდინამიური ინსტიტუტი, სადაც სწარმოებს თვითმფრინავების და მოტორების გამძლეობის გამოცდა, უნდა ითქვას, რომ ეს ინსტიტუტი ერთ-ერთი საუკეთესო ინსტიტუტია მთელ ევროპაში.

ძალიან გაფართოვდა აგრეთვე ქიმიური მრეწველობა. ამ დარგშიაც ძველი რუსეთი იყო ძალზე ჩამორჩენილი, მაგრამ, ჩვენ არა თუ მივიყვანეთ ქიმიური მრეწველობა ომამდე არსებულ ნორმებამდის, არამედ შეუდექით ახალი, დიდი ქიმიური ქარხნების აგებას მართალია, ეს ქარხნები ემსახურებიან ჩვენ წარმოებას და სასოფლო მეურნეობას, მაგრამ საჭირო დროს იმუშავებენ ქვეყნის თავდაცვისათვის. ახალი ქიმიური ქარხნები გააძლიერებენ ჩვენ სამხედრო ტეხნიკურ ძალებს.

ჩვენ გავხსენით საშუალო და უმაღლესი ქიმიური სკოლები, რომლებიც ამზადებენ ქიმიკოსებს ქიმიურ მრეწველობისათვის, ეს ქიმიკოსები ომის დროს იმუშავებენ აგრეთვე თავდაცვისათვის. ბოლოს, უნდა აღინიშნოს ერთი დიდი მიღწევა—საბჭოთა აირმსპობის გამოგონება, რომლითაც შეიარაღებულია ყოველი წითელი არმიელი, აირმსპობის წარმოება დღითი დღე იზრდება და შესაძლებელი იქნება არა მარტო წითელ არმიელების, არამედ მთელი მოსახლეობის შეიარაღება.

წითელ არმიაში გარდა ქიმიურ ნაწილების და ავიაციისა, არსებ. კიდევ მრავალ სხვა სახის იარაღი: მძიმე და მსუბუქი არტილერია, ხაინჟინერო, სარკინიგზო და საავტომობილო ნაწილები, ჩვენი არმიის ნაწილები შეიარაღებულ არიან ავტომატიური თოფებით, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის ამოქმედდებიან არა მარტო ქვეითი ჯარი და ცხენოსნები, არამედ ყველა ტეხნიკური ძალები, რომლებიც დაეხმარებიან ქვეითა ჯარს და ცხენოსნებს და შეძლებინებენ მათ დაიცვან საბჭოთა კავშირი და გამოვიდნენ კიდეც შეტევაზე.

გ. ზ.

ჯავშნიანი ნაწილები თანამედროვე ომში

ჯავშანმატარებლები

როგორც თვით სახელწოდებიდან სჩანს, ჯავშანმატარებელი ეწოდება რკინის გზის ვაგონებს და ორთქლმავალს, რომლებსაც შემორტყმული აქვთ ფოლადის ჯავშანი. ვაგონებში დადგმულია ტყვიამფრქვევები და ზარბაზნები. ამ უკანასკნელთა მოძრავი გოდოლების საშუალებით, შეუძლიანთ სროლა სასურველი მიმართულებით. ჯავშნიანი მატარებელი ეწყობა შემდეგი წესით: შუაში მოქცეულია ორთქლმავალი, მის წინ და უკან კი ვაგონები, ან პლატფორმები.

ჯავშანი, რომელიც აკრავს მატარებელს ძალიან მაგარია. მისი დაზიანება არ შეუძლია არც ტყვიას, არც ყუმბარის ნახეთქს. ჯავშნის დასაზიანებლად საჭიროა მთელი ყუმბარის მოხვედრა.

ჯავშნიან მატარებელზე დადგმულია ზარბაზნები 3-დან—8-მდე და 8—12 მაქსიმის სისტემის ტყვიამფრქვევი. შეიარაღების მხრივ ჯავშანმატარებლები ატარებენ სხვადასხვა სახელწოდებას: საველე—მძიმე, საველე—მსუბუქი და განსაკუთრებული დანიშნულების.

საველე მძიმე ჯავშანმატარებელი შეიარაღებულია 4 მაქსიმის ტყვიამფრქვევით და 42 ხაზიან შორსმსროლელი ზარბაზნით, რომელიც ისვრის დაახლოებით 15 კილომეტრზე.

საველე მსუბუქი მატარებელს აქვს 12 ტყვიამფრქვევი და 3 ზარბაზანი.

განსაკუთრებული დანიშნულების მატარებლის შეიარაღებას შეადგენს ორი ტყვიამფრქვევი და ექვს ან რვა დიუმიანი ზარბაზნები.

ჯავშნიან ვაგონების გარდა მატარებელს ყოველთვის აბია ჩვეულებრივი პლატფორმები (ბაქნები), რომელნიც გამოყენებული არიან რელსების, შპალების, ლურსმნების და სხვა რკინიგზის ლიანდაგის აღსადგენათ საჭირო მასალის საზიდავათ. ბრძოლისათვის საჭირო ყუმბარების, ვაზნების და სურსათ-სანოვაგის მარაგი იმყოფება ჩვეულებრივ სამგზავრო ვაგონებში, რომლებიც თან ახლავს მატარებელს და რომელნიც ბრძოლის დროს დაიტოვებიან მახლობელ ზურგში.

ჯავშანმატარებლები ბრძოლაში

ქვეითი ჯარის საბრძოლო წესდება ასე განმარტავს ჯავშანმატარებლების მოქმედებას ბრძოლის დროს: „ჯავშანმატარებლებს გააჩნიათ საგრძნობათ დიდი ცეცხლითი ძალა (შეიარაღებულებია საველე არტილერიით და მძიმე ტყვიამფრქვევით) და ამიტომ მიჰქმებულ დესანტიანად შეუძლიანთ დამოუკიდებლად იმოქმედონ თავისი ჯარების მოთავსებიდან შორს“.

ჯავშანმატარებელს შეუძლიან სწრაფად წაიწიოს წინ და გამოიწვიოს მტრის ბანაკში თავისი ცეცხლით არევ-დარევა და პანიკა. რადგან, როგორც იარაღი, ისე მსროლელნი და მოსამსახურენი დაფარული არიან ჯავშნით, ამიტომ მატარებელს აქვს შესაძლებლობა დიდხანს განაგრძოს ბრძოლა.

ამას გარდა ჯავშან მატარებლები გამოიყენებიან: მტრის წინააღმდეგობის მოსაშორებლად მოძრაობის გზაზე, მტრის ჯავშნიან მატარებლებთან საბრძოლველად, ქვეითი ჯარის დასახმარებლად, თუ უკანასკნელი იბრძვის რკინის გზის ახლო, სადგურების, ხიდების და სხვა ნაგებობათა ხელში ჩასაგდებათ და მათ შესანარჩუნებლად.

ჯავშან მატარებლები დიდ სამსახურს უწევენ ჯარს უკან დახევის დროს, რადგან თავისი ცეცხლით ახლო არ უშვებენ მოწინააღმდეგეს.

ჯავშან მატარებლები გამოიყენებიან ხიდების და სადგურების დასანგრევად და აჯანყების ჩასაქრობად რკინის გზის მიდამოებში.

ჯავშანმატარებლების ნაკლი

ჯავშანმატარებლების მთავარი ნაკლი ის არის რომ მათ შეუძლიანთ მოძრაობა მხოლოდ რკინის გზით. ამიტომ მათთან ბრძოლის დროს მოწინააღმდეგე სცდილობს გააფუჭოს ლიანდაგი, ვაგონიერება, დაბრკოლებების ან რელსების აყრის საშუალებით.

მატარებლების სუსტი ადგილი ორთქლმავალის ქვაბი და გოდოლი. თუ გაფუჭდა ან ქვაბი, ან გოდოლი, მატარებელი დაჰკარგავს მოძრაობის უნარს.

ჯავშანმატარებლებს შეუძლიანთ ებრძოლონ არტილერიამ, ქვეითი ჯარმა, ცხენოსანმა და ავიაციამ. ეს უკანასკნელი უშვებს ზევიდან ყუმბარებს და სცდილობს გააფუჭოს გზა და მოუსპოს მოძრაობის და მოქმედების საშუალება.

მ. ხ.

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებაში

როგორ მუშაობს ფოთის ორგანიზაცია

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ფოთის ორგანიზაციაში ითვლება 1.253 წევრი. აქედან მუშა—746, მოსამსახურე—392, გლეხი—65. მოწაფე—50. მამაკაცთა რიცხვი უდრის 1161, ქალების—92. ორგანიზაციის მუშაობაში ჩაბმულია 302 პარტიის წევრი, 94 კომკავშირელი და 857 უპარტიო.

ორგანიზაციის წევრები გაერთიანებული არიან 17 უჯრედში. ყველაზე დიდ უჯრედათ ითვლება შავი ქვის მტვირთავთა უჯრედი, რომელშიაც შედის 500 წევრი.

აქტიურ მუშაობას აწარმოებენ მუშათა უჯრედები. აქ სისტემატიურად ტარდება მოხსენებები, საუბრები და სხვა აქტიური მუშაობა.

ყოველ უჯრედს აქვს თავდაცვა-ავიაქიმის კუთხე. მაგრამ ეს კუთხეები ძალიან ღარიბად არიან მოწყობილნი და ვერ ამართლებენ თავის დანიშნულებას. კუთხეებში არის საჭირო ექსპონატები, ლიტერატურა, თვალსაჩინო საგნები და ხელსაწყოები.

სუსტათ არის დაყენებული საწრეო საქმე. ჯერ-ჯერობით არ არის ჩამოყალიბებული ტირი, სასროლო, სასპორტო და სანიტარული წრეები.

ბოლო დროს ორგანიზაციამ მოაწყო სამხედრო ქიმიური კურსები, მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ კურსების ბინა დაშორებულია მუშათა უბანს და მსმენელთა რიცხვი ამიტომ ძალიან მცირეა. კურსებისათვის გამოყოფილია ხელმძღვანელი და შედგენილია სამეცადინო პროგრამა.

თავდაცვის კვირეულის ჩატარებას ხელი შეუშალა ცუდმა ამინდმა, კვირეულის შემოსავალი უდრის 291 მ. 95 კ.

ფოთის ორგანიზაციის მუშაობის გამოსაცოცხლებლად საჭიროა, რომ ორგანიზაცია მომარაგებული იქნეს საჭირო ლიტერატურით რუსულ და ქართულ ენაზე. საჭიროა მოწყობილობა კუთხეებისათვის და თვალსაჩინო საგნები, როგორიც არის პლაკატები, ნიღბები, ჰიდროპულტები, თოფები, ვაზნები და სხვა. საჭიროა აგრეთვე სათანადო სამხედრო სპეციალისტების და საქმის მცოდნე ინსტრუქტორების მივლინება. რომლებიც გამოყენებულ იქნებიან წრეების ხელმძღვანელებათ.

სამხედრო ქრონიკა

ზურგის ნაწილების შეკრება

ამჟამად მიმდინარეობს ზურგის ნაწილების წითელარმიელთა და მეთაურთა სამოსწავლო შეკრება. წითელი მოლაშქრენი ხალისიანად ითვისებენ სამხედრო და პოლიტ. საგნებს. შეკრება დამთავრდება ოქტომბრის 20.

ახალი წიგნები

მეორე ქართ. მსრ. დივიზიის პოლიტგანყოფილებამ გამოსცა ორი ახალი წიგნი „პოლონეთის არმია“, „ესტონეთის არმია“ და „ათეული ბრძოლაში“. წიგნები დაეგზავნა ყველა ქართულ ნაწილებს. მოკლე ხანში გამოვა ახალი წიგნი „სამხკორთა მუშაობა“.

მზადება ოქტომბრის დღესასწაულისათვის

ქართული ჯარის ნაწილებში მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა ოქტომბრის დღესასწაულისათვის. ყველა ნაწილებში შექმნილია სადღესასწაულო კომისიები. კომისიების მიერ გამოშვებულია დღესასწაულის ჩატარების გეგმები. წინასწარ ნაწილებში მოეწყობა სათანადო ლიტერატურის გამოფენა. იწარმოებს საუბრები და მოხსენებები ოქტომბრის რევოლიუციის ირგვლივ. შექმნილ იქნება ოქტომბრის რევოლუციის [illegible] ჯგუფები

გრძელვადიან შვებულებაში

არმიის ერთეულების შტაბების, დაწესებულებების და ტერიტორიალურ ნაწილების კადრის წითელარმიელნი გაიშვებიან გრძელვადიან შვებულებაში 15-დან 25 ოქტომბრამდე.

ჩვენი მტრების ბანაკში

ტანკების ნაწილების მანევრები ინგლისში

მიმდინარე წელს ინგლისის არმიის მანევრები ჩატარებულ იქნა ოლდერშოტის ბანაკში. აქ გამოცდილ იქნა ყველა ახალი საშუალებები, რომლებიც ეხებოდენ არმიის მოტორიზაციას.

გასული წლების მანევრებზე ჩატარებული იქნა ნაწილობრივი მოტორიზაცია. შემოღებულ იქნენ ავტობუსები ქვეითი ჯარის გადასაყვანად ერთი ადგილიდან მეორეზე; გამოყენებულ იქნენ ცალკე მოტორიზაციაქმნილი ბატარეები. შექმნილ იქნენ პატარა რაზმები ტანკებიდან — ხოლოდ ძიებას ყოველთვის აწარმოებდნენ ცხენოსნები.

წრეულს მოტორიზაციამ მიიღო ფართო ხასიათი. ჯავშნიან მანქანებთან და მრავალ მსუბუქ და მძიმე ტანკებთან ერთად, რომლებიც სწრაფად მოძრაობდნენ, გამოყენებულ იქნენ მოტორიზაციაქმნილი ტყვიამფრქვევი და ნაღმის მტყორცნი ნაწილები. არტილერია მოძრაობდა მექანიკურად, ძიებას კი აწარმოებდნენ მხოლოდ თვითმფრინავები. მაძიებელი ავიაცია აღჭურვილი იყო გამანადგურებელი ესკადრილიით, რომელსაც იმავე დროს დავალებული ჰქონდა რკინის გზების, სამხედრო საწყობების და სხვა მნიშვნელოვან პუნქტების განადგურება.

ტანკების გარდა მოტორიზაციაქმნილ რაზმებში შედიოდნენ საავტომობილო ზარბაზნები, ავტოტყვიამფრქვევები, მოტორიანი სამზარეულოები, ცისტერნები და სხვა. საბარგო ავტომობილებს ჰქონდათ რადიო-მოწყობილობები განკარგულებების და დასმენების მიღება-გადაცემისათვის.

ცხადია, რომ ინგლისის მთავრობას მოტორიზაციის გატარების დროს ელობებოდა მრავალი დაბრკოლებები, რადგან მოტორიზაცია მოითხოვს დიდ თანხებს და ბევრ მოსამსახურე ხელს.

1905 წელში დაბადებულთა გაწვევა

თიანეთი

თიანეთის ახალგაზრდობის გაწვევა წითელი ჯარის რიგებში დაიწყო 1-ლ სექტემბრიდან, საუცხოვო სურათს წარმოადგენდა თიანეთი ამ დღეს. გასაწვევი ახალგაზრდები სიმღერით მიემართებოდნენ პოლიტგანის შენობისაკენ, სადაც დანიშნული იყო გასაწვევთა საერთო კრება

კრებას დაესწრნენ მაზრის პარტკომის მდივანი და აღმასკომის თავმჯდომარე. მათ გააცნეს გასაწვევ ახალგაზრდობას საბჭოთა კავშირის დღევანდელი მდგომარეობა, წითელი არმიის მნიშვნელობა და თავდაცვის საკითხები. ილაპარაკეს აგრეთვე ახალწვეულთა მოვალეობაზე. გასაწვევნი დიდის ყურადღებით უდგებოდენ ყურს ლაპარაკს და მომხსენებლებს აჯილდოვებდნენ ტაშით. კრების გათავების შემდეგ გასაწვევი ახალგაზრდები სიმღერით და მწყობრად გაემართნენ ერწოს რაიონის მიმღებ პუნქტისაკენ, სადაც სწარმოებდა გასაწვევთა საექიმო შემოწმება.

არსად სჩანდა მილიციონერი წესრიგის დასაცავად, რადგან ასეთი არც იყო საჭირო, ვინაიდან გასაწვევნი თვითონ იცავდენ წესრიგს.

წრევანდელმა გაწვევამ ყველას ნათლად დაანახვა, რომ ჩვენი გლეხობა დაადგა გამოფხიზლების გზას და შეგნებულათ გაგზავნა თავისი შვილები საბჭოთა ქვეყნის დასაცავად.

ალ. დოლიაშვილი.

კარდანახი, (სიღნ. მაზრა)

კარდანახის მშრომელი ახალგაზრდობა სიხარულით შეხვდა წითელ ჯარში გაწვევას. ზოგიერთი მშობლები არიგებდენ თავის შვილებს, რომ როგორმე გაეთავისუფლებიათ თავი ჯარში სამსახურიდან, მაგრამ ახალგაზრდების პასუხი ყოველთვის იყო: „მე მივდივარ იარაღის ხმარების შესასწავლად, რომ ამით გამოვადგე საბჭოთა ხელისუფლებას“.

ყოველი ახალგაზრდა შეგნებულად მიდის წითელ ჯარში, არ არის არც ერთი შემთხვევა დეზერტირობის.

ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ადგილობრივ კომკავშირის ორგანიზაციას რომელმაც დაწვრილებით აუხსნა ახალგაზრდობას და მოსახლეობას გაწვევის მნიშვნელობა, წითელი ყაზარმის ცხოვრების პირობები და საბჭოთა კავშირის დღევანდელი მდგომარეობა

სოფელი დარწმუნებულია, რომ მის მიერ გამოზრდილი ახალგაზრდობა სახელოვნათ შეასრულებს თავის ვალს მშრომელთა სახელმწიფოს წინაშე და მედგრათ იდგება საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე.

გლეხკორი ვ. მათიაშვილი.

ქართული ემიგრაცია. ინგლისის მახინაციები და ჩვენი გამარჯვების საწინდარი

(საუბარი ამხ. თედო ღლონტთან)

ამ დღეებში ბერლინიდან თბილისში დაბრუნდა სახ. უნივერსიტეტის რექტორი ამხ. თ. ღლონტი, რომელმაც ჩვენს თანამშრომელს შემდეგი უამბო ევროპაში მოგზაურობის დროს მიღებულ თავის შთაბეჭდილების შესახებ:

— თქვენ კითხვებიდან მე შემიძლია მხოლოდ გიპასუხოთ რამოდენიმეზე:

1. ჩვენი ემიგრაცია უცხოეთში. მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხი ყოველი ქართველისათვის სავსებით გარკვეულია. ჩვენ, ქართულ ემიგრაციას მეტ ყურადღებას ვაქცევთ, ვიდრე ეს მათ შეჰფერით. სრულიად შეუცდომლათ შეიძლება ითქვას, რომ ემიგრაცია არა თუ რაიმე სერიოზულ ორგანიზაციულ ძალას წარმოადგენს, არამედ იგი იდეურ-პოლიტიკურ ძალასაც მოკლებულია. საგულისხმო ის არის, რომ ქართველი ემიგრანტები 1921—22 წლებში გაერთიანებული ფრონტით თუ ფიქრობდენ ერთგვარ პოლიტიკურ როლის თამაშს, ამჟამად ეს ერთიანი ფრონტიც აღარ არსებობს. ფედერალისტების ჯგუფი ევროპაში თითქმის სრულიად გაქრა და ის საზოგადოთ არავითარ ძალას აღარ წარმოადგენს. ხმაურობენ მხოლოდ მენშევიკები და კედიას ჯგუფი (ყოფ. ერდემ. პარტია), მაგრამ ეს უკანასკნელნი აქ ბოლო დროს მეტად რთულ განწყობილებაში არიან მენშევიკებთან და მათ გვერდით სეპარატიულათ მუშაობენ.

თუ რამეს ვიტყვით ქართულ ემიგრაციაზე, მხოლოდ მენშევიკების შესახებ. საგულისხმოა, რომ მენშევიკები ცდილობდენ დასაყრდენი ბაზა ისევ საქართველოში შექმნათ, მაგრამ ეს ბაზა მათ ჩვენში ვერ შექმნეს. ის გარემოება, რომ მენშევიკების ყოველი ემისარი საქართველოში მოსვლისას დაუყოვნებლივ უვარდება ხელში სახ. პოლიტ. სამმართველოს ორგანოებს, აიხსნება არა მარტო იმით, რომ ეს ორგანოები საზოგადოთ კარგათ მუშაობენ, არამედ იმით, რომ თვით ჩვენი ხალხი ვერ ითმენს მენშევიკების ემისარებს. ამიტომაა, რომ მენშევიკების საუკეთესო კონსპირატორები ვერ ახერხებენ საქართველოში თავის შენახვას. ქართველი ხალხის ასეთი დამოკიდებულება მენშევიკებისადმი აიხსნება მენშევიკების პოლიტიკური და ორგანიზაციული დაცემით.

ამას წინად საყურადღებო იყო ირ. წერეთლის ჯგუფის უთანხმოების გამოაშკარავება ჟორდანიას ჯგუფის მიმართ. წერეთელმა აგვისტოში გამოსცა წიგნი, რომელიც მიმართულია ჟორდანიას ჯგუფის წინააღმდეგ. „ბრძოლას“ მე-26 ნომერში ჟორდანიამ გაილაშქრა წერეთლის წინააღმდეგ და ამგვარად დღეს ქართული მენშევიკური ემიგრაცია პოლიტიკურად და ორგანიზაციულათ გატეხილ ქოთანს წარმოადგენს წერეთლის პოზიცია იგივეა, რაც აბრამოვიჩის, დანის და დაახლოებით აქსელროდის. ისინი წინააღმდეგნი არიან ბოლშევიკების წინააღმდეგ ყოველგვარი საშუალებით ბრძოლისა. მენშევიკებისათვის წერეთლის გალაშქრებას თავზარდამცემი მნიშვნელობა აქვს.

2. ინგლისის მახინაციები. ანტი-ბოლშევიკური ჯგუფები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ინგლისის მიერ დაწყებულ ანტისაბჭოთა კამპანიას. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ინგლისმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ უკვე იხმარა ორი მეთოდი. პირველი—შეიარაღებული ძალით ბოლშევიკების მოსპობა, მაგრამ აქ დამარცხდა ინგლისის პოლიტიკა და ლ. ჯორჯმა მაშინ მიმართა მეორე გზას—მშვიდობიანი ეკონომიური ურთიერთობის გზით მოესპო საბჭოთა წესწყობილება, გადაეგვარებია იგი. აქაც ლ. ჯორჯის პოლიტიკა დამარცხდა და ეხლა ბოლდუინის მთავრობა ფიქრობს ჩვენს დამარცხებას ისევ გამწვავების პოლიტიკით.

მართალია ინგლისი ხელმძღვანელ როლს თამაშობს ევროპაში, მაგრამ დღემდე ვერ მოახერხა გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის დარღვევა. გერმანიას არ შეუძლია ზურგი შეაქციოს მრავალმილიონიან საბჭოთა კავშირს.

ინგლისის მდგომარეობა სერიოზულია. მესამე წელიწადია ინგლისს დეფიციტიანი ბიუჯეტი აქვს, რაც უმაგალითოა მის არსებობის ასი წლის ისტორიაში. გარდა ამისა ინგლისი იძულებულია გარდა ნახშირისა ყველა ნედლი მასალები შორეული ქვეყნებიდან შემოზიდოს, როცა ეს ნედლი მასალები ამერიკის ხელშია. მეორეს მხრივ 1914 წლიდან პანამის არხი მუშაობს და ეს შეძლებას აძლევს ამერიკას ინგლისი გარიყოს თავისი კოლონიებიდან. ამიტომაა, რომ ინგლისის მრეწველობის უმთავრეს დარგებში, როგორიცაა გამთმშენებლობა, საფეიქრო ინდუსტრია და ნახშირის მრეწველობა, უმუშევართა რიცხვი აღწევს 15—22 პროცენტამდე და ხშირად მეტსაც. ასეთი გარემოება ხელს უწყობს ინგლისში ახალი ძალის მობილიზაციას, რომელიც ალბათ სრულიად შესცვლის ინგლისის სოციალურ სახეს.

3. საბჭოთა კავშირი ევროპიელების თვალში. ევროპა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საბჭოთა კავშირს. ყურადღების ცენტრი ამჟამად გადმოტანილია ჩვენი აღმშენებლობისაკენ და პარტიაში ოპოზიციის ბრძოლისაკენ. გარდა ქართველ მენშევიკებისა, თითქმის არ არსებობს ევროპის არც ემიგრანტული და არც ევროპიული რომელიმე წრე, რომელიც არ აღიარებდეს ჩვენს დიდ მიღწევებს სამეურნეო ფრონტზე. ეს გარემოება მეტად რევოლიუციონურ როლს თამაშობს ევროპის პროლეტარიატისათვის. ბურჟუაზია კი იმედს ამყარებს კომუნისტური პარტიის დაშლაზე ოპოზიციის მუშაობის გამო.

ყველასათვის ერთი რამ უნდა იყოს აშკარა: პარტის მთლიანობამ ათი წლის ისტორია შეუქმნა საბჭოთა კავშირს. ეს მთლიანობა და პარტიული დისციპლინა უეჭველად უნდა იქნას დაცული, რათაც არ უნდა დაჯდეს იგი, ვინაიდან ყველამ უნდა იცოდეს: საკავ. კომპარტიის პოლიტიკა მარტო პარტიული პოლიტიკა როდია, იგი უდიდესი სახელმწიფოებრივი ფაქტორია და პარტიულმა კრიზისმა არ უნდა შეუქმნას ხელსაყრელი პირობები ევროპის ბურჟუაზიას, რომელიც ობიექტიურად და სუბიექტიურად მიექანება თავისი აღსასრულისაკენ.

პარტიული ცხოვრება

საქ. კომ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის
ლენინის რაიონის პარტკონფერენცია
13 ოქტომბრიდან
გადადებულია ა. წ. 15 ოქტომბრისათვის
საქ. კომ. პ. (ბ) თბ. კომიტეტი.

საქ. კ. პ. (ბ) ა. კ. საოლქო საკ. კომისიის მ 6-ე პლენუმი

11 ოქტომბერი. საღამოს სხდომა

მეორე დღის საღამოს სხდომა დაიწყო ამხ. ლუკაშინის მოხსენებით—საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის უკანასკნელი პლენუმის დადგენილებების, მუშათა და გლეხთა ინსპექციის საკონტროლო კომისიის მუშაობის და ა.-კ. მ. გ. ინსპექციის სამუშაო გეგმის საფუძვლების და საგეგმო მუშაობის შესახებ 1926—27—28 წლისათვის.

მოხსენების გარშემო გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს ამხ. გაბერ-კორნმა, ჯაფარიძემ, ავაკიანმა, კავერჩიანმა, არეშიანმა, ნოე ლეჟავამ, გვიტომ, ოჰანესიანმა და ხუმარიანმა.

ამხ. ლუკაშინის საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმმა მიიღო რეზოლიუციები დღის წესრიგში დასმულ ყველა საკითხების გარშემო.

სხდომა დაიხურა საღამოს 10 ნახ. საათზე.

რა გააკეთა

(ლენრაიონის მომავალ პარტკონფერენციის გამო)

15 ოქტომბერს გაიხსნება ლენინის რაიონის პარტიული კონფერენცია.

ამ კონფერენციაზე სარაიონო კომიტეტი წარსდგება მოხსენებით იმის შესახებ, თუ რა გააკეთა მან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. მართალია ჩვენს მუშაობაში იყო და არის მრავალი ნაკლულოვანებები, მაგრამ ამასთან ერთად მიღწევებიც დიდია. წარსული საანგარიშო პერიოდი ლენინის რაიონის ორგანიზაციის ზრდისათვის მნიშვნელოვან პერიოდათ ჩაითვლება. ეს ზრდა ერთნაირად აღსანიშნავია როგორც ორგანიზაციულ, ისე იდეურ დარგში.

ორგანიზაციის ზრდა

1926 წლის 1 დეკემბრიდან 1927 წლის 1-ლ ოქტომბრამდე ლენინის რაიონში პარტიაში შემოვიდა 199 კაცი. აქედან 5 მოსამსახურე და ორი გლეხი. აქედან ცხადია, რომ ორგანიზაციის ზრდა ჩვენს რაიონში ჯანსაღი გზით მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა შემჩნეულია, რომ ჩვენი რაიონის ორგანიზაციაში მუშურმა ელემენტმა დაიკლო ნახევარ პროცენტზე მეტით. ეს იმიტომ მოხდა, რომ ლენინის რაიონს შემოემატა სხვა ორგანიზაციებიდან 378 კაცი, რომელთაგან მოსამსახურეა 136, გლეხი 55 და მუშა 187. გარდა ამისა მუშურ შემადგენლობის დაკლებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩვენი რაიონის ორგანიზაციიდან პარტიის დადგენილებით თუ თავის სურვილით გავიდა 323 კაცი, რომელთა შორის 200 მუშა იყო, 51 გლეხი და 72 მოსამსახურე. ამრიგად პარტიის ზრდის კურსი რაიკომს აღებული აქვს სწორად და, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზემოთ დასახელებულ გარემოებებს, უნდა ვთქვათ, რომ ორგანიზაციის მუშური ელემენტებით გაძლიერება აქ მტკიცეთ ტარდება ცხოვრებაში.

მუშათა დაწინაურება

განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ლენინის რაიკომმა მუშათა დაწინაურების საქმეს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაწინაურებულია 67 კაცი. მუშათა დაწინაურებას წინ ეღობებოდა ადმინისტრატიულ - სამეურნეო აპარატის ცალკე მუშაკთა წინააღმდეგობა და აგრეთვე ისიც, რომ დაწინაურება ყოველთვის არ ხდებოდა წინასწარ მომზადებით, დაწინაურებულ კანდიდატების შესწავლა - შემოწმებით. გარდა ამისა პროფკავშირები უკანასკნელ ხანებამდე არ იღებდნენ სათანადო მონაწილეობას დაწინაურების საქმეში. ბოლო დროს პროფკავშირები უფრო აქტიურად ებმებიან ამ საქმეში და მთლიანად ისინი ატარებენ მუშათა დაწინაურებას რაიკომის ხელმძღვანელობით. უპარტიო მუშების დაწინაურებას მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. 67 დაწინაურებულისაგან, მხოლოდ ორი მუშაა უპარტიო.

ბრძოლა ოპოზიციასთან

შინაპარტიულმა ბრძოლამ ლენინის რაიონშიაც ჰპოვა გამოძახილი. ეს მით უფრო, რომ ოპოზიციის განსაკუთრებით ყავდა მიზანში ამოღებული ჩვენი რაიონი. როგორც მუშათა უბნის პარტორგანიზაცია. რაიკომმა ამას უპასუხა შინაპარტიული საკითხების ფართოთ გაშუქებით. ამ კამპანიაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო პარტაქტივმა. რაიკომის განმარტებითი მუშაობამ ოპოზიციის გამოსვლის შესახებ იმდენად საგრძნობი ნაყოფი გამოიღო, რომ ზოგიერთი ოპოზიციონერები სტოვებენ ოპოზიციას და ჰგმობენ იმ შეცდომებს, რომელთაც უშვებდა და ეხლაც უშვებს თავზეხელაღებული ფრაქციონერები.

პარტიულ მასამ დიდი აქტივობა გამოიჩინა შინაპარტიულ ბრძოლის საკითხებში. ის ერთსულოვნად დადგა ლენინურ ცეკას პოზიციაზე და სასტიკად გმობდა ოპოზიციის დეზორგანიზატორულ გამოსვლებს. უჯრედთა ჯგუფურ კრებებზე, რომლებიც ჩატარდა ოპოზიციის გამოსვლების გასაშუქებლად, სიტყვის სათქმელად ჩაეწერა 55 ამხანაგი, რომელთაგან ილაპარაკა 22-მა. წერილობითი შეკითხვები კი იყო 78.

ოპოზიცია ყოველნაირად სცდილობდა, რომ თავისი სიტყვებით მიეზიდა პარტიის ძველი მუშა-წევრები. მაგრამ სწორეთ აქ ჰპოვებდა ის მტკიცე ერთსულოვნობას და თავისადმი მტრულ განწყობილებას.

უჯრედთა ბიუროების არჩევნები

პარტიული მასის აქტივობის ზრდამ თავი იჩინა უჯრედების უკანასკნელ გადარჩევის დროსაც. მუშათა უჯრედებზე კრებას დაესწრო საშუალოთ წევრთა 60 პროცენტი, საბჭოთა უჯრედებზე კი 64 პროცენტამდე. სიტყვებით გამოვიდა საარჩევნო კრებაზე მუშათა უჯრედებში საშუალოთ 10 კაცი, საბჭოთა უჯრედებში კი 8. შეკითხვები მუშათა უჯრედებში საშუალოდ იყო 21, საბჭოთა უჯრედებში 20. ამხანაგების გამოსვლა უმთავრესად წარმოადგენდა ჯანსაღ თვითკრიტიკას და მიზნად ისახავდა ცალკე უარყოფითი მხარეების გამოაშკარავებას, მათი გამოსწორების მიზნით. თავისთავად ცხადია, რომ ყველა ორატორები ერთხმად მოითხოვდენ პარტიის მთლიანობის შემრყევთა სასტიკად დასჯას. ამრიგად უჯრედთა ბიუროების არჩევნებმა ერთხელ კიდევ ცხადჰყვეს, რომ ლენინის რაიონი ოპოზიციის სათამაშო მოედნათ არ გადიქცევა.

ლენინელი.

ოპოზიციის დეზორგანიზატ. მუშაობის წინააღმდეგ

ამხ. მ. კახიანის სახელობის მუშ. ფაკ. უჯრედთა კრება

10 ოქტომბერს, საღამოს 9 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის ამხ. მიხა კახიანის სახელობის მუშათა ფაკულტეტში შესდგა კომუჯრედთა გაერთიანებული კრება. კრებამ მოისმინა ამხ. გ. ყურულაშვილის მოხსენება შინაპარტიული მდგომარეობის და მოსკოვში ტროცკისტულ არალეგალური სტამბის აღმოჩენის შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღო მთელ რიგმა ამხანაგებმა, რომელნიც ჰკიცხავდენ ოპოზიციის გამთიშველ პლატფორმას და უკანასკნელ მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს.

კრებას დაესწრო რამოდენიმე არა უჯრედის წევრი, გაკოტრებული ძველი უკლონისტები, გასტროლიორები, რომლებსაც უნდოდათ ხელი შეეშალათ კრების მსვლელობისათვის, მაგრამ კრებამ [illegible] რევოლიუციონერებს სათანადო პასუხი გასცა. კრების დამთავრების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი

რეზოლიუცია

მოისმინა რა ამხ. გიორგი ყურულაშვილის მოხსენება ტროცკისტული ოპოზიციის მიერ არალეგალური სტამბის მოწყობის და ოპოზიციის გამთიშველ მუშაობის შესახებ, სახელმწიფო უნივერსიტეტის ამხ. **მიხა კახიანის** სახელობის მუშათა ფაკულტეტის კომუჯრედთა გაერთიანებული კრება სავსებით იწონებს და ეთანხმება კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებას ამხ. ტროცკისა და ვუიოვიჩის კომინტერნის აღმასკომიდან გამორიცხვის და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის დადგენილებას მოსკოვში არალეგალურ სტამბის მომწყობთა, პარტიის დეზორგანიზატორთა პარტიიდან გამორიცხვის შესახებ.

კრება აღშფოთებით აღნიშნავს ტროცკისტულ ოპოზიციის ახალ გამოსვლებს, რაც გაუგონარია ბოლშევიკურ პარტიის ისტორიაში, ეს მუშაობა უკანასკნელ ხანებში გამოიხატა: ახალ პლატფორმის შექმნასა და გავრცელებაში, რომელიც არსებითად წარმოადგენს ახალ პროგრამას ახალ პარტიისათვის, არალეგალური სტამბის მოწყობაში, ამ სამუშაოზე ბურჟუაზიულ ინტელიგენტების მიწვევაში და თავის ორგანიზაციულ ცენტრების შექმნაში, ამხ. ტროცკის იმ უტიფარ განცხადებაში, რომ ბოლშევიკური პარტიის დისციპლინა მისთვის სავალდებულო არ არის, ოპოზიციის ყველა წარმომადგენელთა განცხადებაში, რომ ცეკას დადგენილებას პლატფორმის გავრცელების აკრძალვის შესახებ, ისინი არ დაემორჩილებიან და მომავალშიაც განაგრძობენ ამ პლატფორმის გავრცელებას, ოპოზიციის წარმომადგენელთა ყოვლად მოურიდებელ გამოსვლებში ცილისწამებით პარტიის ხელმძღვანელ ცენტრებისა და პარტიის ცალკე ხელმძღვანელთა წინააღმდეგ, ეს ფაქტები სავსებით თვალსაჩინოდ ადასტურებენ, რომ ტროცკისტული ოპოზიცია დაადგა ბოლშევიკური პარტიის საორგანიზაციო პრინციპების დარღვევისა და ახალი ტროცკისტული პარტიის შექმნის გზას ოპოზიციის ბელადების ამხ. ზინოვიევის და სხვების მიმართვა ცეკასადმი არალეგალურ სტამბის აღმოჩენის გამო თავის ტონით და წამოყენებულ ბრალდებებით პარტიის წინააღმდეგ არაფრით არ განსხვავდება აშკარა კონტრრევოლიუციონურ ელემენტების— გერმანიის ულტრა-მემარცხენე რუტ-ფიშერის, მასლოვის და სოციალ-დემოკრატების ბრალდებებისა და ცილისწამებისაგან.

ამჟამად გამთიშველ მუშაობის ცენტრალურ პუნქტად ოპოზიცია სახავს პარტიის მე-15 ყრილობის საქმიან მომზადების ჩაშლას, ის წინდაწინვე აბუჩად იგდებს ყრილობის შემადგენლობას და სახელს უტეხს მის გადაწყვეტილებებს. კრება აღშფოთებით აღნიშნავს, რომ ოპოზიციის ბელადებმა ტროცკიმ, ზინოვიევმა და სხვებმა მეორეჯერ მოატყუეს პარტია, რაც გამოიხატა იმაში, რომ დაარღვიეს თავიანთ 8 აგვისტოს განცხადება მსგავსად 1926 წლის 16 ოქტომბრის განცხადებისა, კრება განსაკუთრებით აღნიშნავს ადგილობრივ უკლონისტების—ტროცკისტული ოპოზიციის ფრაქციულ მოღალატურ მუშაობას და სავსებით ეთანხმება საქ. კომპ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს ადგილობრივ ოპოზიციის დეზორგანიზატორულ მუშაობის წინააღმდეგ. კრება მოითხოვს უმაღლეს პარტიულ ორგანოებისაგან ასეთივე დაუზოგველ ბრძოლის წარმოებას გაუსწორებელ ფრაქციონერთა წინააღმდეგ. კრება სავსებით იზიარებს და იწონებს ცეკას ხაზსა და ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია პარტიის ბოლშევიკურ საქმიან მომზადების უზრუნველსაყოფად მე-15 ყრილობისათვის, ტროცკისტული ოპოზიციის ფრაქციული მუშაობის ალაგმვისათვის და პარტიის რიგების ლენინურ მთლიანობის უზრუნველსაყოფად.

გაუმარჯოს ბოლშევიკურ მთლიანობას!

გაუმარჯოს ლენინურ ცეკას!

მეორე ქართული მსროლელი ლეგიონი

ამას წინად შესდგა მეორე ქართულ მსროლელ ლეგიონის პარტკოლექტივის კრება, რომელსაც დაესწრო კომკავშირის აქტივიც. ოპოზიციის დეზორგანიზატორულ მუშაობის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. ალ. ჟუჟკაშვილი.

მოხსენების გარშემო მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია:

„საბჭოთა კავშირი შეუჩერებლად მიდის წინ სამეურნეო და პოლიტიკურ აღმშენებლობის გზით. ამ წინსვლის დროს, მას ბუნებრივად უხდება სხვადასხვა სიძნელეთა გადალახვა. ოპოზიცია დააფრთხო ამ სიძნელეებთან ბრძოლამ. ის აშვიადებს საშიშროებას. იჩიქებს ყოველ სიძნელის წინაშე და ამ თავის შიშს და უიმედობას ფარავს რევოლიუციონური ფრაზეოლოგიით და ოპოზიციონური წაჯიქ - უკუჯიქობით.

მეორე ქართულ მსროლელ ლეგიონის პარტორგანიზაცია იძლევა კომუნისტურ სიტყვას, რომ ის ლენინურ პარტიის ცეკასთან ერთად იბრძოლებს ყოველგვარი გადახრების წინააღმდეგ და ლენინურ ცეკას პირველ გამოძახილზევე დადგება პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე“.

შორაპანი

7 ოქტომბერს, შორაპანში შესდგა ს. კ. პ. (ბ) შორაპნის, ზესტაფონის და ძირულის პარტორგანიზაციების წევრთა და კანდიდატთა გაერთიანებული კრება კომკავშირის აქტივთან ერთად. კრებამ მოისმინა ამხ. **ვ. ტალახაძის** მოხსენება შინა - პარტიული მდგომარეობისა და ოპოზიციის გამთიშველი მუშაობის შესახებ.

მოხსენების დამთავრების შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია შემდეგი:

„კრება სავსებით იწონებს ლენინურ ცეკას ხაზს და სწორად მიაჩნია კომინტერნის აღმასკომიდან ამხ. ტროცკის და ვუიოვიჩის გარიცხვაც, რომლებიც უპარტიო ინტელიგენციასთან ერთად ხელმძღვანელობდენ არალეგალური სტამბის მოწყობას. იმ დროს, როდესაც უაღრესად საჭიროა პარტიის რიგების მთლიანობა, ოპოზიცია თავისი საქმიანობით სთიშავს პარტიას და ხელს უშლის მის ნორმალურ მუშაობას.

კრება გადაჭრით მოითხოვს ც. კომიტეტისაგან უფრო მკაცრი ზომების მიღებას იმათ წინააღმდეგ, რომლებმაც დაჰკარგეს ბოლშევიკური პარტიის დისციპლინის გაგება“.

ვტოვებ ოპოზიციას

(წერილი რედაქციის მიმართ)

უკანასკნელ ხანებში, ოპოზიციის მიერ წარმოებული ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ მიზნად ისახავს ლენინურ პარტიის მთლიანობის შერყევას.

ოპოზიციის წვრილ-ბურჟუაზიული, სოციალ-დემოკრატიული გადახრა, ისეთ სისტემაში იწყებს ყალიბს, როდესაც ძნელი ხდება გამორკვევა, თუ ვინ უფრო ორიგინალურია საბჭოთა ხელისუფლებაზე თავდასხმებში, ოპოზიცია თუ ბურჟუაზია თავის შინაყმა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიით.

ორი პარტიის იდეასთან თამაში ისევ გრძელდება, კიდევ მეტი საამისო რეალური ნაბიჯებიც იდგმება, საიდუმლო სტამბის აღმოჩენა მოსკოვში, აგრეთვე კავშირი „უპარტიო“ ინტელიგენციასთან და სხვა.

ყველა ამის შემდეგ, საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ ოპოზიციასთან არავითარი საერთო აღარა მაქვს. და მზად ვარ ვემსახურო ლენინური პარტიის რიგების განმტკიცების საქმეს.

დ. დოლიძე.

როგორ მუშაობენ ქალთა ორგანიზაციები

(სიღნაღის მაზრა)

სიღნაღის მაზრაში არის სულ 34 სადელეგატო პუნქტი. აქედან ერთი ოსური, ორი რუსული, 31 ქართული. ორგანიზაციაში ითვლება 988 ქალი. აქედან 102 რუსი, 17 ოსი, 869 ქართველი.

ჩვენს მაზრაში სცხოვრობენ აგრეთვე თათრები, რომელთა შორის ვაწყობთ, მხოლოდ თასიურ კრებებს და ვატარებთ ყოველ კამპანიას. ოთარის სოფელში იორ - მუღალოში გავხსენით რვა მარტის სახელობის ქრა - კერვის სკოლა, რომელმაც უფრო დაგვიახლოვა თათრის ქალები.

მთელ ორგანიზაციაში გვყავდა 254 წერა-კითხვის უცოდინარი ქალი. მათ შორის მოვახდინეთ წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

მეცადინეობა სწარმოებდა პროგრამის მიხედვით, რომელიც იყო გადმოგზავნილი ცეკას ქალთა განყოფილების მიერ.

დელეგატი ქალები მოისუსტებენ პრაქტიკულ სამუშაოებში, დელეგატ ქალებმა მხოლოდ ორ რაიონში ჩააბარეს ანგარიში თავიანთ ამომრჩევლებს. თანახმად სამაზრო კომიტეტის დადგენილებისა გამოყოფილ იქნა კომისია სადელეგატო პუნქტების შედეგების გამოსარკვევად. აღრიცხვაზე აყვანილია დელეგატები დაახლოებით სამას ქალამდე.

უჯრედის ღია კრებებზე დელეგატი ქალებიც ესწრებიან და საკითხების გარჩევაში მონაწილეობას იღებენ. მთელ მაზრაში პარტიის წევრი და კანდიდატების (ქალების) რიცხვი 37-ს უდრის.

წარსულთან შედარებით წელს საბჭოს არჩევნებში უფრო მეტი აქტივობა გამოიჩინეს გლეხის ქალებმა. მთელ მაზრის მასშტაბით 63 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა ამ არჩევნებში. საერთოდ არჩევნებში იქნა გაყვანილი 205 ქალი.

ქალები მათი გააქტივების მიზნით იყვნენ გაყვანილი პრეზიდიუმის და სარევიზიო კომისიის წევრად. მთელი მაზრა დაყოფილი იყო ხუთ რაიონათ, სადაც ჩატარდა საბჭოს წევრ-ქალების თათბირი. ამ თათბირებზე კეთდებოდა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე, მოხსენებები ადგილებიდან და საინსტრუქციო მოხსენება.

მაზრაში არსებობს ოთხ ადგილას ქალთა არტელი. ვეჯინში, კოლაგში, ახალშენში და კარდანახში. ერთი ამათგან მეაბრეშუმეთა არტელია, სადაც არის შეკავშირებული 18 ქალი და სამი კაცი, მოიყვანეს კოლექტიურად 12 მისხალი აბრეშუმის ჭია და მიიღეს საუკეთესო შემოსავალი. პარკი მიჰყიდეს ცეკავშირს, თითეულ არტელის წევრ ქალმა მიიღო 18 მან. ფული, მეორე სამი არტელი არის სამეურნეო, სადაც არიან შეკავშირებული 21-დან 23-მდე ქალი, დათესილი აქვთ ბამბა, პირველ ხანებში თითქმის უყურადღებოთ იყო დატოვებული, მაგრამ ახლა მუშაობა გამოცოცხლდა. ბამბა საუკეთესოთ აქვთ დამუშავებული. რაიონული აგრონომი ყურადღებას აქცევს მათ.

სასურველი იქნება, რომ ამნაირი კოლექტიური მუშაობა ქალთა შორის განმტკიცდეს და უფრო მეტი ყურადღება მიექცეს მათ გააქტივობას.

ზაფხულის განმავლობაში მთელ მაზრაში შეწყვეტილი იყო სადელეგატო პუნქტის მეცადინეობა და მიმდინარეობდა მასიური კრებები.

სიღნაღის მაზრა დიდი მაზრაა, აქ უფრო მეტი მუშაობაა საჭირო. ჩვენ ორ რაიონში ([illegible] და მაჩხაანში) არა გვყავს ორგანიზატორი ქალები, საჭიროა ცეკას ქალთა განყოფილებამ გვიგზავნოს ორი ორგანიზატორი, რითაც გვეძლევა შესაძლებლობა ხსენებულ რაიონებში გავაცხოველოთ მუშაობა.

ნ. გოგოლაშვილი.

კომკავშირში

უვარგისი ბიურო

სახელმწიფო უნივ. ამხ. მიხა კახიანის სახელობის ქართულ მუშფაკის კომკავშირის ბიურო კოლექტივის გაფართოებულმა სხდომამ, ამავე ორგანიზაციის აქტივთან ერთად, მოისმინა მოხსენება, ამხანაგ ცაგარელის დროებითი უჯრედის ბიუროს საქმიანობის შესახებ. კრება ბიუროს აღებულ ხაზს არ სცნობს სწორად და მუშაობაც დაუკმაყოფილებლად მიაჩნია.

მიუხედავად იმისა, რომ ბიურო ხელმძღვანელი უნდა იყოს უჯრედის, ბიურომ ეს მისი მოვალეობა ოდნავადაც არ შეასრულა, რის გამოც უჯრედში ადგილი ჰქონდა დისციპლინის სრულ დარღვევას. კრება აღშფოთებით აღნიშნავს ამ გარემოებას, რომ ამ უჯრედის ზოგიერთმა უკმაყოფილო წევრებმა თავის დეზორგანიზატორული გამოსვლებით შეცდომაში შეიყვანა უჯრედი და თავზე მოახვია მას ნახევრად მენშევიკური რეზოლიუცია ინგლის - რუსეთის კომიტეტის შესახებ. მაშინ, როდესაც უჯრედის დიდი უმრავლესობა წინააღმდეგი იყო რეზოლიუციის. კრება აღნიშნავს, რომ მუშფაკის კომ. ორგანიზაციაში დისციპლინის ასეთ დამახინჯებას ჯერ ადგილი არ ქონია.

აქტივის კრებას არ შეუძლია გულის წყრომა არ გამოსთქვას იმ ფრაქციულ უნიანობით შეპყრობილ ოპოზიციონერ დეზორგანიზატორების მიმართ, რომლებიც უხეშად არღვევენ კომკ. წესდებას. აქტივის კრება სიამოვნებით ხვდება იმ დადგენილებას, რომელიც გამოიტანა ჩვენი კომკ. უმაღლესმა ორგანოებმა მუშფაკელ კომკ. ოპოზიც. წინააღმდეგ და ერთხელ კიდევ სთხოვს ბიურო - კოლექტივს, რომ მან მიიღოს გადამწყვეტი ზომები იმათ წინააღმდეგ, ვინც სცდილობს ლენინური კომკ. რიგების შერყევას.

ძირს ტროცკისტები.

ძირს ფრაქციონერები.

გაუმარჯოს კომკ. ლენინურ ცეკას!

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტური პარტიის ბელადს!

ჭიათურა

5 ოქტომბერს, ჭიათურის ცენტრალურ კლუბში შესდგა 14 სამრეწველო, 11 გლეხურ და მოწაფე ახალგაზრდობის ალკკ. უჯრედთა გაერთიანებული კრება. კრებაზე მოხსენებით გამოვიდა პარტიულ რაიკომის მდივანი ამხ. ზ. თალაკვაძე. მომხსენებელი შეეხო საკ. კომპ. ცეკას და ცენტრ. საკ. კომ. გაერთიანებულ პლენუმის შედეგებს და გააშუქა აგრეთვე საქ. კომპ. ცეკას პლენუმის მუშაობაც.

კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია, სადაც, სხვათა შორის ნათქვამია:

„ლენინურ ცეკას სწორი ხელმძღვანელობის შედეგით საბჭოთა კავშირს უკანასკნელი წლების განმავლობაში აქვს მთელი რიგი სამეურნეო მიღწევანი. მშრომელი მასა გაიზარდა პოლიტიკურად, კულტურულად და მისი ნივთიერი მდგომარეობა დღითი დღე უმჯობესდება.

სწორეთ ამიტომაა, რომ საერთაშორისო ბურჟუაზია არ ისვენებს და ყოველნაირად ცდილობს, რომ ომში ჩააბას საბჭოთა კავშირი. პარტიის ოპოზიციონური ელემენტები ამ მდგომარეობას არ უწევენ ანგარიშს და სწორეთ ეხლა აქვთ გაფართოებული იერიშები ლენინურ ცეკას წინააღმდეგ.

ჭიათურის კომკავშირი მტკიცედ იდგა ლენინურ რიგების სადარაჯოზე და მომავალშიაც მტკიცედ დაიცავს თავის წინამძღოლის კომუნისტურ პარტიის და საკუთარ რიგების მთლია-

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ხიდების აგება

ოზურგეთი, 11 ოქტომბ. დასრულდა ქალაქის ხიდის აგება მდ. სკურჩაზე და აგრეთვე ფაბრიკის ქუჩაზე, რომელიც ქალაქთან აერთებს აბრეშუმის სახვევ ფაბრიკას. ორივე ხიდი დაჯდა 6.000 მან. (ადს).

წვიმები გურიაში

ოზურგეთი, 11 ოქტ. მეორე დღეა მოდის ძლიერი წვიმა. მუშაობა მინდვრად ხელმეორედ შესწყდა. ყანებშივეა მიტოვებული დატეხილი და მოგროვილი სიმინდის ტარო და ჩალა. საურმე გზები დაზიანებულია, სასოფლო გზებზე შესწყდა ურმების მოძრაობა (ადს).

ოქტომბრის ზეიმი

სოხუმი, 12 ოქტომბ. 5 ნოემბერს სოხუმის ყველა კლუბებსა და წითელ კუთხეებში გაიმართება ოქტომბრის რევოლიუციის მოსაგონარი საღამოები.

6 ნოემბერს გაიმართება სასკოლო დილები და ფიზკულტურელთა მონაწილეობით გაიხსნება სტადიონი. იმავე დღეს საღამოს სოხუმის ქუჩებში, თავდაცვა - ავიაქიმის საზოგადოების მონაწილეობით გაიმართება ომის იმიტაცია.

თეატრებსა და კლუბებში გაიმართება უფასო წარმოდგენები.

7 ნოემბერს გაიმართება პროფკავშირთა მსვლელობა და მიტინგი. იმავე დღეს გაიმართება დოღი, მოეწყობა გამოფენა და სხვ. (ადს).

წერილები

გლეხკორები და საბჭოთა სოფელი

სოფლის ყოფა-ცხოვრების გაშუქებისათვის და აგრეთვე იმ ნაკლოვანებათა თავის დროზე აღმოსაფხვრელად, რომელიც იჩენს თავს ამა თუ იმ ორგანიზაციისა და კერძო პიროვნების საქმიანობაში, გლეხკორის კალამს ენიჭება საკმაოდ დიდი მნიშვნელობა. სწორედ ამიტომაა, რომ გლეხკორთა მომზადებული კადრის შექმნას დათმობილი აქვს განსაკუთრებული ადგილი.

გლეხკორთა მომზადების ერთგვარ სკოლად ითვლება ადგილობრივი კედლის გაზეთები. რომლის საშუალებით ისინი იძენენ საკმაო ცოდნასა და გამოცდილებას, რომ მომავალში უფრო ადვილად შესძლონ ცენტრალური გაზეთებში თანამშრომლობა.

დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ არ არის ისეთი სოფელი, სადაც თითო-ოროლა მაინც არ მოიპოვებოდეს ისეთი პირი, რომელსაც შეუძლია გაზეთის საშუალებით ამცნოს ფართო მასებს თავისი სოფლის ავ-კარგი, მისი აღმშენებლობა-წარმატება, თუ ნაკლოვანებანი. გლეხკორს ხშირად აგრეთვე მზის სინათლეზე გამოაქვს ამა თუ იმ პირის მიერ ჩადენილი უკანონო საქციელი, თუ ბოროტმოქმედებანი.

სოფლის პირობებში კი კანონისადმი გვერდის ახვევას და სხვა ავარ სიმახინჯეს უფრო ხშირად შევხვდებით, ვინემ ქალაქად, ამიტომ გლეხკორების ფხიზელ თვალს და მათ საქმიანობას საგრძნობი ნაყოფი მოაქვს ხელისუფლებისა თუ სხვა ორგანოების მუშაობის გაჯანსაღებაში.

საბჭოთა წყობილების გულწრფელი მოამაგისათვის გლეხკორების ეს მითითებები და მხილებანი უსათუოდ დიდ თანაგრძნობას უნდა იწვევდეს, მაგრამ სოფლად მომუშავე ყველა პირები როდი იქცევიან ასე. თუმცა გამონაკლის შემთხვევებში, მაგრამ მაინც ხდება გლეხკორების დევნა იმათ მიერ, ვის შესახებაც გაზეთში გამოქვეყნდა მისი უარყოფითი მოქმედებანი. ასეთი პირები ნაცვლად იმისა, რომ შემდეგისათვის მაინც შეეცადონ ნაკლოვანებების გამოსწორებას, სარგებლობენ რა თავიანთი მდგომარეობით, ყოველმხრივ ცდილობენ როგორმე გაიგონ გლეხკორის ვინაობა, რომ მასზე პირადული შური იძიონ. ასეთებს დღემდისაც ვერ შეუგნიათ, რომ არსებული კანონმდებლობის მიხედვით სასტიკად ისჯება ის, ვინც გლეხკორის დევნას მიჰყოფს ხელს. საჭიროა არა გლეხკორის ვინაობის ძებნა, არამედ ნაკლის გამოსწორება.

აქვე უნდა აღინიშნოს აგრეთვე ერთი გარემოებაც, როდესაც გლეხკორი ამა თუ იმ საკითხის შესახებ აპირებს გაზეთში წერილის მოთავსებას, მან ეს საკითხი წინასწარ კარგად უნდა შეისწავლოს, გამოარკვიოს სრული ჭეშმარიტება და შემდეგ მოიყვანოს სისრულეში თავისი განზრახვა, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია გლეხკორმა ტყუილ-უბრალოდ მიაყენოს შეურაცყოფა პატიოსან მუშაკს და ამით საერთო საქმესაც ავნოს.

გლეხკორი.

სოფ. მანავი, თბილისის მაზრა
ჩვენც მოგვაქციეთ ყურადღება

გასული წლის ენკენისთვეში, სოფელ მანავში ჩოდრებმა მორეკეს შვიდი სული საქონელი, მუშა-კამეჩები საკლავ საქონელზე გადასაცვლელად და ჩვენი თემის აღმასკომს წარუდგინეს სარწმუნო საბუთები წითელ წყაროს თემაღმასკომისაგან, რომ საქონელი ნამდვილად მათ ეკუთვნოდათ.

ადგილობრივი აღმასკომის თანხმობით სოფელ მანავის ოთხმა კომლმა ჩოდრებს გადაუცვალეს ეს საქონელი. ბალია დამახიშვილმა მისცა ერთ კამეჩში ერთი ხარი და ერთი მანეთი ფული, გიორგი მათიაშვილმა სამ კამეჩში მისცა სამი სული საქონელი და ხუთი თუმანი ფული, შაქრო ძირაშვილმა ორ კამეჩში მისცა ორი სული საქონელი და ხუთი თუმანი ფული და საქულ ბერიაშვილმა ერთ კამეჩში მისცა ერთი ხარი და ხუთი თუმანი ფული.

ეს შეთანხმება მოხდა თემის აღმასკომის საშუალებით და როგორც მყიდველებმა, ისე ჩოდრებმა ერთმანეთს საბუთები მისცეს.

ხსენებული პირები ათი თვის განმავლობაში ამუშავებდნენ ნაყიდ საქონელს, ხოლო მიმდინარე წლის თიბათვეში ჩვენი თემის აღმასკომში გამოცხადდა სიღნაღის მაზრის, სოფელ კაჭრეთის მილიციის უფროსი, რომელმაც ნაყიდი საქონელი გლეხობას ჩამოართვა, მყიდველები დააპატიმრა და ერთი თვით ციხეში იჯდნენ. ამით გლეხობა ძალზე დაზარალდა და ჩამორთმეულ საქონელსაც აქამდის პატრონი არავინ აღმოჩნდა.

ვაქცევთ ამას სათანადო ორგანოების ყურადღებას, ჩვენ მოვითხოვთ, რათა გლეხობას დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს კანონიერი გზით შეძენილი და უკანონოთ ჩამორთმეული კამეჩები და ს. კაჭრეთის მილიციის უფროსს კი მოეთხოვოს სათანადო პასუხი უკანონო მოქმედებისათვის.

დ. ვეძელი.

სოფლის ქრონიკა

— **თამბაქო.** წელს აფხაზეთში დაამზადეს— 57.734 კილო ფოთოლი თამბაქო.

— **სკოლა.** სოფ. ნაქერალის თემში (ლეჩხუმი) გლეხებმა ააგეს გლეხთა ახალგაზრდობის სკოლის შენობა.

— **საკრ. ამხ-ბა.** გომბორში ახლო ხანში გაიხსნება სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობა.

— **გადასახადისაგან განთავისუფლება.** თელავის მაზრაში სასოფლო - სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებული იქნა ღარიბესი გლეხების 2690 მეურნეობა.

— **საბავშვო ბაღი.** ახალციხეში მშობელთა წრემ გახსნა საბავშვო ბაღი.

— **რთველი.** თელავის მაზრაში დამთავრდა რთველი. ღვინის მოსავალი წელს 40 პროც. ნაკლებია შარშანდელთან შედარებით.

— **პიონერთა გაზეთი.** ცხინვალში გამოვიდა პიონერთა გაზეთი ოსურ ენაზე.

— **ტელეფონი.** შეუდგნენ ტელეფონის ქსელის გაყვანას ოჩემჩირესა და ტყვარჩელს შორის.

— **ხე-ტყის ქარხანა.** სოფ. აგარაში (ახალციხეში) გლეხკომმა მოაწყო ხე-ტყის სახერხი ქარხანა.

— **თათბირი.** სოხუმში ნოემბრის პირველ რიცხვებში გაიხსნება აფხაზეთის აფთიაქების გამგეთა თათბირი, მცხოვრებთათვის წამლეულობის მიწოდების საქმის გასაუმჯობესებლად.

მუშათა ცხოვრება

გავაცხოველოთ ამ მხრივ მუშაობა

წარმოების თვითღირებულების დაწევა ერთი მთავარი საშუალებათაგანია საცალო ფასების შემდეგი დაკლებისათვის და საერთოდ ჩვენი წარმოების აღორძინებისათვის.

საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის უკანასკნელ პლენუმის დადგენილების თანახმად, მომავალ 1927—28 საბიუჯეტო წლისათვის ნაწარმოების თვითღირებულება უნდა შემცირდეს ხუთი პროცენტით. ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალ საბიუჯეტო წლის განმავლობაში უნდა გავაძლიეროთ ჩვენი მუშაობა შრომის ნაყოფიერების ასაწევად, მომჭირნეობის რეჟიმის ცხოვრებაში გასატარებლად, ზედნადებ ხარჯების შესამცირებლად და სხვა, რათა შედარებით მიმდინარე საბიუჯეტო წელთან საგრძნობლად ავსწიოთ და ავაყვავოთ ჩვენი მეურნეობა.

სათანადო მუშაობა უკვე სწარმოებს ჩვენს ფაბრიკა - ქარხნებში. ადმინისტრატიული ხარჯების შემცირება სწრაფი ნაბიჯით მიმდინარეობს, მაგრამ საქონლის თვითღირებულების დასაკლებად ზოგიერთ წარმოებებში ჯერ - ჯერობით არაფერი გაკეთებულა.

ამ მხრივ მხოლოდ რკ. გზის მთავარ სახელოსნოს საწარმოო თათბირმა და ადმინისტრაციამ გადადგა ნაბიჯი. მათ საქონლის თვითღირებულების დაწევის მიზნით შეიმუშავეს ღონისძიებანი მუშების მიერ დამზადებულ ამა თუ იმ ნაწარმოების ფასის შესამცირებლად და ნაწილობრივ გაატარეს კიდეც ცხოვრებაში. მაგრამ ვერც აქ არის სასურველ დონეზე დაყენებული საქონლის თვითღირებულების დაკლების საქმე. ზოგ საქონელზე ძალიან ბევრია დაკლებული, ზოგზე კი სულ უმნიშვნელო. ეს გარემოება კი გაუგებრობას ჰქმნის მუშებში და ხელს უშლის ნაწარმოების ხარისხის აწევასაც.

ფაბქარხკომებმა და განსაკუთრებით კი საწარმოო თათბირებმა ანგარიში უნდა გაუწიონ ამ მოვლენას და საქონლის თვითღირებულების დაკლება ჩაატარონ სწორად და მიზანშეწონილად. საწარმოო თათბირებმა უნდა გააცხოველონ ამ მხრივ მუშაობა, მუშების საერთო კრებებზე უნდა დასვან საქონლის თვითღირებულების დაკლების საკითხი და მისცენ მუშებს ახსნა - განმარტება ამ საკითხის მნიშვნელობის შესახებ.

ამ მუშაობას ხელი უნდა შეუწყოს ყველა პატიოსანმა მუშამ, ყველა პროფკავშირის წევრმა და განსაკუთრებით კი მუშა - კორესპონდენტებმა. რომლებმაც უნდა გამოამჟღავნონ ნაკლოვანებები და მიღწევები საქონლის თვითღირებულების დაკლების საქმეში.

მუშკორებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ საკითხის გარჩევაში და ხელი შეუწყონ მის მიზანშეწონილად გადაჭრას.

X.

—:—

განგებ აჭიანურებს საქმეს
(აღმასკომის საყურადღებოდ)

აღმასკომის უძრავ ქონებათა განყოფილებას კანცელარიის გამგის მოქ. სალუქვაძის ბიუროკრატიულ საქციელს, ბოლო არ ელება. ამ ბიუროკრატს არა ერთი შენიშვნა მიუღია ადგილკომისაგან მისი ასეთი საქციელის გამო, მაგრამ ის მაინც განაგრძობს თანამშრომლებისადმი უდიერად მოპყრობას.

სალუქვაძე თავის უფროსებთან როგორც მგელი ისე იქცევა, ხოლო თანამშრომლებთან კი ის ნამდვილად ძველი ჩინოვნიკია. ხშირად განგებ აჭიანურებს და აფერხებს ყოველგვარ საქმეს.

29 სექტემბერს, ამხ. კაველაძემ, სალუქვაძეს მიუტანა შესამოწმებელი ქაღალდი. სალუქვაძემ არ შეუმოწმა ქაღალდი და მიუხედავად იმისა, რომ საქმის მწარმოებელი შვებულებაში იყო, მაინც გაგზავნა მასთან ხელის მოწერის შესამოწმებლად.

ამხ. ტოროშელიძემ, იმისათვის, რომ მოქ. სალუქვაძეს დაეჯეროს ის, რომ საქმის მწარმოებელი შვებულებაშია, კაველაძეს გააყოლა ინსტრუქტორი, მაგრამ სალუქვაძემ არც ამ ინსტრუქტორს დაუჯერა და მეორეთ მისულ კაველაძე ისევ უკან გამოაბრუნა. ისე, რომ 2 წუთის საქმე მოქ. სალუქვაძემ გააჭიანურა სამი საათი, რის გამო საქმის შესრულება შეფერხდა.

საჭიროა უძრავ ქონებათა განყოფილების გამგემ მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას და მიიღოს ზომები ბიუროკრატ სალუქვაძის გამოსასწორებლად.

მუშკორი თანამშრომელი.

—:—

კერძო საქმის ხმარდება
(წერილი სვანეთიდან)

ხე - ტყის მრეწველობის ტრესტის სვანეთის რაიონის კანცელარიას აქვს ერთი ეტლი, რომლის დანიშნულებას შეადგენს ადმინისტრაციის და თანამშრომლების სამსახურის საქმისათვის გადაყვან - გადმოყვანას რაიონის ფარგლებში, მაგრამ ეტლი ვერ ხმარდება თავის დანიშნულებას იგი ხშირად დაყავთ კერძო პირებს თავის საჭიროებისათვის, რის გამო ხე - ტყის მრეწველობის ტრესტის სარაიონო კანცელარიას უხდება კერძო ეტლის დაქირავება. ეს კი იწვევს [illegible] ზედმეტ ხარჯებს, რაც სრულიად დაუშვებელია. ეტლი უნდა ხმარდებოდეს მხოლოდ სამსახურის საქმეს და არა კერძო პირებს.

ხე - ტყის მრეწველობის ტრესტმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას.

კამარად.

—:—

ერთგული მუშა

ამხ. სავინსკი 48 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ მტკიცეთ და ერთგულათ ემსახურება რკინის გზას. 40 წელიწადი ამხ. სავინსკი მუშაობდა უბრალო მუშათ, ხოლო უკანასკნელ ხანებში პროფკავშირმა იგი წამოაყენა სამჭედლო საამქროს გამგის თანამდებობაზე, რომელსაც ამხ. სავინსკი ჩვეულებრივ ერთგულად და პირნათლად ასრულებს.

ამ ხნის განმავლობაში ამხ. სავინსკის აქვს მრავალი გამოგონებები, რომლებმაც დიდათ გააუმჯობესეს წარმოება და აწიეს შრომის ნაყოფიერებაც. ბაქოს მთავარ სახელოსნოში მან მოაწყო „ლესორების „კალკი“-ს ფურცლების დამამზადებელი ღუმელი, რომელმაც დიდი სარგებლობა მოუტანა წარმოებას. მოაწყო აგრეთვე სხვადასხვა სამუშაო და გზები და სხვა ხელსაწყო იარაღები, რისთვისაც ა.-კ. რკ. გზის საგზაო კომიტეტმა 1921 წელს მიანიჭა შრომის გმირის სახელწოდება.

ამხ. სავინსკი დღესაც დაუღალავად და ერთგულად განაგრძობს მუშაობას და თავისი ენერგიული მუშაობით ახალისებს ახალგაზრდა მუშებსაც.

გარისელი.

საყურადღებო წვრილმანი

რათ ხდება ასე

ამას წინათ ერთ საბჭოთა მოსამსახურეს დამზღვევ სალარის ექიმმა გამოუწერა წამალი, რომელიც არც ერთ აფთიაქში არ იშოვებოდა. ბოლოს, როგორც იქნა დაზღვეულმა ეს წამალი იშოვა ყოფ. „ლენინის“, საბჭოთა მეორე აფთიაქში.

აფთიაქის გამგემ რატომღაც უფულოდ არ მისცა დაზღვეულს ეს წამალი, რის გამო დაზღვეული იძულებული გახდა ისესხა ფული და შეეძინა მისთვის საჭირო წამალი.

ჩვენის აზრით დაზღვეულს ყველა აფთიაქიდან უფასოთ უნდა ეძლეოდეს წამალი. საბჭოთა მეორე აფთიაქში კი ეს ასე არ ხდება.

იმედია სააფთიაქო განყოფილება მოგვცემს ახსნა-განმარტებას ამ საქმის შესახებ.

შაქრო ნავთლუღელი.

დაიხსენით გაჭირვებისაგან

ლენინის უბანში, როსტოვის ქ., სახლი № 1-ში, სცხოვრობს მოქ. დ. პაპიაშვილი, რომელთანაც იმყოფება მისი ძმის ობოლი 13-14 წლის ქალი. დ. პაპიაშვილი თითქმის ყოველ დღე უმიზეზოდ ეჩხუბებოდა 13 წ. ბავშვს და მოსვენებას არ აძლევდა.

ერთ მშვენიერ დღეს ამ ქალბატონმა ძმის შვილი სახლიდან გააგდო და ქუჩაში უპატრონოდ დასტოვა. ბავშვი აუტანელ მდგომარეობაშია, როგორც სიმშილის, ისე ჩაცმა-დახურვის მხრივ. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს ლენინის უბნის ქალთა განყოფილებამ და იხსნას ბავშვი გაჭირვებისაგან.

გ. მთვარაძე.

სახლია თუ უდაბნო
(აღმასკომის საყურადღებოდ)

თეატრალურ ქუჩაზე მდებარე სახლი № 1-ლი ეკუთვნის ქალაქის აღმასკომს. სახლი უზარმაზარია, მაგრამ იმდენად არის დაძველებული და დაზიანებული, რომ საშუალო საუკუნეების ციხეს გვაგონებს. სახლის ქვედა სართულში სინათლე თითქმის სრულიად არ შედის. კედლები მთლად გაშავებულია როგორც გარედან, ისე შიგნიდან. ეზოში დგას ძველი მანქანები, არის უსუფთაობა, სიბინძურე და სხვა.

სახლის შესაკეთებლად კი სრულიად უმნიშვნელო თანხა საჭირო. აღმასკომმა უნდა იზრუნოს ამაზე.

მდგმური.

ინდუსტრიალიზაციის სესხი

ხელისმოწერა ფაბრიკა-ქარხნებში

ტყავ-ტრესტის ქარხანაში

ტყავ-ტრესტის ქარხნის მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებამ, რომელსაც დაესწრო 293 კაცი, დიდი აღფრთოვანებით მოისმინა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობის შესახებ და ერთხმად დაადგინა, რომ არც ერთი არ დარჩეს ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელმოუწერელი. კრების მეორე დღეს ქარხკომში მუშების ტევა არ იყო, აწერდნენ ხელს და ყველას სახე უღიმდა. ორ დღეში ხელი მოაწერეს— 2.010 მანეთის ობლიგაციებზე. ზოგიერთი მუშა ორ-სამ ობლიგაციას იძენდა.

ტრამვაის სახელოსნოში

ტრამვაის სახელოსნოში დიდი აღფრთოვანებით ჩატარდა ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელის მოწერა. ვერ ნახავთ ისეთ მუშა-მოსამსახურეს, რომელიც არ სცდილობდეს ობლიგაციის შეძენას. დღემდე უკვე ხელი მოაწერეს 6.247 მანეთის ობლიგაციებს. ხელის მოწერა გრძელდება.

ტრამვაის მოძრაობის დარგში

მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეები დიდი ხალისით ეგებებიან ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელის მოწერას, ჩატარებული იქნა ფართო კამპანია, რომლის დროს 3.421 მან. 60 კაპეიკის ობლიგაციებზე მოაწერეს ხელი. ხელის მოწერა ჯერ არ დამთავრებულა.

ბამბის და ზეთის ქარხანაში

11 ოქტომბერს მოხდა კომუჯრედის ღია სხდომა, კრებას დაესწრო სამოცი კაცი, მომხსენებელმა გააცნო კრებას ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. კრებამ ერთხმად დაადგინა: ყველამ ხელი მოაწეროს ინდუსტრიალიზაციის სესხზე. არჩეულია ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა ჩაატაროს ფართე კამპანია, რათა ბამბისა და ზეთის ქარხანაში არ დარჩეს არც ერთი მუშა-მოსამსახურე, ხელმოუწერელი სესხის ობლიგაციაზე.

კოლოფების ქარხნის მუშებში

გუშინ, 12 ოქტომბერს სახელმწიფო კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალის“ სასადილოს შენობაში შესდგა ხსენებულ ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებაზე ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა სახელმწიფო ბანკის წარმომადგენელმა ამხ. დევიძემ.

კრებამ გამოიტანა სათანადო რეზოლიუცია და ობლიგაციების რეალიზაციისათვის აირჩია კომისია ამხ. მურადოვის, გამბაროვის, შლიფერის, ოქუაშვილის და კომანსკის შემადგენლობით.

ასოთ-ჩამომსხმელ ქარხანაში.

10 ოქტომბერს შესდგა საქართველოს პოლიგრაფტრესტის ასოთ-ჩამომსხმელ ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება.

ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ოგანეზოვმა, რომელიც ვრცლად შეეხო ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობას და მოუწოდა დამსწრეთ, რათა არც ერთი მუშა-მოსამსახურე უობლიგაციოთ არ დარჩენილიყო.

ამ ქარხანაში მუშაობს სულ 19 მუშა; მათ ხელი მოაწერეს 820 მანეთის ობლიგაციას.

მაკარონის ქარხანაში

მაკარონის ქარხანაში მოხდა ქარხკომის კრება; კრებას მიზნად ჰქონდა დასახული ქარხანაში ფართო კამპანიის ჩატარება ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელის მოწერის შესახებ. ქარხკომმა აირჩია კომისია ხუთი კაცისაგან შემდგარი. რომელიც უკვე აწარმოებს კამპანიის ჩატარებას.

კამოს სახ. საფაბრ-საქარხნო სკოლაში

კამოს სახ. საფ.-საქარხნო სკოლის მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებამ, რომელსაც დაესწრო 60 კაცამდე, მოისმინა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობის შესახებ, კრებამ დაადგინა არც ერთი კაცი არ დარჩეს სესხზე ხელმოუწერელი.

„ზაკტპო“-ში

ამ.-კავკ. რკ. გზ. კავშირში მოხდა „ზაკტპოს“ და ა.-კ. რკ. გზ. პროფკავშირის თანამშრომელთა გაერთიანებული კრება. კრებას დაესწრო 130 კაცი. მოხსენება გააკეთა ამხ. გობერზაშვილმა, ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობის შესახებ. თანამშრომლებმა სურვილი გამოსთქვეს კოლექტიურათ მოაწერონ ხელი ინდუსტრიალიზაციის სესხზე.

ქეჩისა და ფეხსაცმელების ქარხანაში

ქეჩისა და ფეხსაცმელების ქარხანაში 10 ოქტომბერს შესდგა მუშა-მოსამსახურეების საერთო კრება. კრებას დაესწრო 245 კაცი. ჯერ კიდევ ფინსახკომის წარმომადგენელს არ დაემთავრებინა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობის შესახებ, რომ ხალხმა ტაში დაჰკრა და დაიყვირა: „გაუმარჯოს ინდუსტრიალიზაციის სესხს და ჩვენს აღმშენებლობას“. 245 კაცმა ერთხმად დაადგინა მოაწერონ ხელი ობლიგაციებზე.

რ. ლიუქსემბურგის სახელობის ქარხანაში

ამხ. რ. ლიუქსემბურგის პირველი სახელმწიფო თუთუნის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების რეალიზაციის შესახებ მოხსენება გააკეთა სახელმწიფო ბანკის წარმომადგენელმა, რომელმაც დაახასიათა საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობა და გააცნო დამსწრეთ ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობა და მისი განაღდების პირობები.

მოხსენების ირგვლივ კრებამ მიიღო სათანადო რეზოლიუცია, სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ თვითეული მუშა-მოსამსახურე ხელს შეუწყობს ობლიგაციების გავრცელებას.

ამ მიზნით ქარხკომმა მუშაობა უკვე დაიწყო. ობლიგაციებზე ხელის მოწერა სწარმოებს კოლექტიურად.

ქიმიკოსთა ქარხანაში

ქარხკომის კრებაზე ფინსახკომის წარმომადგენელმა გააკეთა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ. მომხსენებელმა მოუწოდა ქარხკომს, რათა ხელი მოაწერონ ინდუსტრიალიზაციის სესხს. კრებამ აირჩია კომისია, რომელიც უკვე შეუდგა სესხზე ხელის მოწერის ჩატარებას; მუშა-მოსამსახურეები აღტაცებით აწერენ ხელს სესხზე.

სავაგონო პარკში

12 ოქტომბერს შესდგა თბილისის სავაგონო და მატარებლის გამცილებელთა გუნდის მუშა-მოსამსახურეთა კრება ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ. მოხსენება გააკეთა ამხ. ფანცხავამ, რომელმაც გააცნო მუშებს ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობა. მომხსენებელმა მოუწოდა მუშა-მოსამსახურეებს უკლებლივ მიიღონ მონაწილეობა სესხის რეალიზაციაში. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ბევრ მუშებმა.

წინასწარ გამოანგარიშებით კოლექტიური ხელის მოწერით შეგროვილი იქნება არა ნაკლებ 20.000 მანეთის. კრებამ ერთხმად დაადგინა ასი პროცენტით მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ ობლიგაციების შეძენაში.

მუშკორი ლევ. გუნია.

რკინის-გზის საავადმყოფოში

10 ოქტომბერს რკ. გზის საავადმყოფოში შესდგა მუშა-მოსამსახურეების საერთო კრება, ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. დგებუაძე.

მომხსენებელმა გასაგები ენით გააცნო კრებას ინდუსტრიალიზაციის სესხის დანიშნულება და მისი ობლიგაციების შეძენის პირობები.

კრებამ ერთხმად გამოსთქვა სურვილი ასი პროცენტით კოლექტიურად ხელი მოაწეროს სესხზე. 125 თანამშრომელმა კრების დამთავრებამდე მოაწერა ხელი ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციაზე. ობლიგაციების რეალიზაციისათვის კრებამ გამოჰყო კომისია, რომელიც აწარმოებს ხელის მოწერას.

გრ. აფხაზავა.

ხელის მოწერა ადგილებზე

ქუთაისში

ქუთაისი, 11 ოქტომბერი. წარმატებით მიმდინარეობს ხელმოწერა ინდუსტრიალიზაციის სესხზე. ერთ დღეს სახელმწიფო ბანკის თანამშრომლებმა, „26 კომუნარის“ სახელობის თამბაქოს ფაბრიკის და სტამბის მუშებმა შეიძინეს 2.330 მან. ობლიგაცია. (ადს).

ბორჯომში

ბორჯომი, 12 ოქტომბერი. ბორჯომის მინის ქარხნის 450 მუშამ ერთხმად გადასწყვიტა ინდუსტრიალიზაციის სესხის 5.625 მანეთის ობლიგაციის შეძენა. ობლიგაციების ღირებულება გადახდილი იქნება 4 თვის განმავლობაში. (ადს).

სოხუმში

სოხუმი, 12 ოქტომბერი. ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელის მოწერის მეორე დღეს ქალ. სოხუმის მუშა-მოსამსახურეებში გასაღდა 5.620 მან. ობლიგაცია. (ადს).

ბორჩალოს მაზრაში

მაზრაში წარმოებულ მუშაობაში უნდა აღინიშნოს შემდეგი ნაკლოვანებანი და მიღწევები:

მიწის მოწყობის დროს 26 სოფელში აღმოჩნდა თავისუფალი მიწა 1.500 დესეტინა. დანარჩენ სოფლებში მიწათმოწყობა ინტენსიურად მიმდინარეობს. არის სოფლები, რომლებ შორის სწარმოებს დავა მიწების გამო, საჭიროა სათანადო ცენტრალურ ორგანოს მიერ ხსენებული დავა მოგვარდეს. მიწის ყიდვა-გაყიდვა, რომლის წინააღმდეგ სათანადო ბრძოლას აწარმოებდა მაზრა, ნელ-ნელა ისპობა.

აგროდახმარების საქმე მაზრაში მოიკოჭლებს, რაც აიხსნება იმ გარემოებით, რომ მაზრას არ ჰყავს სათანადო რიცხვი აგრო-მუშაკებისა.

ტყეები მაზრაში 80 ათასი დესეტინაა. მუხის ნაწილიდან მზადდება საკმაო რაოდენობის შპალები. ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეები მოსახლეობის მიერ ნადგურდება, რაც იწვევს მდინარეების დაშრობას, რის გამო მთელი რაიონები უწყლოთ რჩებიან. ტყეები შედარებით დაცულია იმ რაიონებში, სადაც გერმანელები და სომხები სცხოვრობენ.

ვეტერინალური საქმე ძალზე მოისუსტებს. მაზრას ჰყავს 2 ექიმი, რაც ისეთ მესაქონლეობის მაზრაში, როგორიცაა ბორჩალოა, უნდა ჩაითვალოს ზღვაში წვეთად.

გლეხობას ვერ ეწევა სათანადო ტეხნიკური დახმარება სახლების აშენების დროს, რის გამო აქვს ადგილი უგეგმოდ სახლების შენებას.

სოფლის მნიშვნელობის გზების შეკეთება, რომელიც მოსახლეობის ინიციატივით სწარმოებს, სასურველად მიდის. მხოლოდ გზატკეცილი, რომელიც მაზრას აერთიანებს თბილისთან, არის მეტად ცუდ მდგომარეობაში. გზათა სამმართველო მის შეკეთება-მოვლას ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

მაზრას არ აქვს საავადმყოფო. არის 3 აფთიაქი, მაგრამ მათში საჭირო წამალი საკმაო რაოდენობით არ მოიპოვება.

ტელეფონის ხაზით საჭიროა მაზრის ცენტრს შეუერთდეს დაშორებული რაიონები, რაც მაზრას საჭირო შემთხვევებში ძლიერ დაეხმარება.

მრეწველობას, რომელსაც ფართო ნიადაგი აქვს მაზრაში, არ ექცევა ყურადღება სათანადო ცენტრალურ ორგანოებიდან. არ არის მოწყობილი შესაფერისად რძის ნაწარმოების დამუშავება, არც მეჯოგეობა, ტყის ექსპლოატაცია და სხვა.

მაზრაში არის 6 სხვადასხვა სახის კოოპერატიული დაწესებულება, რომლებშიაც მოსახლეობის 85 პროცენტია ჩაბმული. საკრედიტო ამხანაგობის საქმიანობა მოიკოჭლებს, გლეხობა მით არ არის დაინტერესებული.

ფასების დაკლება საქონელზე ყველა კოოპერატიულ დაწესებულებებში 10 პროცენტი გატარდა.

მაზრაში ასი გლეხთა საურთიერთო საზოგადოებაა, რომლებშიაც 12 ათასი წევრი ერთიანდება.

სახელმწიფო დაზღვევის საქმე პირველ ხანში ცუდათ მიდიოდა, მაგრამ იმის შემდეგ, რაც რომ დაზღვეულებს საქონლის ჭირის და კოხით მიყენებულ ზარალის გამო მიეცათ 60 ათასი მან., გლეხობა მასიურად შეუდგა როგორც ჭირნახულის, ისე საქონლის დაზღვევას.

საქმის წარმოება მიდის თემებში მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე.

სახალხო განათლების მიმართულება არ ეფარდება მაზრის მეურნეობის სინამდვილეს. არ არსებობს სპეციალური ხასიათის სკოლები, გარდა ერთი გლეხთა სკოლისა. ადგილობრივი მასწავლებლობა გაურბის მაზრაში მუშაობას, რაც აიხსნება ხელფასის სიმცირით. მაზრაში წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი აღწევს 12 პროც.

მაზრაში სასამართლოების მომუშავეთა კადრი კვალიფიციურია. ბოროტმოქმედთა რიცხვი დღითი-დღე მცირდება. პროკურატურის მუშაობა დამაკმაყოფილებელია. სისხლის აღების ტრადიცია თანდათანობით ისპობა.

სამაზრო აღმასკომთან საორგანიზაციო განყოფილების დაარსების შემდეგ, თემსაბჭოებზე ხელმძღვანელობა გაძლიერებულია. სექციების მუშაობა ისევ ძველებურად მოიკოჭლებს. საჭიროა სექციების ინსტიტუტის გაუქმება და გადასვლა [illegible] კომისიების შემოღებაზე.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და მაზრაში მუშაობის ჯეროვან დონეზე დასაყენებლად, როგორც მაზრაღმასკომი, ისე ცენტრი საჭირო ღონისძიებებს ღებულობენ.

გ. ლეშკაშელი.

ათი წლის წინეთ

როგორ მზადდებოდა დიდი ოქტომბერი

13 ოქტომბერი

რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკების) ცეკას მოწოდება

რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკები) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება ყველა მუშებისა და ჯარისკაცებისადმი.

„რევოლიუციის ყველაზე კრიტიკულ მომენტში, ჩვენი ქვეყნისათვის ყველაზე უმძიმეს მომენტში,—ნათქვამია რეზოლიუციაში,—მენშევიკებმა და ოფიციალურმა სოციალისტ-რევოლიუციონერებმა კიდევ და კიდევ ერთხელ უღალატეს მუშების, ჯარისკაცების და გლეხების ინტერესებს—ძალაუფლება გადასცეს კორნილოვცებს—კადეტებს. კერენსკის კონტრ-რევოლიუციონური მთავრობა დარჩა სახელმწიფოს სათავეში და მასთან იქნება სათათბირო ორგანო, ბულიგინის სახ. სათათბიროსებური „პრედპარლამენტი“, მოწოდებული, კადეტების გეგმით, გასწიოს დამფუძნებელი კრების მაგიერობა და ხელი შეუწყოს კონტრ-რევოლიუციას საბჭოების გასრესაში“.

შემდეგ მოწოდება ამხილებს მენშევიკ-ესერების სამარცხვინო როლს კონტრ-რევოლიუციის ძალების განმტკიცებაში, ახასიათებს ესერ მენშევიკების მოღალატეობის წყალობით რესპუბლიკაში გამეფებულ ქაოსსა და ნგრევას და აღნიშნავს, რომ ფიქრიც არ შეიძლება არავითარ სერიოზულ ბრძოლაზე შიმშილობასთან, სიძვირესთან, ეკონომიურ ნგრევასთან, საქონლის სიმცირესთან და უპურობასთან, სანამ სახელმწიფოს სათავეში უდგას ახლანდელი „ახალი“ მთავრობა.

მოწოდება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კადეტებმა და მათთან ერთად მთელმა კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიას სურს ნაადრევად გამოიწვიონ ქუჩაში რევოლიუციონური მუშები და ჯარისკაცები, რომ უფრო ადვილად ჩაახრჩონ სისხლში ეს გამოსვლა.

„მაგრამ ჩვენ არ გამოვალთ ქუჩაში, როცა ეს სურთ ჩვენს მტრებს. არავითარი კერძო გამოსვლები! ასე აფრთხილებს მოწოდება რევოლიუციონურ მასებს, — მთელი ძალები საბჭოთა ყრილობის მომზადებისათვის,—ასეთ დირექტივას აძლევს მასებს ც. კ.

ესერ-მენშევიკები „კანონიერების“ სადარაჯოზე

სრ. რუსეთის ცაკის სხდომამ მოისმინა მოხსენება იმ დელეგაციისა, რომელიც სამხედრო და საზღვაო მინისტრების თხოვნით გაემგზავრა ფინეთში, 10—15 რიცხვებში ოფიცრების მიმართ ჩადენილ თვითგასამართლებათა გამოსარკვევად (ლაპარაკია თვითგასამართლებაზე, რომელიც რევოლიუციონურმა მეზღვაურებმა და ჯარისკაცებმა მოუწყვეს ზოგიერთ შავრაზმელ ოფიცრებს, რომლებიც კორნილოვის შეთქმულების დღეებში კონტრ-რევოლიუციონურ პროპაგანდას ეწეოდენ და უარი სთქვეს დროებითი მთავრობისადმი ერთგულების შესახებ ხელწერილი მიეცათ).

მიუხედავათ ბოლშევიკური პარტიის წარმომადგენლების პროტესტისა, ცაკმა ესერ-მენშევიკების ხმით მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც ჰკიცხავს რევოლიუციონურ ჯარსა და ფლოტს „თვითნებურ“ მოქმედებისათვის და ადგენს „სასტიკად იქნას გამოძიებული ეს თვითნებური აქტები დამნაშავეთა მისაცემად პასუხისგებაში“.

ლატიშ ჯარისკაცთა პროტესტი

ბოლშევიკური „რაბოჩი პუტ“-ში მოთავსებულია ლატიშთა მსროლელ პოლკების დეპუტატთა გაერთიანებულ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საპროტესტო დეპეშა ცაკის, კერენსკის, სამხედრო მინისტრის და ჩრდილოეთის ფრონტის კომისარის სახელზე, გაზ. „თავისუფალი მსროლელი“-ს (ლატიშთა მსროლელ პოლკების დეპ. გაერთ. საბჭ. აღმ. კომიტ. ორგანო) დახურვის გამო. დეპეშაში აღნიშნულია, რომ თუ ბრძანება დახურვის შესახებ არ იქნება გაუქმებული, გაზეთის გამოცემა ძალით იქნება განახლებული.

ასეთივე საპროტესტო დეპეშები „თავისუფალი მსროლელი“-ს დახურვის გამო მიღებულია ლატიშთა სამი პოლკიდან, მეთორმეტე არმიის აღმასრულებელი კომიტეტისა და აგრეთვე არმიის კომისარისაგან.

ფინეთის სეიმის მოწვევა

დროებითი მთავრობამ 1-ლი ნოემბრისათვის მოიწვია ფინეთის სეიმის სხდომა.

მოსკოვის ოლქის საბჭოთა ყრილობა

გაიხსნა მოსკოვის ოლქის საბჭოთა ყრილობა. მოსმენილ იქნა მოხსენებები მიმდინარე მომენტზე.

ბოლშევიკების გამარჯვება სარატოვში

„რაბოჩი პუტ“ სწერს: „ამ დღეებში შესდგა ქ. სარატოვის მუშათა და ჯარისკაცთა განახლებულ საბჭოს საზეიმო სხდომა. საბჭოს შემადგენლობა: ბოლშევიკები—300, ესერები—90, მენშევიკები—53. აღმასრულებელ კომიტეტში: ბოლშევიკები—18, ესერები—8, მენშევიკები—4.

ამიერ-კავკასიაში

ესერ-დაშნაკელების ბლოკი

თბილისში „დაშნაკციუტუნის“ კრებას დაესწრო ესერების ც. კ. წევრი და ესერების ც. კ. ორგანოს „დელო ნაროდას“ ერთ-ერთი რედაქტორი ვ. ლუნკევიჩი, რომელიც მხურვალედ მიესალმა „დაშნაკციუტუნს“ ესერების სახელით.

თბილისის თვითმართველობის მოსამსახურეთა მოთხოვნილება

თბილისის თვითმართველობის თანამშრომლებმა გადასწყვიტეს მოითხოვონ ხელფასის მომატება.

მენშევიკების ყრილობა

გაიხსნა მენშევიკების ამიერ-კავკასიის ყრილობა. ნოე ჟორდანია, რომელიც აკეთებს მოხსენებას მიმდინარე მომენტზე, მენშევიკების ამოცანად თვლის „მუშების მაქსიმალურ (ე. ი. ბოლშევიკურ) მისწრაფებათა შეკავებას“.

ესერების ყრილობა

გაიხსნა ესერების საოლქო ყრილობა.

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავისათვის

ახალი სამკურნალოები

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის დღესასწაულის აღსანიშნავად, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი მაზრებში ხსნის რამდენიმე პატარა სამკურნალოებს:

ოზურგეთის მაზრაში გაიხსნება ვენერიული დისპანსერები, რომლის მუშაობას ხელმძღვანელობას გაუწევს ოზურგეთის სამაზრო საავადმყოფო. აგრეთვე დისპანსერი გაიხსნება ლეჩხუმის მაზრაში; ფოთში უკვე დასრულდა ვენერიული ამბულატორიის მოწყობა. ამბულატორიის საზეიმო გახსნა მოხდება ოქტომბრის დღესასწაულზე.

დისპანსერები უწამლებენ ვენერიულ სნეულებით შეპყრობილ ავადმყოფებს და მიიღებენ წინასწარ გამაფრთხილებელ ზომებს აღნიშნულ სენის გავრცელების წინააღმდეგ. დისპანსერები მოწყობილი და უზრუნველყოფილი იქნებიან ყოველგვარი საექიმო იარაღებით, წამლეულობით და გამოცდილი ექიმებით.

ჯანმრთელობის კომისარიატი ამჟამად იმუშავებს სხვა მაზრებშიაც ვენერიულ დისპანსერების მოწყობის გეგმას.

საბავშვო კერები და ბაღები

განათლების კომისარიატთან არსებული რკინის გზის სასკოლო სექცია, ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე ქ. თბილისში ხსნის მე-4 და მე-5 საბავშვო კერას, რომელსაც ეწოდება ოქტომბრის რევოლიუციის სახელი. იგივე სექცია ოქტომბრის დღესასწაულებზე თბილისში ხსნის რკინის გზის ტეხნიკუმთა ინტერნატს. ხოლო შორაპანში ახალ საბავშვო ბაღს.

მეაბრეშუმეთა თათბირი

მე-2-ე სხდომა

გრძელდება „საქართველოს აბრეშუმის“ საწარმოო განყოფილების გამგის ამხ. ს. ჩომახიძის მოხსენება.

ქარხნის მუშების საშუალო ხელფასი წლის განმავლობაში უდრის 1 მან. 55 კაპ. თუ ამას დაუმატებთ ანარიცხებს—ხელფასი უდრის 1 მ. 92 კაპ., ვინაიდან თითქმის ხუთი მუშები დაკავშირებული არიან სოფლებთან, ყველა მათგანი ეწევა ოჯახურ მუშაობას, (ქარხანაში 8 საათის მუშაობის შემდეგ). ამის გამო მუშებს ეტყობათ დასუსტება-დაავადება, რაც იწვევს ქარხნის მუშების ცვალებადობას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩვენი მუშები ძალიან ცუდათ იკვებებიან. მომხსენებლის აზრით, თუ ამ გარემოებას დროზე არ მიექცა ყურადღება—საფრთხე მოელის ჩვენი მუშების ჯანმრთელობას. ჩვენს აბრეშუმის ქარხნებს და [illegible]. მომხსენებელს საჭიროთ მიაჩნია თითოეულ ქარხანასთან მოეწყოს სასადილო და სურსათ სანოვაგის მიმწოდებელი პუნქტები (უმთავრესათ რძისა და კვერცხის), ამის მოსაგვარებლად ტრესტმა უნდა გაიღოს სათანადო თანხა, რათა მუშებს დაბალ ფასებში მიეწოდოთ სურსათ-სანოვაგე. ამასთან ერთად წარმოებებთან უნდა მოეწყოს კლუბები, სამკითხველოები, კინო და სხვა, რათა მუშა ზედმეტი შრომით არ ისნეულებდეს თავს.

მომხსენებელი გადადის ქარხნებისათვის პარკის მიწოდების საკითხზე. გასულ წელს საუკეთესო პარკი გაუტანიათ ევროპის ბაზარზე. ქარხნებს დარჩენიათ უმთავრესათ დაბალი ხარისხის პარკი, რამაც გავლენა მოახდინა, როგორც ძაფის ხარისხზე, ისე შრომის ნაყოფიერების შემცირებაზე. გასულ წელს მოსკოვის ბაზარზე ტრესტს დაუდვია ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მთელი წლის განმავლობაში უნდა ჩაებარებინა მხოლოთ უმაღლესი ხარისხის ძაფი (გრეჟა). ქარხნებს კი მხოლოთ სანახევროთ და ბალი ხარისხის პარკი გააჩნდათ. ამ გარემოებას ემატებოდა შტატის მოუმზადებლობა, რის გამო ჩვენი ძაფი მოსკოვის ბაზარზე ვერ იყო დამაკმაყოფილებელი.

წელს მიღებულია ზომები, რათა ქარხნები დაკმაყოფილებული იყვნენ კარგი ხარისხის პარკით.

მთელი პროდუქცია ტრესტის, როგორც გასული წლის, ისე მომავლისაც წინასწარ არის მიყიდული მოსკოვის „შელკოტრესტისთვის“.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს აბრეშუმის ძაფს, თავისი ხარისხით, მოსკოვის ბაზარზე უკავია მეორე ადგილი. ქარხნებს აბრეშუმის ტრესტისათვის მიუციათ საგრძნობი მოგება.

„საქართველოს აბრეშუმს“ დიდი მიღწევები აქვს პროდუქციის თვითღირებულებაში. მას ძაფი (გრეჟა) უჯდება გაცილებით იაფათ, ვიდრე მეზობელ რესპუბლიკებს.

გარდა არსებული ქარხნებისა, შენდება შემდეგი ახალი ქარხნები: ოზურგეთში—72 აუზით. ხონში—96 აუზით და ქუთაისში ამ დღეებში დაიწყებენ დიდი ქარხნის აშენებას 152 აუზით. ხონის და ოზურგეთის ქარხნების აგება დამთავრდება მომავალი წლის ივნისში, ხოლო ქუთაისის ქარხანა—იმავე წლის დეკემბერში. აღნიშნულ ქარხნების ამუშავების შემდეგ საქართველოს პარკის მთელი მოსავალი გადამუშავდება ადგილობრივ.

ტრესტის განკარგულებაში იმყოფება ოზურგეთის საგრეხი ქარხანა, სადაც მუშაობს 120 მუშა. აღნიშნულ ქარხნის პროდუქცია წინასწარ არის გასაღებული მოსკოვის ბაზარზე.

თბილისში ტრესტს აქვს აბრეშუმის საქსოვი ქარხანა. აღნიშნული ქარხანა ტრესტმა ჩაიბარა გასულ წელს. წლის განმავლობაში იგი მუშაობდა ნახევრათ. ქარხნის მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. უმთავრესათ მზადდება „კრეპდეშინ“, რომელმაც დიდი ბაზარი მოიპოვა. გასული წლის ოქტომბერში ქარხნის თვიური პროდუქცია უდრიდა—456 მეტრს; ა. წ. იანვარში—968 მეტრს და სექტემბერში კი—3.242 მეტრს.

„საქართველოს აბრეშუმს“ აქვს საკონტროლო ლაბორატორია, რომელიც მოწყობილია იტალიურ საუკეთესო მანქანებით, ეს ლაბორატორია საბჭოთა ფარგლებში ითვლება საუკეთესოდ.
ურ საუკეთესო მანქანებით. მას ლაბორატორია

მომხსენებელს მისცეს შეკითხვები, რომლებზედაც მან ამომწურავი პასუხი გასცა.

კამათი

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს გ. გოგოტიშვილმა, შ. ცქიტიშვილმა, ნ. ქარცივაძემ, გ. კოპაძემ, შ. ჩხეიძემ, ჩიტალაძემ და ჩიჭოვანმა. ორატორებმა მთავარი ყურადღება მიაქციეს პარკის ხარისხის გაუმჯობესების საკითხს, მუშა-მოსამსახურეთა კვალიფიკაციის აწევას, მუშების გაჯანსაღების საკითხს, ქარხნისათვის პარკის გადაცემის საკითხს და სხ.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ თათბირი გადადის მორიგ მოხსენებაზე.

თათბირი მეთამბაქოების შესახებ

მეორე სხდომა

გუშინ დილის სხდომაზე სწარმოებდა მუშაობა თათბირის მიერ გამოყოფილ სხვადასხვა სექციებში.

საღამოს 8 საათზე შესდგა მორიგი სხდომა. რომელზედაც მოსმენილ იქნა ორი მოხსენება.

თამბაქოს კულტურა აფხაზეთში
(ამხ. კახიანის მოხსენება)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თამბაქოს კულტურის განვითარებას აფხაზეთში ამჟამად დიდი ყურადღება ექცევა.

აფხაზეთში თამბაქოს დამზადების ოპერაცია აღემატება ომამდე არსებულ ნორმას.

თამბაქოს კულტურას უმთავრესად მისდევენ აფხაზები, სომხები, ქართველები და ბერძნები. პლანტატორები დიდი ყურადღებით ეპყრობიან ამ საქმეს, რითაც მტკიცდება, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ნათლად აქვს შეგნებული თამბაქოს დამზადების ოპერაციის განვითარების საჭიროება.

მომხსენებელი ვრცლად ჩერდება იმ უარყოფით პირობების დახასიათებაზე, რომელიც ხელს უშლის მეთამბაქოობის სათანადოთ განვითარებას. განსაკუთრებით ხაზს უსვამს გრძელვადიანი კრედიტის დროიანათ მიწოდებას გლეხებისათვის.

აფხაზეთში არსებობს საცდელ-საჩვენებელი პლანტაციები.

პლანტატორები მოკლებული არიან სათანადო იარაღებს და ეს გარემოება აბრკოლებს მუშაობას

თამბაქოს ნათესების საერთო სივრცე უდრის 10.700 დესეტინას.

ამხ. კოკაია თათბირს აცნობს იმ ღონისძიებებს, რომელთა ცხოვრებაში გატარება განზრახულია ახლო ხანში.

ახასიათებს რა თამბაქოს ბაზრის თანამედროვე მდგომარეობას, მომხსენებელი საჭიროთ სცნობს ჩატარებულ იქნას ფასების დაკლება თამბაქოს ნაწარმოებზე.

თამბაქოს კულტურის მოსაშენებლად მიღებულ იქნა ნახევარი მილიონი მანეთი კრედიტი, რომელიც დაურიგდათ პლანტატორებს.

აფხაზეთში თამბაქოს პლანტაციების სივრცე შარშანდელ სეზონთან შედარებით გაიზარდა 50—55 პროცენტით.

მოხდენილი გამოკვლევის თანახმად, ადგილობრივი თამბაქო საუკეთესო ღირსებისაა.

ა. წ. თამბაქოს მოსავალი დაახლოვებით იქნება 450.000 ფუთი.

შედგენილია გეგმა და ტარდება ცხოვრებაში აგრიკულტურული ღონისძიებანი.

ამავე საკითხზე თანამომხსენებლად გამოვიდა ამხ. გრიგოლია. მან გააცნო თათბირს მოხდენილ გამოკვლევის შედეგები და აღნიშნა, რომ წელს თამბაქოს მოსავალი დესეტინაზე საშუალოთ უდრის 35—40 ფუთს, მაგრამ ეს ციფრები არ არის საბოლოო.

თამბაქოს ექსპორტი
(ამხ. ადამოვის მოხსენება)

მომხსენებელმა დაახასიათა თამბაქოს ბაზარი ევროპაში.

მიმდინარე წელში დამზადებული იქნება ჩვენში კარგი ხარისხის თამბაქო. განზრახულია საზღვარგარეთ გატანილ იქნას 70.000 ფუთი თამბაქო.

ეხება რა თამბაქოს ექსპორტის პერსპექტივებს, ის აცხადებს, რომ სათანადო ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ მტკიცე ექსპორტის შექმნის საკითხს.

კამათი

მოხსენებების გარშემო გაიმართა კამათი. კამათში მონაწილე ორატორები აღნიშნავდენ დიდ მიღწევებს მეთამბაქოობის დარგში და შემჩნეულ დეფექტების გამოსასწორებლად მოითხოვდენ სათანადო ზომების მიღებას.

ბ. პატეკი თბილისში

საუბარი პოლონეთის ელჩ ბ. პატეკთან

გუშინ ჩვენი გაზეთის თანამშრომელი მიიღო პოლონეთის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა საბჭოთა კავშირში, ბ. პატეკმა, რომელიც მას ესაუბრა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საკითხებზე.

როგორც მოგეხსენებათ,—განაცხადა ბ. ელჩმა,—ომამდე პოლონეთი სამ ნაწილად დაქუცმაცებული ჰქონდათ გერმანიას, ავსტრიას და რუსეთს. თვითეულ ამ ნაწილში შემოღებული იყო სხვადასხვა ოფიციალური ენა, მოქმედებდა სხვაგვარი კანონები, ადმინისტრაცია და სხვაგვარი ფული. საერთაშორისო ომის პროცესში პოლონეთის ეს სამი ნაწილი შეერთდა. დაიწყო პოლონეთის აღდგენის პერიოდი. ომამდე დაქუცმაცებულ ნაწილების ერთი კანონმდებლობით, საერთო ადმინისტრაციით და საერთო სახელმწიფოებრივი პროგრამით გაერთიანება—აი ის უპირველესი ამოცანა, რომლის განსახორციელებლად პოლონეთს ამჟამად სჭირდება დიდი ენერგიის დახარჯვა და ხანგრძლივი დრო. ამ ამოცანის გადასაჭრელად პოლონეთისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მშვიდობიანი შინაური მდგომარეობა და მშვიდობიანი საერთაშორისო ურთიერთობა. ეს გარემოება ჰქმნის პოლონეთის სამშვიდობო პოლიტიკის საფუძველს. ეს არის ჩვენი პოლიტიკური პროგრამის მთავარი დასაყრდენი.

თუ პოლონეთს სწადია ყველა ხალხებთან მშვიდობიანი დამოკიდებულება და თანხმობა, პირველყოვლისა მან უნდა განამტკიცოს კეთილი ურთიერთობა თავის უშუალო მეზობლებთან, მათ შორის, საბჭოთა კავშირთან, რომელთანაც მას აერთებს მრავალი სასიცოცხლო ინტერესები და საერთო საზღვარი, დაახლოებით, ათას კილომეტრის სიგრძეზე.

თუ შევეხებით ჩვენი კეთილმეზობლურ ურთიერთობის პრაქტიკულ განხორციელებას, პირველ ყოვლისა, უნდა შევჩერდეთ ჩვენი ურთიერთობის განვითარებაზე ვაჭრობისა და მრეწველობის დარგში. აქ ჩვენ ვგულისხმობთ სიმდიდრეთა გაცვლა-გამოცვლას, ტრანზიტს, ყიდვა-გაყიდვის პირობების მოწესრიგებას და სხვა. ამ საკითხების მოსაწესრიგებლად ამ დღეებში ჩვენს წარმომადგენლობასთან მოსკოვში მივლინებული იქნა ახალი კომერციული მრჩეველი ბ. ზმიგროცკი, რომელიც გააგრძელებს წინანდელ მრჩეველის ბ. ზიაბიცკის მიერ დაწყებულ მუშაობას. თვით ბ. ზიაბიცკი სათავეში ჩაუდგა პოლონეთ-საბჭოთა ვაჭრობის ახლად დაარსებულ ამხანაგობას „სოვპოლტორგს“, რომლის დანიშნულებას წარმოადგენს ჩვენი სავაჭრო-სამრეწველო ურთიერთობის პრაქტიკული გამოცოცხლება. სხვათა შორის, ბ. ზიაბიცკი ამ მოკლე ხანში ჩამოვა ამიერ-კავკასიაში იმ მიზნით, რომ შეუდგეს სამკურნალო მცენარეთა პლანტაციების და სხვა საკითხების მოგვარებას.

ასეთივე დაახლოვებაა ერთმანეთთან სასურველია მეცნიერების, ხელოვნების და კულტურის სხვა დარგებში. ამ მიმართულებით გადადგმულ პრაქტიკულ ნაბიჯს, სხვათა შორის, წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მალე მოსკოვში ჩამოვა პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს (პ. ა. ტ.) წარმომადგენელი, რომელიც უშუალო კავშირს გააბამს ადგილობრივი პრესის და სათანადო დაწესებულებების წარმომადგენლებთან.

რაც შეეხება ჩვენი ურთიერთობის პოლიტიკურ მხარეს, უკანასკნელ ხანებში პირველი ადგილი დაიკავა იმ მუშაობამ, რომელიც ურთიერთ თავდაუსხმელობის პაქტს შეეხება. ჯერ-ჯერობით ამ საკითხის შესახებ არ შემიძლია მოგცეთ დაწვრილებითი კონკრეტული ცნობები, ვინაიდან ამჟამად საკითხი დამუშავების პროცესში იმყოფება. ამ პაქტის შესახებ ამჟამად მე მოლაპარაკებას ვაწარმოებ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატთან. ზოგიერთ პუნქტებზე ორივე მხარე უკვე შეთანხმებული ვართ, ზოგიერთ მათგანზე კი ჯერ შეთანხმებისთვის არ მიგვიღწევია. ჩვენ შევადგენთ ამ უკანასკნელ პუნქტების ნუსხას და ეს ნუსხა გახდება პროგრამათ ჩვენი შემდეგი მუშაობისათვის, რომელსაც ჩვენ შეუდგებით დაუყოვნებლივ ჩემი მოსკოვში დაბრუნებისთანავე. მიზეზი იმ გარემოების, რომ მუშაობა ამ პაქტის დასამთავრებლად ისეთი სწრაფი ტემპით ვერ მიმდინარეობს, არის შემდეგი: გადასაწყვეტი საკითხების ფრიად დიდი მნიშვნელობა, დიდი ტეხნიკური დაბრკოლებანი, რომელთაგან წინასწარ საჭიროა თავდაღწევა, და ზოგიერთი უბედური შემთხვევები, როგორიც იყო სრულუფლებიანი წარმომადგენელის ვოიკოვის მკვლელობა და ტრაიკოვიჩის ინციდენტი. ამასთან ერთად საჭიროა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ამ უბედური შემთხვევების შედეგების ლიკვიდაციის დროს ორივე მხარემ მრავალი კეთილი სურვილი და მისწრაფება გამოააშკარავეს იმისთვის, რომ ამ შემთხვევებს ხელი არ შეეშალათ ჩვენი კეთილმეზობლური ურთიერთობის ნორმალური განვითარებისათვის.

მე მსურს ვისარგებლო ჩემი მოგზაურობით თქვენს რესპუბლიკებში და აქ მყოფი პოლონეთის საკონსულოებით იმ მხრივ, რომ პირადათ დავრწმუნდე, თუ რა გზით და რა საშუალებით შეიძლება გატარდეს და დაჩქარდეს ჩვენი ურთიერთ დაახლოების პროცესი.

თვით ჩემი აქ ჩამოსვლის და აქ ყოფნის ფაქტი უნდა წარმოადგენდეს თქვენთვის ჩემი საუკეთესო ზრახვების და ტენდენციების დამამტკიცებელ საბუთს.

დასასრულ მე მოვალეთ ვრაცხ თავს გამოვსთქვა მადლობა იმ სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც ჩემ მიმართ გამოიჩინეს კავკასიის რესპუბლიკებმა.

ბ. პატეკი ა.-კ. და საქ. მთავრობის წევრებთან

12 ოქტომბერს პოლონეთის ელჩმა საბჭოთა კავშირში ბ. პატეკმა ინახულა: ამ.-კავკ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. აღამალი-ოღლი, ამ.-კავკ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მუსეინოვი, საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე და საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ს. ჯუღელი, რომლებთანაც ჰქონდა ხანგრძლივი საუბარი.

ბ. პატეკს თან ახლდენ პოლონეთის გენერალური კონსული ხარკოვში სკშინსკი, პოლონეთის გენერალური კონსული თბილისში მახტოვსკი და ვიცე-კონსული ვძენკოვსკი.

გუშინ, საღამოს 10 საათზე, ბ-ნ პატეკმა პოლონეთის საკონსულოს ბინაზე გამართა რაუტი, რომელსაც დაესწრო ა.-კ. და საქ. მთავრობის წარმომადგენლები და გარეშე საქმ. სახ. კომ. რწმუნებული.

სიღნაღის მაზრის აღმასკომის პლენუმი

8 ოქტომბერს შესდგა სამაზრო აღმასკომის პლენუმი. დღის წესრიგში დასმული იყო — 1927—28 წლის ბიუჯეტის განხილვა. სამაზრო აღმასკომის ბიუჯეტი ნაანგარიშევია 1.076.000 მან. რაოდენობით. ბიუჯეტი უდეფიციტოა და წარსულ წელთან შედარებით გაიზარდა 100.000 მანეთით, რაც შეადგენს 10 პროც. ბიუჯეტი მნიშვნელოვნადაა გამოჯანსაღებული იმ მხრივ, რომ მის საფუძვლად აღებულია არა გადასახადები და დაბეგვრა, არამედ შემოსავალი წარმოებებიდან; ამასთან თანდათან იზრდება ადგილობრივი მნიშვნელობის შემოსავალი, ხოლო შარშანდელთან შედარებით კი ის გაიზარდა 100.000 მანეთით. ბიუჯეტის განხილვის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა აპარატის შესანახი ხარჯების შემცირების საკითხს, ასე, მაგალითად, სამაზრო აღმასკომის აპარატის შესანახი ხარჯები შემცირებულია 16.000 მანეთით, ხოლო შტატი [illegible] 21 თანამშრომლის შემადგენლობით. ბიუჯეტის საგასავალო ნაწილში უდიდესი ყურადღება აქვს მიქცეული სოფლის მეურნეობის ამაღლებას და აგრიკულტურულ სამუშაოებს. ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად ბიუჯეტში შეტანილია 60.000 მანეთი. სახალხო განათლებას ბიუჯეტში უჭირავს თვალსაჩინო ადგილი. ის შეადგენს ბიუჯეტის 40 პროც.

მიმდინარე წელს ბიუჯეტის მთელი სიმძიმე გადატანილია ადგილებზე. ამა თუ იმ თემში არსებული დაწესებულებები, სკოლები და სხვ. შეტანილი არიან ადგილობრივ თემაღმასკომების ბიუჯეტში. ამიტომ საკმაოდ გაიზარდა სათემო აღმასკომის ბიუჯეტი. 29 თემიდან უდეფიციტო აღმოჩნდა 17, დანარჩენი 12 თემი კი დეფიციტიანია. ამ უკანასკნელთ სამაზრო აღმასკომი თავის ფონდიდან აძლევს დოტაციას.

პლენუმმა დაამტკიცა ბიუჯეტი.

დასასრულ პლენუმმა აირჩია აღმასკომის ახალი თავმჯდომარე — ამხ. ბაბალაშვილი, მირიანაშვილის მაგიერ, რომელიც დაინიშნა სამაზრო პროკურორად.

მუშა-გლეხკორთა კონფერენცია

კვირას, 16 ოქტომბერს, დანიშნულია ქ. ზესტაფონის მუშ-გლეხკორთა სამაზრო კონფერენცია.

დღის წესრიგი:

1) საერთაშორისო მდგომარეობა (მომხ. ცენტრიდან); 2) მუშ-გლეხკორთა მოძრაობის და ამოცანების შესახებ; 3) მოხსენებები რედაქციებიდან: ა) „მუშის“, ბ) „ახალი სოფლის“, გ) „ახალგ. კომუნისტის“, დ) „კომუნისტის“; 4) მიმდინარე საკითხები.

დასასრულ მოხდება შეჯიბრი საუკეთესო კედლის გაზეთზედ.

საკურორტო სეზონი

საკურორტო სამმართველოს ცნობით, საზაფხულო საკურორტო სეზონი თავდება 15 ოქტომბერს აბასთუმანში, 1 ნოემბერს წყალტუბოში (წყალტუბოში შეიძლება სეზონი გაგრძელებული იქნას თუ კარგი ამინდები დაიჭირა. დანარჩენ კურორტებზე საზაფხულო სეზონი დამთავრდება 15 ოქტომბრამდე. ზოგიერთ კურორტებზე სეზონი უკვე დასრულდა, მაგალითად ახტალაზე და სხ.

საზამთრო საკურორტო სეზონი აბასთუმანში იწყება 1 ნოემბერს. საზამთრო სეზონისათვის გამოყოფილი იქნება 2 სანატორიუმი, რომლებშიაც მიიღებენ როგორც დაზღვეულებს, ისე კერძო ავადმყოფებს. სოხუმში და კობულეთში საზამთრო სეზონის დაწყება განზრახულია 1 ნოემბრიდან. გაგრაში ზოგიერთ სანატორიუმებში (გულრიფში და სხ.) უკვე დაიწყო სეზონი.

საბინაო კავშირის ხუთი წლისთავი

ხუთი წლის წინეთ, 1922 წლის ოქტომბერში, თბილისში ჩაეყარა საძირკველი პირველ კოოპერატიულ მუშათა სახლს. ამ დღიდან იწყებს მოქმედებას საქართველოს საბინაო მუშათა კოოპერაცია.

საბინაო მუშათა კოოპერაცია 1922 წელში აერთიანებდა მხოლოდ 4 ამხანაგობას 200 წევრით. 1923 წელში კი — 5 ამხანაგობას 300 წევრით. 1924 წელში — 7 და 340, 1925 წელში — 21 და 693, 1926 წელში — 30 და 1.127, და ბოლოს, 1927 წელში კოოპერაცია აერთიანებს 32 ამხანაგობას 1.082 წევრით. ეს ციფრები მოწმობს საბინაო მუშათა კოოპერაციის ინტენსიურ ზრდას, რომელიც შეფერხდა მხოლოდ 1926 წელში იმიტომ, რომ მოხდა წევრთა ხელმეორე რეგისტრაცია და კავშირს ჩამოშორდნენ ის პირნი, რომელნიც აქტიურ მონაწილეობას არ იღებდნენ კოოპერატიულ მოძრაობაში. ახალი წევრების შესვლა ამხანაგობაში არ შემცირებულა ხელმეორე რეგისტრაციის შემდეგ. პირიქით, ამან მისცა ერთგვარი სტიმული წევრთა რაოდენობის გადიდებისათვის.

ხელმეორედ რეგისტრაცია უმთავრესად სწარმოებდა თანხების დაგროვების მიხედვით. 1926 წელს 1-ლ იანვარში საბინაო კოოპერაციას ჰქონდა 76.782 მან. საკუთარი თანხა და 237.809 მან. სესხი, სულ 314.591 მან. 1927 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის საკუთარი თანხა შეადგენს 248.467 მან., ხოლო სესხი — 1.060.201 მან., სულ 1.030.677 მან. კოოპერაციის ფინანსიური ბაზა ძალიან გაიზარდა. მაგრამ მისი მუშაობის გაძლიერებას განსაკუთრებით ნათლად მოწმობს აღმშენებლობის გაფართოება, მუშათა კოოპერატიულ შენობათა რაოდენობის ზრდა. 1923 წელში აშენებულ იქნა მხოლოდ ერთი სახლი ორი ბინით; 1926 წელში აშენებულ იქნა 9 სახლი 22 ოთახით; 1925 წელში — 27 სახლი 97 ოთახით; 1926 წელში — 21 სახლი 88 ოთახით; 1927 წელში — 16 სახლი 122 ოთახით. ამჟამად შენდება 19 სახლი, რომელშიაც იქნება 32 ოთახი.

რაც შეეხება საბინაო კოოპერაციას, იგი თბილისში წარმოიშვა მხოლოდ 1925 წელში. 1926 წლამდე საბინაო - საიჯარო კოოპერაცია განიცდიდა თავისი ორგანიზაციული ჩამოყალიბების პერიოდს და მხოლოდ მას შემდეგ, როცა 1926 წ. თებერვალში იგი შეუერთდა საბინაო - სააღმშენებლო კოოპერაციას დაიწყო სერიოზული საორგანიზაციო და საინსტრუქციო მუშაობა, სარემონტო პროგრამის გაფართოება, საბინაო საქმეების მოგვარება და სხვ.

ამჟამად თბილისში არის 214 საიჯარო ამხანაგობა 3.280 წევრით. ამ ამხანაგობათა წევრების თითქმის 56 პროცენტი არიან მოსამსახურეები, 35,2 პროც. მუშები, 2,8 პროც. შინამრეწველნი, 2,5 პროც. თავისუფალი პროფესიის პირნი, 2,5 პროც. — მოსწავლენი და 1 პროც. ინვალიდები. ამხანაგობის ძირითადი შემოსავალი (94,4 პროც.) არის ბინის ქირა. ბინის ქირის გადამხდელთა ძირითად მასას შეადგენენ მუშები და მოსამსახურენი.

საქართველოს საბინაო კოოპერაციის მუშაობა გამოიხატება სააღმშენებლო მასალების მიწოდებაში. 1926 წლის 8 თვის განმავლობაში საბინაო კავშირის სავაჭრო ბრუნვა მასალების მიწოდების დარგში გამოიხატება 38.570 მან., ხოლო მიმდინარე წლის 10 თვის განმავლობაში (1 ოქტომბრამდე) ეს ბრუნვა შეადგენდა 309.120 მან.

საბინაო კავშირის შემდეგ ამოცანას წარმოადგენს ხელისშეწყობა ამხანაგობათა საორგანიზაციო და კულტურული ზრდისათვის. დაიწყო მუშაობა მათი შინაური ცხოვრების მოსაგვარებლად, კულტმუშაობის გასაფართოვებლად. საბინაო კავშირს განზრახვა აქვს შექმნას კურსები საბინაო კოოპერაციის დაბალი საფეხურის მუშაკთათვის და გამართოს მოხსენებები მისი მნიშვნელობის შესახებ.

საბინაო კავშირი გამოდის საბინაო ამხანაგობათა წარმომადგენლად მათი ინტერესების დაცვის, თანხების მიღებისა და განაწილების, ხელშეკრულებათა დადების დროს და სხვ.

სააღმშენებლო და სარემონტო მუშაობა ამხანაგობებში ტარდება საბინაო კავშირის საშუალებით. მიმდინარე წლის 10 თვის განმავლობაში სახლების აშენებისათვის დაიხარჯა 238.750 მან., ხოლო 1926 წ. 8 თვის განმავლობაში 51.350 მან.

ქრონიკა

ამხ. იაკუბოვისა და შეფტელის გამგზავრება

ამიერ-კავკასიიდან სრულიად საკავშირო პროფკავშირთა საბჭოს პლენუმზე გაემგზავრენ ა.-კ. პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. იაკუბოვი და მდივანი ამხ. შეფტელი.

ა.-კ. პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის ასრულება დაეკისრა ამხ. ყურულაშვილს, მდივნისა—ამხ. ხარაბაძეს.

ილია ჭყონიას დაკრძალვა

გუშინ საღამოს დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს მწერალი და ძველი საზოგადო მოღვაწე ილია მირიანის ძე ჭყონია. ხელოვნების სასახლიდან განსვენებული გამოასვენეს ქართველმა მწერლებმა. დასაფლავების წინ სიტყვები წარმოსთქვეს ქართველ მწერალთა კავშირის, კულტურულ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და კერძო მოქალაქეებმა.

ფართალი მებამბე გლეხებისათვის

1927—28 წელს მებამბე გლეხებს ამიერ-კავკასიაში ურიგდებათ 52 ვაგონი მანუფაქტურა. რომელიც ამიერ-კავკასიის ვაჭრობის კომისარიატის მიერ მებამბ. რაიონებს შორის შემდეგნაირად არის განაწილებული: აზერბეიჯანის მებამბე გლეხებს ეძლევათ 39 ვაგონი, სომხეთის—8 ვაგ. და საქართველოს 5 ვაგონი. მანუფაქტურა გლეხებს გაუნაწილდებათ წიგნაკების მიხედვით, თანაბრად ოჯახის წევრთა რაოდენობისა.

აფხაზეთის გზატკეცილები

საქართველოს გზატკეცილების სამმართველომ აფხაზეთში გაგზავნა ინჟენერ-ტეხნიკოსთა პარტია, რომელსაც დავალებული აქვს გამოარკვიოს აფხაზეთის გზატკეცილებზე აგებულ ხიდების და ხელოვნურ ნაგებობათა მდგომარეობა იმ მიზნით, რომ შემდეგ დაწყებულ იქნეს მათი კაპიტალური გადაკეთება. ინჟენერ-ტეხნიკოსთა კომისიამ უკვე გადაიღო გზების პროფილები გეგმები გამოიკვლია მდ. მაჯერგაზე, ფშაზე და ღალიძგაზე გადასასვლელი ხიდები. ამჟამად ასეთი მუშაობა სწარმოებს მდ. გუმისტაზე.

ვენერიული რაზმი

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა ზაფხულში ბორჩალოს მაზრაში გაგზავნა ვენერიული რაზმი, რომელსაც დავალებული ჰქონდა გამოერკვია ამ მაზრაში ვენერიული სნეულებების და კერძოთ სიფილისის გავრცელების მიზეზი და მოსახლეობისათვის გაეწიათ უფასო დახმარება.

რაზმმა წარმატებით ჩაატარა მოსახლეობის მასიური მკურნალობა და 3 თვის მუშაობის შემდეგ დაბრუნდა თბილისში.

მალარიის წინააღმდეგ

თბილისში დაბრუნდა სამალარიო რაზმი, რომელიც ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ გაგზავნილი იყო კახეთში. სამალარიო რაზმმა მოიარა ციებ-ცხელებიანი რაიონები. თითო რაიონში რაზმი რჩებოდა ორ-სამ კვირას და საექიმო დახმარებას უწევდა მოსახლეობას. ღარიბებს გლეხებს ქინაქინა და სხვა წამლეულობა უფასოთ ეძლეოდა. საექიმო დახმარებასთან რაზმი მოსახლეობას აძლევდა რჩევა-დარიგებას მალარიის წინააღმდეგ.

რაზმმა კახეთში ყოფნის დროს შეაგროვა მდიდარი მასალები მალარიის გავრცელების შესახებ.

ქინაქინა

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა უცხოეთიდან დამატებით მიიღო ქინაქინის ახალი პარტია. ჯანსახკომმა მიღებული ქინაქინა უკვე განაწილა სამალარიო სადგურებს შორის.

თბ. აღმასკომში

◆ **„მოსავლის დღე".** სადგილ-მამულო განყოფილება შეუდგა მზადებას თბ. მაზრაში „მოსავლის დღის" მოსაწყობად. „მოსავლის დღის" კამპანია ჩატარებული იქნება ნოემბრის პირველ რიცხვებში.

◆ **კანალიზაცია.** კეთილმოწყობის განყოფილება ახლო ხანში შეუდგება კანალიზაციის გაყვანას მთელ ნაძალადევში.

◆ **ვაკეს კეთილმოწყობა.** დამთავრდა ვაკეს ზეგეგმვა. მის კეთილმოწყობას შეუდგებიან ნოემბრიდან.

◆ **ქუჩებში ვაჭრობის აკრძალვა.** აღმასკომმა დაადგინა აკრძალოს მთავარ ქუჩებში ყოველგვარი სახის ვაჭრობა.

◆ **რაციონალიზაცია.** საფინანსო-საკანტროლო განყოფილება ამჟამად აწარმოებს აღმასკომის წარმოება-დაწესებულებების გამოკვლევას მათში რაციონალიზაციის გატარების მიზნით.

◆ **თესლეულის დარიგება.** თბ. მაზრაში სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულ გლეხებისათვის დასარიგებლად თბ. აღმასკომი შეუდგა თესლეულის დამზადებას.

◆ **ზაჰესის ენერგიის გასაყვანად** აღმასკომი უღარიბეს მცხოვრებლებისათვის აწესებს შეღავათიან პირობებს.

◆ **ახალი ბაღები.** თბ. აღმასკომი უახლოეს 5 წლის განმავლობაში ქალაქში გააშენებს ხ ახალ ბაღს.

◆ **გვირაბის გაგანიერება.** წელს შეუდგებიან ბოტანიკურ ბაღის გვირაბის გაგანიერებას.

შრომის სახ. კომისარიატში

◆ **კოლექტივების გადახალისება.** შრ. კომისარიატმა გადასწყვიტა მოახდინოს შრომის კოლექტივების გადახალისება.

◆ **უბედურ შემთხვევებთან ბრძოლის** გაძლიერების მიზნით შრომის ინსპექტორებს დავალათ მოახდინონ საწარმოო დაწესებულებების გამოკვლევა.

◆ **მოზარდი უმუშევრების** კვალიფიკაციის ასაწევად განზრახულია მოეწყოს სკოლა-ქარხნები.

◆ **ქალთა ყოფაცხოვრების გამაუმჯობესებელი** კომისია უმუშევარ ქალებისათვის ახლო ხანში გახსნის საზოგადო სამრეცხაო და სამკერვალო კოლექტივებს.

◆ **საზოგადო სამუშაოები.** უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით შრ. სახ. კომისარიატი ადგენს ზამთარში საზოგადო სამუშაოების მოწყობის გეგმას.

სხვადასხვა

◆ **საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** კვირას, 16 ოქტომბერს, ეწყობა ექსკურსია ნატახტარში, სადაც ინჟ. ლ. დიასამიძე წაიკითხავს მოხსენებას თბილისის ახალი წყალსადენის შესახებ. ექსკურსიაში ჩაწერა შეიძლება 14-მდე, კამოს ქ., № 70, ტელ. 10—43.

— **პროლეტარულ სამხატვრო ხელოვნების ასოციაცია** შეუდგა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის აგიტპროპის მიერ შეკვეთილ ბურჟუაზიულ ბელადების კარიკატურულ ნიღაბების დამზადებას. ნიღაბები დაიგზავნება მაზრებში ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე ყეენობის ჩასატარებლად.

ჩაუბარებელი დეპეშები

ბათომიდან—შეიდემანს, ბათომიდან—შეიდემანს, განჯიდან—კამაროვისას, ბათომიდან—ჩენიამურს, ძველი სენაკიდან—თოფურიძეს, კასუმკენტიდან—ხიმიშვილს, კაგანიდან—რუსანოვსკისას, ბოსლევიდან—გოზალოვს, მოსკოვიდან—რუბცოვს, გურჯაანიდან—ბაწელაშვილს.

შემთხვევები

თავდასხმა

საბურთალოს მოედანზე 11 ოქტ. ღამით მიმავალ გლეხს გიორგი ილურიძეს, რომელსაც ურმით ქალაქში მოჰქონდა ვაშლი, თავს დაესხა ორი მცირეწლოვანი ბოროტმოქმედი და სიკვდილის მუქარით წაართვეს მას ერთი ყუთი ვაშლი და სხვა ნივთები. ბოროტმოქმედნი შეიპყრეს. ისინი აღმოჩნდენ ძმები ალი მუსა-ოღლი (16 წლის) და აბას მუსა-ოღლი (14 წლის).

დაჭრა

11 ოქტომბერს, მიმოსვლის ქუჩაზე № 4-ში მდებარე სასადილოში მოქ. დავით შელიქიშვილმა რევოლვერით სასიკვდილოთ დასჭრა ამავე სასადილოს პატრონი კარაპეტ ფირაზოვი.

გაუპატიურება

სოფელ გონდაურის ახლო (ერწოს რაიონი) გზაზე მარტო მიდიოდა იმავე სოფლის მცხოვრები ნ. ქ-რი, რომელსაც თავს დაესხა ტყეში ჩასაფრებული ვასილ ქიტესაშვილი და გააუპატიურა. ბოროტმოქმედი შეიპყრეს.

ცოლის დაჭრა

11 ოქტომბერს ღამით საბჭოს ქ. 3 მცხოვრებ მიხეილ აკჩანოვმა დანით მძიმედ დასჭრა თავისი ცოლი მარიამ სარაჯიშვილის ასული. აკჩანოვი შეიპყრეს.

—·—

◆ **ცეცხლის წაკიდება.** სოფ. ტუშურეში (თიანეთის რაიონი) მაშო გოგინაშვილს ღამით დაუწვეს საბძელი. ეჭვით შეიპყრეს ლევან გოგრიაშვილი.

◆ **ყალბი საბუთების და ბეჭდების დამზადებისათვის** 11 ოქტომბერს შეიპყრეს შალვა კაპანაძე.

◆ **ტრამვაით მოგზაურობის დროს** კონ. ეპახ ჩიევს ჯიბიდან ამოაცალეს 223 მანეთი.

◆ **მე-2 საცდელ-საჩვენებელ სკოლის** აივნიდან მოიპარეს მოწაფეების პალტოები.

◆ **ჯიბგირის შეპყრობა.** 11 ოქტ. ჯიბგირობისათვის შეიპყრეს სურენ ხაჩატუროვი.

◆ **ქურდობა.** 11 ოქტ. თუმანიშვილის ქ. 14 გაქურდეს სოფიო როტინოვის ბინა.

◆ **ამავე დღეს,** იმავე ქუჩაზე 52 ნესტორ მექაშვილის ბინიდან მოიპარეს 250 მ. ნივთები.

ხელოვნება

„პროლეტარული მწერლობა"

გამოვიდა ჟურნალ „პროლეტარული მწერლობა"-ს № 8 (აგვისტო). ჟურნალში მოთავსებულია: მოწინავე—სექტემბრის პირველი კვირა; მხატვრული ლიტერატურიდან: **კონსტ. ლორთქიფანიძე**—თემა მესამე, **იონა ვაკელი**—უცხოელ ფიქრების სიმღერა, **კალე ფელდოსიშვილი**—ფიქრები შენზე, მატარებელში, **ხანდრო ეული**—ამბები წარსულიდან, **კონსტ. ლორთქიფანიძე**—ერთი კრიტიკოსის საყურადღებოდ, **ილ. ხოშტარია**—ისევ მხარი მხარს, **კალე ბობოხიძე**—სალამი ნაპირს, **ფრ. ნაროუშვილი**—ტყაო, **ნიკო ახლამაზაშვილი**—ლუკმა პურისათვის, **ნინო ამირიძე**—1918 წელი. **ი. ეგრისელი**—ნირვანები. თეორია და კრიტიკა: **დავით რონდელი**—ლიტერატურული კვალიფიკაციის საკითხი პროლეტარულ მწერლობაში, **სერგეი ტრეტიაკოვი**—სასცენო ოსტატები; ბიბლიოგრაფია.

— **სომხური დრამის სეზონი** გაიხსნება 26 ოქტომბერს.

— **„პოეტი და მეფე".** ახლო ხანში თბილისის კინოებში ნაჩვენები იქნება სურათი პუშკინის ცხოვრებიდან: „პოეტი და მეფე".

— **ქუთაისის აკადემიური დრამის** სეზონი გაიხსნება შაბათს, 15 ოქტომბერს.

— **„იბრაგიმ და გოდერძი".** ამ თვის ბოლო რიცხვებში სახკინმრეწვის კინოებში დაიწყება ახალი სურათის „იბრაგიმ და გოდერძის" ჩვენება. დადგმა ზ. ბერიშვილის.

— **პროლეტარულ მწერლების ინტერნაციონალური საღამო.** კვირას, 16 ოქტომბერს, ხელოვნების სასახლეში (მაჩაბლის ქ. 13) მოხდება საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ყველა სექციების მუშაობის გახსნა. გამართულ იქნება საჯარო ინტერნაციონალური საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართველი, სომეხი, თურქი და რუსი პროლეტარული მწერლები.

სასამართლო

ოთხი ერთის წინააღმდეგ

„სოფელ წეროვნისის (გორის მაზრა) მცხოვრებთა ჩვენებიდან კარგად სჩანს, რომ მოქ. ვასილ აბუთიძე ყოფილა მეტის-მეტად ამაყი, ყბედი, თავზე ხელაღებული, უწესრიგობის მოყვარული, შეძლებულ ოჯახის შვილი, ხოლო იოსებ ხეთაგური კი იყო ღარიბი, პატიოსანი ახალგაზრდა, რომელსაც სიმთვრალის დროს უყვარდა მდიდრების გინება"...

ასე ლაპარაკობს საბრალმდებლო დასკვნა.

სოფელ წეროვნისში, ერთ-ერთ ბელელთან, სადაც ჩვეულებრივ ხალხი თავს იყრის, ვასილ, გიორგი და გლახო აბუთიძეები გარსშემორტყმოდენ იოსებ ხეთაგურს და დაცინვის კილოთი რაღაცაზე ედავებოდენ.

— ნუ აიწიეთ მაღლა ცხვირები, არ გიხდებათ. შენ, ჩემო ვასო, ეგ შენი მოვერცხლილი ხანჯალი სოფელ ბერძენაულშიაც გქონდა, მაგრამ არ გაგიჭრა,—ეს სთქვა და იოსებ ხეთაგურმა მიატოვა ჩხუბის გუნებაზე მყოფი კომპანია.

— ვნახოთ თუ არ გამიჭრის, მიაძახა ვასილ აბუთიძემ მუქარით.

ამ გამწვავებულ საუბრის შემდეგ გავიდა რამოდენიმე საათი. იოსებ ხეთაგური თავის ამხანაგთან ერთად გამოვიდა საღამოს ჟამს სასეირნოთ. მასთან მიდის მარიამ აბუთიძე (ვასილის დედა 80 წლის ქვრივი) და „დედაშვილურად" სთხოვს შეიაროს მათ ოჯახში, თან დასძენს: „შვილო, ვიმასლაათოთ, დრო მოვკლათო".

იოსები დასთანხმდა. მოინდომა თავისი ამხანაგის თან წაყვანა, მაგრამ მარიამი მიუბრუნდა მის ამხანაგს და უთხრა: „შენ რაღაზედ მოდიხარ, რა საქმე გაქვსო". ისიც იძულებული გახდა არ გაჰყოლოდა ხეთაგურს.

შეიყვანა თუ არა თავის სახლში ხეთაგური, მარიამმა გაშალა სუფრა, რომელზედაც ბლომად იყო მხოლოდ არაყი. ვასილ აბუთიძემ ზედიზედ მიაძალა სტუმარს არაყი, თვითონ კი ჭიქას მხოლოდ ენას აწებდა. როცა კარგად დაათრო ხეთაგური, ვასილმა დაუწყო მას მწარე ენით ლაპარაკი.

— შენ არა ხარ კარგი კაცი.

— რატომ, ჩემო ვასო, მე სიმთვრალეში ვიცი ხუმრობა, ეს არავის არ უნდა ეწყინოს...

სიტყვა არ დაემთავრებია ხეთაგურს, რომ ვასილ აბუთიძემ იძრო ვერცხლით მოჭედილ ქარქაშიდან ხანჯალი და ჩასცა მაგრად ხეთაგურს.

დაჭრილი ხეთაგური წამოდგა ზეზე და გავარდა კარებში. აქ მას დახვდა ჩასაფრებული გიორგი აბუთიძე, რომელმაც სახრე მომარჯვა და რამოდენიმეჯერ დაარტყა დაჭრილ ხეთაგურს, რომელიც იქვე ჩაიკეცა.

ასტყდა ხმაურობა. მოცვივდენ მეზობლები. „ერიქა უშველეთ, კაცი მოჰკლესო", — ისმოდა აღშფოთებული ხალხის ხმები. მაგრამ ამ ხმებში ისმოდა ერთი ხრინწიანი ხმაც: „არ არის მკვდარი, თავი უნდა წავსჭრათ".

ეს ხმა იყო გლახო აბუთიძისა, რომელსაც მოუნდა ცელი და ვაჟკაცობის გამოჩენას ლამობდა მომაკვდავ კაცთან. ხეთაგური იქვე გარდაიცვალა.

... „ის იყო ღარიბი, პატიოსანი ახალგაზრდა. რომელსაც სიმთვრალის დროს უყვარდა მდიდრების გინება"...

შეიპყრეს ვასილ, გიორგი, მარიამ და გლახო აბუთიძეები, რომლებმაც ასე ვერაგულად, ასე მატყუებით, ერთმანეთთან შეთანხმებულად მოჰკლეს პატიოსანი, ღარიბი ახალგაზრდა.

საქმე ამ დღეებში გაირჩევა.

ზერ.

მაჭანკალი

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **სიჭინავას** თავმჯდომარეობით ირჩევა მოქ. **ჰენრიეტა ლიმპარტერის** საქმე. ლიმპარტერს ეჭირა სასტუმრო „ვლადიკავკაზ", სადაც მას მოწყობილი ჰქონდა გარყვნილების ბუდე. მას „შტატში" ჰყავდა რამდენიმე როსკიპი ქალი, რომელთაც ჰყიდდა მამაკაცებზე და აღებულ ფულის მეტ ნაწილს თვითონ იტოვებდა. როსკიპ ქალებს კი სულ მცირე თანხით აკმაყოფილებდა.

საბრალმდებლო სკამზე ზის აგრეთვე ამავე სასტუმროს მოსამსახურე **მიქაძე.**

მოწმეების დაკითხვა დამთავრდა. ლიმპარტერი თავს დამნაშავედ არ სცნობს.

განაჩენი გამოტანილი იქნება დღეს.

კინო

„კაცი რესტორანიდან". — სურათი „მეჟრაბპომ-რუს"-ის

რეჟისორი — ი. პროტოზანოვი. — ოპერა ტორი — გოლოვნია

ი. შმელევის „კაცი რესტორანიდან" — იაკობ სკოროხოდოვი ღრმა სოციალური ტიპია. თავის ცხოვრების მოთხრობასთან ერთად ის გზა-დაგზა აღწერს იმ წრეს, რომელშიც მას უხდებოდა ცხოვრება და განსაკუთრებით „თავისი" რესტორანის მუდმივ სტუმრებს — მექრთამეობით, სპეკულიანტობით და მუშებისაგან შვიდი ტყავის ძრობით „დაღლილ" გენერლებს, „ბრწყინვალე" ოფიცრობას, ბანკირებს, ფაბრიკანტებს, რომლებიც „შრომისაგან" ისვენებდენ რესტორანის გაჩირაღდნებულ დარბაზებში და სტკბებოდენ შამპანიურთან ერთად ნაყიდ სიყვარულით.

ამ ხალხისათვის იაკობ სკოროხოდოვი იყო მხოლოდ „კაცი", უსახელო, უპიროვნო ლაქია, რომლის მიმართ შეიძლებოდა ყოველგვარი უსამართლობის ჩადენა — დამცირება, აბუჩად აგდება. ბავშობიდან ასეთ ცხოვრებას შეეჩვია სკოროხოდოვი, შეისისხლხორცა და უპროტესტოთ შეურიგდა თავის ასეთ მდგომარეობას და ამიტომ სავსებით იზიარებდა თავისი მეგობრის პარიკმახერ კირილ საველიანიჩის ცხოვრების ფილოსოფიას:

„შენ, იაკობ სოფრონიჩ, აადვილებ საქმის მიღებას, მე კი წესრიგზე მომყავს ფიზიანომია, და ეს ჩვენ კი არ გამოგვიგონია, არამედ ცხოვრებიდან ასეა".

არ ურიგდებოდა ამ ფილოსოფიას მხოლოდ მოხუც სკოროხოდოვის ვაჟი კოლიუშკა, გიმნაზიის უკანასკნელი კლასის მოწაფე. მან ადრე იგრძნო სოციალური უთანასწორობა: „კუხარკის შვილი"—ეს სახელწოდება ვერ მოიშორა მან პირველი კლასიდან თითქმის დავაჟკაცებამდე. იგრძნო კოლიუშკამ სოციალური უთანასწორობა და შეიძულა მდიდრებისა და ფუფუნებაში მცხოვრებთა ქვეყანა, გადაიქცა პროტესტანტად და უკვე აღარავის არჩენდა არც თავის შეურაცყოფას და არც მამის დამცირებას. ჩქარა გაიარა მან თავისი მომწიფება გიმნაზიის კურსდამთავრებულ მოწაფიდან არალეგალურ პარტიულ მუშაკამდე.

მაგრამ მოხუც სკოროხოდოვისათვის გაუგებარი იყო თუ რისთვის იბრძოდა მისი შვილი, რისთვის აცხადებდა პროტესტს.

შმელევის მოთხრობის დანარჩენი პერსონალი — ლოთი კრივოი, ძღვნური ჩერეპახინი და სხ. მხოლოდ ავსებენ იმ სურათს, რომელსაც მოხუცი სკოროხოდოვი ხატავს.

რა დარჩა შმელევის მოთხრობიდან „მეჟრაბპომ-რუსის" სურათში?

არაფერი, გარდა მოთხრობის სახელისა, ამ მოთხრობის მთავარი გმირისა და ზოგიერთ მეორე ხარისხოვან ტიპებისა.

სცენარისტებმა (ი. პროტოზანოვი და ო. ლეონიდოვი) გამოშიგნეს მოთხრობა, სრულიად შესცვალეს მოთხრობის დრო (შმელევის მოთხრობა აღწერს 1905—6 წწ., სცენარი 1917 წ. დასაწყისით თავდება) მომქმედ პირთა როლები, ზოგიერთი მომქმედი პირები სრულიად განდევნეს თავის სცენარიდან.

შმელევის მოთხრობა—აღწერა ძველი, რევოლიუციის წინადროისათვის საერთოდ დამახასიათებელი ყოფა-ცხოვრებისა, სცენარისტებმა გადააკეთეს ომის დროს მოქმედ ზურგის (ТЫЛ) აღწერათ და ამით მოთხრობას დაუკარგეს თავისი საზოგადოებრივი ღირებულების დიდი ნაწილი.

სცენარისტები არ დაკმაყოფილდენ მარტო ამით. კოლიუშკა სკოროხოდოვი მათ „მოჰკლეს" ფრონტზე და მის მაგიერ სცენარის პირველ რიგში წამოაყენეს სკოროხოდოვის ქალი ნატაშა. შმელევის მოთხრობით — ცარიელი, „კავალრებთან" ხეტიალისა და „დუხ-პომადების" მოყვარული ტიპი.

შმელევის მოთხრობა გადააქციეს რაღაც მოშაქრულ მელოდრამათ, რომელიც ასე ნაცნობია ყველა კინოს-მოყვარულებისათვის: შეყვარებული უმწიკვლო ახალგაზრდები, საიდუმლო ბარათის მოპარვა, მოძალადე ბანკირი თუ ფაბრიკანტი და, დაბოლოს, სიყვარულის გამარჯვება.

შმელევის მოთხრობის ამგვარად „გადაკეთება" განსაზღვრავს სურათის მთელ შინაგან სისუსტეს სცენარისტებმა ვერ შესძლეს თავის მიერ შეთხზული ახალი მოთხრობისა და შმელევის მოთხრობიდან დარჩენილ ნაწილების შეთანხმება-შეერთება და ამიტომ მთელი სურათი ატარებს რაღაც შინაგანი შეუკავშირებლობის დაღს (რომელიც ადვილი შესამჩნევია ყველასათვის, ვისაც შმელევის მოთხრობა წაკითხული აქვს). სცენარის გმირებმა დაჰკარგეს სოციალისტური ტიპების სიმკვეთრე. ეს უკანასკნელი გარემოება არ შეეხება ჩეხოვს, რომელიც სკოროხოდოვის სახით ანსახიერებს ტიპს, მისთვის ასე ახლო ნაცნობს სცენაზე, რითაც აიხსნება მსახიობის უსათუო გამარჯვება ამ როლში.

მიუხედავად იმისა, რომ მ. ჩეხოვი პირველათ მონაწილეობს ასეთ დიდ სურათში (წინად მიუღია მონაწილეობა რაღაც უმნიშვნელო სურათებში, რომლებიც უცნობია ფართე საზოგადოებისათვის), მან შმელევის სკოროხოდოვიდან შექმნა ტიპი, რომელსაც მაყურებელი დიდხანს ვერ დაივიწყებს. ერთად-ერთი, ვინც დარჩა ამ სურათში შმელევის ერთგული — ეს არის მ. ჩეხოვი — სკოროხოდოვი საეჭვოა, რომ რომელიმე პროფესიონალ კინო-მსახიობს მოეხერხებია ამ როლის ასე დაძლევა.

მილიონოვსკაიას. სურათის მეორე გმირის ნატაშას როლის შემსრულებელს, რომელსაც ესამედ ვხედავთ თბილისში ნაჩვენებ კინო-სურათში, მცირეოდენი წინსვლა ეტყობა.

დანარჩენი შემსრულებლები — განსაკუთრებით არ გამოირჩევიან.

არც დადგმისა და არც გადაღების შესახებ რამის საქებარის თქმა არ შეიძლება.

სურათის ნახვის შემდეგ მეხსიერებაში რჩება მხოლოდ მ. ჩეხოვის მომაჯადოებელი თამაში.

ე. წ—ძე.

საქართველოს ნავსადგურებში

ბათომის ნავსადგური

უკანასკნელ თვეებში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებდა ბათომის ნავსადგურის გასაფართოებლად და კეთილმოსაწყობად. ნავსადგური გაღრმავებულ იქნა 43 ფუტის სიღრმეზე. საწყობები და პაუზები ახლად იქნა მოწყობილ-მოწესრიგებული:

ფოთის ნავსადგური

ნავსადგურის ფარვატერი გაღრმავებულ იქნა 35 ფუტით და გაგანიერებული 47 საჟენით.

აგებულია ახალი ჯებირები. სწარმოებს მუშაობა გემების შესაკეთებლად ამჟამად არავითარი დაბრკოლება არ არსებობს ოკეანის დიდ გემების მიმოსვლისათვის ფოთის ნავსადგურში.

აფხაზეთის ნავსადგურები

მთელი შავი ზღვის ნაპირზე შესრულებულია საამშენებლო ხასიათის დიდი სამუშაოები: გაგრაში გაკეთებულია ახალი ნავსადგური, გამაგრებულია ნაპირები და სხვა.

ახალი ნავსადგური მოწყობილია აგრეთვე გუდაუთის რეიდზე.

სწარმოებს მუშაობა სოხუმის ნავსადგურის აფუძვლიანად შესაკეთებლათ.

ოჩამჩირეში უკვე დასრულდა ნავსადგურის მოწყობა.

ქუთაისი

ახალი ბიუჯეტის დამტკიცება

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

4 ოქტომბერს შესდგა ქუთაისის სამაზრო აღმასკომის პლენუმის კრება, რომელმაც დაამტკიცა 1927-28 საოპერაციო წლის ბიუჯეტი, საერთო ჯამით 3.661.787 მანეთი. წარსული 1926-27 წლის ბიუჯეტი კი უდრიდა 2.536.000 მან. ამგვარად, წლევანდელმა ბიუჯეტმა გადააჭარბა შარშანდელს 1.125.787 მანეთით. ასეთი სალი, უდეფიციტო ბიუჯეტი ქუთაისის აღმასკომს არასოდეს არ ქონია. შარშანდელი ბიუჯეტის დეფიციტი 250.000 მან. უდრიდა.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ წარმოებებისათვის თანხები წინა წელთან შედარებით 150 პროც. გადიდებულა: თუ წინად ეს თანხა მხოლოდ 400.000 მანეთი იყო, ახლა ის 1.000.000 მანეთამდი ადის. ეს ფაქტი ნათლად ამტკიცებს, თუ რა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს აღმასკომი მრეწველობა-წარმოებათა განვითარებას.

ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ აღმასკომი, გარდა იმისა, რომ მშენებლობის საქმეს უდიდეს ყურადღებას აქცევს, რისთვისაც თავის საშუალებიდან საგრძნობ თანხასა ხდებს, —ცდილობს გამოიწვიოს თემების ინიციატივა—თვითდაბეგვრის წესით შეაგროვონ თანხა ამა თუ იმ საზოგადო საქმის მოსაწყობად. ასე, მაგალითად, ბაღდადის მცხოვრებთ მდინარე ყვირილაზე ხიდის გასაკეთებლად დაუბეგრავთ თავი 135.000 მანეთით, რის ნებართვა მთავრობიდან უკვე მიუღიათ, და მალე ხიდის კეთებასაც შეუდგებიან. გარდა ამისა, აღმასკომს მთელი ქუთაისის მაზრა დაუყვია ოთხ რაიონად და თითეული რაიონისათვის მიუჩენია თითო ტეხნიკოსი, რომელიც დახმარებას უწევს მათ ყოველგვარ სამშენებლო-სამელიორაციო საქმეში.

პლენუმმა მოისმინა აგრეთვე სამტრედიის აღმასკომის მოხსენება წარსული 1926-27 საანგარიშო წლის საქმიანობის შესახებ. ეს საქმიანობა, სხვათა შორის შემდეგში გამოიხატება: მოუწყვია ბაზარი, გაუფართოებია და რაციონალურად მოუწყვია აგურის ქარხანა; ქარხნიდან გაუყვანია ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა, რაც 12.000 მანეთად დამჯდარა. ამას ერთიათად გაუიაფებია ქარხნიდან აგურის გამოტანა: თუ წინად 1000 ცალი აგურის გამოტანა 3 მანეთად ჯდებოდა, ახლა მხოლოდ ექვს შაურად (30კ.) ჯდება; ილორის უბანში მოუწყვია საბავშვო ბაღი, სადაც 60 ბავშვი სწავლობს; საბჭოთა ხელისუფლების 10 წლის თავის აღსანიშნავად აუგია საბავშვო სახლი, რომელიც 7 ნოემბერს გაიხსნება; აღუდგენია ცეცხლისაგან განადგურებული აღმასკომის შენობა; აუგია მილიციისთვის შენობა; ჭაობების დასაშრობად 15 ვერსის მანძილზე გაუყვანია საწრეტი არხი და სხ.

დონ—ვალიანი.

რკინისგზაზე

დაჯახება სადგურ განჯაში

11 ოქტომბერს, სად. განჯაში ზეთის სახდელ ქარხნის ჩიხიდან გამოჰყავდათ მატარებელი ექვსი ვაგონის და სამი ცისტერნის შემადგენლობით. მათ შორის ექვსი დატვირთული იყო კოპტონით. მემანქანემ ვერ შეაჩერა მატარებელი და შეიჭრა მეორე ჩიხში, სადაც იდგა ნავთით დატვირთული ღია ვაგონი. გაქანებული მატარებელი დაეჯახა ჩიხში მდგომ ღია ვაგონებს.

დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ ნავთით დატვირთული სამი ღია ვაგონი გადავარდა ფერდობზე, დაამტვრა ორი ვაგონი, საგრძნობლად დაზიანდა ერთი ვაგონი დატვირთული კოპტონით, ლიანდაგს ასცდა ერთი პულმანის ვაგონი; დანარჩენი ვაგონები და ცისტერნები (ვინაიდან ისინი ბოლოში იყვნენ მიბმული) გადარჩნენ.

დაჯახების დროს ორთქლმავალზე გაჩნდა ცეცხლი, მაგრამ იგი სასწრაფოდ იქნა ჩაქრობილი.

დაჯახების დროს დაშავდა მემანქანე **პეროვოზნიკოვი,** რომელიც ერთი საათის შემდეგ გარდაიცვალა, მისი თანაშემწე ონიაშვილი გადავარდა ორთქლმავლიდან და გადარჩა.

გადავარდნილმა ღია ვაგონებმა დაიკავეს მესამე ხაზი. ხაზი ზაზალი-განჯა ღამის 11 საათამდე დაკავებული იყო დასახმარებლად მისულ მატარებლის მიერ.

ამ შემთხვევამ გამოიწვია მთელ რიგ საბარგო მატარებლების დაკავება სადგურებზე. ხაზის გაწმენდას შეუდგნენ, მანამდე კი მოძრაობა სწარმოებს მხოლოდ ერთი ხაზით.

კრედიტები საგანმანათლებლო მუშაობისათვის

საგანმანათლებლო მუშაობის საწარმოებლად ამ.-კავკ. რკ. გზების გამგეობამ 1927-28 წლის პირველ მეოთხედისათვის გახსნა კრედიტი 364.345 მან. რაოდენობით.

ამ თანხიდან პროფგანათლების დაწესებულებები მიიღებენ 70.557 მან., პოლიტგანათლებისა 13.001 მან. და სოცაღმზრდელობის—252.771 მან.

გარდა ამისა, ამავე თანხიდან აღნიშნულ დაწესებულებების თანამშრომელთა სოცდაზღვევაზე დაიხარჯება 28.016 მანეთი.

ოქტომბერში აღნიშნულ თანხიდან დაიხარჯება 121.000 მანეთი, აქედან 2.560 მან. დაიხარჯება ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის ჩასატარებლად.

ტვირთების გაძლიერებული შემოზიდვა

უკანასკნელ დღეებში ადგილი აქვს ა.-კ. რკ. გზებისათვის ტვირთების არაჩვეულებრივის რაოდენობით გადმოზიდვას ჩრდილოეთიდან თბილისსა და ბათომში.

უმეტესად მოდის საქართველოში და სომხეთში ჰიდრო-ელსადგურებისათვის საჭირო საამშენებლო მასალები და პურეული.

გადიდდა მარგანეცის ექსპორტი

უკანასკნელ დღეებში მარგანეცის ექსპორტი დღე-ღამეში გადიდებულია 90 ვაგონამდე. აქამდე გაჰქონდათ 60 ვაგონი.

წყალდიდობა ბათომში

9 ოქტომბერს

აჭარისტანში 6—7 სექტემბერს მოსულ წყალდიდობის შემდეგ, რამაც დიდი ზარალი მიაყენა სოფლის მეურნეობას და თვით ქალ. ბათომს, კარგი ამინდები დაიჭირა. მაგრამ 9 ოქტომბერს ღამით ბათომში კვლავ მოვიდა დიდი წვიმა, რომელსაც მოჰყვა ჭექა-ქუხილი და წყალდიდობა. ბარცხანაში მეხი დაეცა წითელარმიელთა საგუშაგოს, შიგ მყოფნი წითელარმიელები უვნებლად გადარჩნენ. მხოლოდ საგუშაგოს შენობას წაეკიდა ცეცხლი, რომელიც მალე იქნა ჩაქრობილი.

ადიდებული მდინარეები გადმოვიდენ ნაპირებიდან და სავსებით დაფარეს ქალაქისა და მისი ახლო-მახლო მდებარე დაბალი ადგილები. წვიმა გრძელდებოდა მეორე დღესაც.

მიღებულია ზომები წყალდიდობის შედეგების გამოსარკვევად.

უბედური შემთხვევა

ამავე დღეს ღამის 10 საათზე გარადოვკიდან გამოიძახეს ქალაქის ცეცხლის მქრობელი რაზმი არტილერიის ყაზარმებში ელექტრონის მავთულების შეერთებით ცეცხლის გაჩენის გამო. ბათომიდან დაუყოვნებლივ გაემგზავრა 5 რაზმი ავტომობილებით, მათ შორის ქალაქის ცეცხლის მქრობელთა 2 რაზმი, ბათომის მოხალისეთა ერთი რაზმი და ნავთის სინდიკატის ცეცხლისმქრობელთა 2 მოხალისეთა რაზმი.

ბათომის მოხალისეთა რაზმმა, რომელიც ფონით გადიოდა მდ. ბარცხანაში, მდ. ადიდების გამო ვერ შესძლო ნაპირზე გასვლა. ავტომობილი დაფარა წყალმა. დანარჩენი რაზმების ენერგიული დახმარებით წყალში მოყოლილნი მეხანძრეები გადარჩენილნი იქნენ დაღრჩობას ბაწრების საშუალებით, რის შემდეგ გაემგზავრენ სხვა გზით გარადოვკაში.

უკან დაბრუნების დროს ნავთის სინდიკატის მოხალისეთა რაზმის ავტომობილი გზების გაფუჭების გამო, გადაიჩეხა ხრამში. ერთმა რაზმელთაგანმა კუკურიანმა მოიტეხა ფეხი, ორი რაზმელი მსუბუქად დაშავდა. რაზმელები მოთავსებულნი არიან საავადმყოფოში.

კუნთრუშა და ყელჭირვება

ქალაქში ვრცელდება ხმები, რომ თითქოს თბილისში გახშირდა კუნთრუშით და ყელჭირვებით ავადმყოფობის შემთხვევები.

ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების სანიტგანათლების გამგემ ექიმმა **შ. სოხიაშმა,** რომელსაც ჩვენმა თანამშრომელმა მიმართა ამ ხმების შესამოწმებლად, განაცხადა, რომ უკანასკნელ ხანებში ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებაში რაიონული ექიმებიდან არ მოსულა არავითარი ცნობები, რომლებიც ადასტურებდენ ხმებს.

ისეთ დიდ ქალაქში, როგორც თბილისია, ყოველ თვეში შეიძლება ექნეს ადგილი ამ სენით ავად გახდომის შემთხვევებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ სენმა უკვე მიიღო საშიში ხასიათი. სტატისტიკური ცნობები, რომელსაც ყოველთვის სისტემატიურად აგროვებს ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილება, ნათლად მოწმობენ რომ მდგომარეობა ამ მხრივ უკანასკნელ ხანებში არამც თუ გაუარესდა წარსულ თვეებთან შედარებით, არამედ გაცილებით უფრო გაუმჯობესდა. ეს ცნობები ასეთია:

1-დან 15 ივნისამდე ქალაქში იყო: კუნთრუშით ავადმყოფი — 9 და ყელჭირვებით ავადმყოფი — 5; 15 ივნისიდან 1 ივლისამდე: კუნთრუშით—13 და ყელჭირვებით—5; 1-დან 15 ივლისამდე: კუნთრუშით—8 და ყელჭირვებით 11; 15-დან 1 აგვისტომდე: კუნთრუშით—5 და ყელჭირვებით—6; 1-დან 15 აგვისტომდე: 5 და 2; 15 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე: 5 და 3. დაბოლოს, 1-დან 15 სექტემბრამდე თბილისში ადგილი არ ჰქონია არც კუნთრუშით და არც ყელჭირვებით ავად გახდომის შემთხვევებს. მომავალშიაც არ არის მოსალოდნელი, რომ ეს სენი გავრცელდეს. ასე რომ, ხმები ამ ორი სენის გავრცელების შესახებ სრულიად უსაფუძვლოა.

ჭადრაკი

მოჭადრაკეთა საკავშირო შეჯიბრი

მოსკოვი, 12 ოქტომბერი. 11 ოქტომბერს მოჭადრაკეთა სრულიად საკავშირო შეჯიბრზე სრულდებოდა დაუმთავრებელი პარტიები. ბოგატირჩუკის პარტიები როხლინთან, გრიგორიევთან და სერგეევთან უშედეგოდ დასრულდა. ასევე უშედეგოდ დასრულდა რაბინოვიჩის პარტიები მაკაგონოვთან და ნენაროკოვთან, ბოტვინიკის პარტიები რომანოვსკისთან და პერფილიევთან, ნენაროკოვის პარტია რაუზერთან და პავლოვ-პიანოვის პარტია გრიგორიევთან.

მოიგეს: სელეზნიოვმა—ნენაროკოვს, ხოლოდკევიჩმა—სელეზნიოვს, ვილნერმა—ბოტვინიკს, გრიგორიევმა—რაუზერს, კასპერსკიმ—სმოროდსკის. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

მე-11 ტურის შემდეგ შეჯიბრის შედეგი ასეთია: წინ მიდიან დუზ-ხოტიმირსკი და ნენაროკოვი—7½, შემდეგ ილინ-ჟენევსკი, რომანოვსკი და მაკოგონოვი—6½, ბოლოს ბოგატირჩუკი—6. (ადს).

ამიერ-კავკასიის მოჭადრაკეთა ოლიმპიადა

ბაქო, 12 ოქტომბერი. გუშინ ამიერ-კავკასიის მოჭადრაკეთა ოლიმპიადაზე უკანასკნელ შეჯიბრში ერთმანეთს შეხვდენ სომხეთი და აზერბეიჯანი. სომხეთი თამაშობდა თეთრებით. შედეგი—4½: ½ აზერბეიჯანის სასარგებლოდ. აზერბეიჯანის მხრ. 3 ამხ. გულიშამბაროვმა მოუგო სარკისიანს, ვლადისლავოვმა—კარიკიანს და ბელიაკოვმა ჩელოიანს. კურისის და ტერ-მათევოსიანის თამაში უშედეგოთ დამთავრდა. ამ შეჯიბრით ოლიმპიადა დასრულდა. ოლიმპიადაში პირველი ადგილი დაიკავა საქართველომ, რომელმაც 20-დან მოიგო 15 ნახ. მეორე ადგილი დაიკავა აზერბეიჯანმა, რომელმაც მიიღო 13 ნახ. უკანასკნელი ადგილი დაიკავა სომხეთმა, რომელმაც მიიღო 1. (ადს).

მეცნიერება და ტეხნიკა

ტიფის წინააღმდეგ

ინგლისელმა ექიმმა გორდონმა შეიმუშავა ტიფთან ბრძოლის ახალი წესი. ტიფით დაავადების აცილება შეიძლება ამ ავადმყოფობის გამომწვეველ დახოცილ ბაცილებიდან დამზადებული ხსნარის შესუნთქვით.

ედისონის ახალი გამოგონება

80 წლის ედისონის შემოქმედებითი გეზია და ენერგია თითქოს დაუშრეტელია. ამერიკული გაზეთები სავსეა ცნობებით მისი უკანასკნელი გამოგონების — ფონოგრაფის ახალი ფირფიტის შესახებ. ეს ფირფიტა ძლიერ პატარაა, მაგრამ მასზე შეიძლება ჩაწერა და აღდგენა ხმისა 45 წუთის განმავლობაში. ამრიგათ, ერთ ფირფიტაზე შეიძლება ჩაწერილი იქნეს მთელი კონცერტი. ფირფიტის დიამეტრი სულ 30 სანტიმ. უდრის.

მანქანა-მოანგარიშე და ბუღალტერი

ამერიკელები პირველად მთელ მსოფლიოში შეუდგენ მანქანების გამოყენებას, ფართე მასშტაბით, მრეწველობის მმართველობის სისტემაში. საანგარიშო მანქანები ასრულებენ თითქმის ყველა მოანგარიშეების და ბუღალტერების მაგიერობას. საანგარიშო მანქანების საშუალებით, კალენდარულ წიგნებში იბეჭდება ის ცნობები, რომლებსაც ავსებენ ბუღალტერიაში, და ყველაფერი ეს ხდება ათჯერ უფრო მეტი სისწრაფით, ვიდრე კანტორის მოხელეები ასრულებენ.

ასეთი მანქანების საშუალებით წარმოებას ერთი წუთის განმავლობაში შეუძლია შეადგინოს საქონლის სწორი კალკულიაცია, გამოარკვიოს შრომის ხელფასის რაოდენობა, სამუშაო საათის რაოდენობა და მთელი რიგი ცნობები, რომლებსაც „კალკულიატორები" მთელ რიგ კვირეების განმავლობაში ადგენენ.

ნარევი

ყვავილების ფერის გამოცვლისათვის

ინგლისში აღმოაჩინეს ყვავილების ფერის გაუმჯობესების და მათთვის ორიგინალური ელფერის მიცემის წესი. ეს წესი მდგომარეობს შემდეგში: ყვავილებს ათავსებენ წყლით სავსე ჭურჭელში, რომლის ფსკერზე ყრიან ვერცხლის ფულებს. ცოტა ხნის შემდეგ ფულებიდან გამოიყოფა ვერცხლის ჟანგი, რომლის ზეგავლენით ყვავილებს ეძლევა სხვადასხვა ელფერი. როცა ფერი სავსებით გარკვეული ხდება, ფულებს იღებენ და წყალში ჰყრიან ცოტა კირს, რომლის ზეგავლენით ყვავილი ინარჩუნებს მიღებულ ელფერს.

ლონდონის ბოტანიკურ ბაღში გამოარკვიეს რომ შესაძლებელია ამ წესით სარგებლობა სამრეწველო მიზნებისათვის. თავისი სიმარტივისა და სიიაფის გამო ამ წესმა გავრცელება უნდა ჰპოვოს პატარა მეურნეობებშიც კი. ინგლისის ყვავილეები ძლიერ დაინტერესდენ ამ აღმოჩენით და ზოგიერთმა მათგანმა, ამ წესის გამოყენების დროს, მიიღო მეტად ორიგინალური ფერის ყვავილები.

უდიდესი სტადიონი

ამსტერდამის (ჰოლანდიის მთავარი ქალაქია) მიდამოებში მთავრდება მსოფლიოში უდიდესი სტადიონის მოწყობა. ეს სტადიონი დაიტევს—40.000 მაყურებელს. 600 ადგილია გამოყოფილი გაზეთების კორესპონდენტებისათვის. უკანასკნელთათვის მოწყობილია აგრეთვე სპეციალური ოთახი ტელეგრაფით და ტელეფონით. მოწყობილია პარკი 4.000 ავტომობილისათვის.

ფიქრობენ, რომ ოლიმპიადის სეზონისათვის აქ ყოველწლიურად ჩამოვა ერთ მილიონამდე უცხოელი და ამიტომ მიღებულია განსაკუთრებული ზომები სახლების ასაგებათ ჩამოსულთათვის.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ოზურგეთის მაზრის მილიციის სისხლის სამართლის მაძიებელ განყოფილების თანამშრომელს ამხ. ბურძგლას

თქვენ გვწერთ, რომ თქვენ მსახურობთ ზემოაღნიშნულ დაწესებულებაში დავალ. აღმასრულებლად. გსურთ წახვიდეთ მორიგ შვებულებაში, მაგრამ გაძლევენ შვებულებას არა უმეტეს თხუთმეტი დღის ხანგრძლივობით, თქვენ ეს არ მიგაჩნიათ სწორად და გვეკითხებით თუ რა ხანგრძლივობით ეძლევათ მორიგი შვებულება სისხლის სამართლის მილიციის მაძიებელ განყოფილების აქტიურ მომუშავეთ.

გიპასუხებთ

თანახმად ამიერ-კავკასიის შრომის სახკომატის 1924 წ. 30 სექტემბრის დადგენილება № 129-ს 1 და „7 მუხ. 1—2-ისა (იხ. „შრომის მომქმედი კანონ." გვერდი 287—289 ამიერ-კავკასიის შრომის სახკომატის 1926 წლის გამოცემა) მორიგი შვებულება ორმაგი რაოდენობით (ხანგრძლივობით) და შრომის ხელფასი 50 პროცენტით გადიდებით მაძიებელ მილიციის სხვა თანამშრომელთათვის დაწესებულ შვებულებასთან და ხელფასთან შედარებით ეძლევათ ადგილობრივ ორგანოებში (მაზრის ფარგლებში) მხოლოდ: ა) აქტიური განყოფილების უფროსს, ინსპექტორებს, სუბინსპექტორებს და პირველ და მეორე ხარისხის აგენტებს; ბ) საიდუმლო განყოფილების უფროსს; გ) სარეგისტრაციო მაგიდის უფროსს და დაქტილოსკოპს, დ) მაძებარ ძაღლების სადგურის გამგეს, მათ გამწრთვნელს და გამყოლთ.

თუ თქვენ ეკუთვნით ზემოაღნიშნულ თანამშრომელთა კატეგორიას, აუცილებლად მიიღებთ მორიგ შვებულებას ორმაგი ხანგრძლივობით ჩვეულებრივთან შედარებით.

გაიოზ სეხნიაშვილს

თქვენ გვწერთ, რომ თქვენ ერთ-ერთ საბჭოთა დაწესებულებაში მოგიწვიეს სამი თვის ვადით მივლინებაში მყოფ მუშაკის შემცვლელად, მაგრამ ორი თვის სამსახურის შემდეგ გაუფრთხილებლად მოგხსნეს სამუშაოდან და ამიტომ გვეკითხებით, გაქვთ თუ არა უფლება მოითხოვოთ გასასვლელი / დახმარება და რა რაოდენობით.

გიპასუხებთ

თანახმად საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს 1927 წ. 14 იანვრის დადგენილების მუხ. 8-10-ისა (იხ. გაზ. „იზვესტია" № 53-ში—1927 წ. 5 მარტიდან) თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ გასასვლელი დახმარება თქვენი სამი დღის ხელფასის ოდენობით.

მოქ. ფილიპე გიორგაძეს პასუხი

საოჯახო მომქმედ კანონმდებლობის თანახმად, თუ თქვენი ყოფ. ცოლი (დღეს განქორწინებული თავისი სურვილისამებრ) თქვენთან ცხოვრების დროს დაავადებულია და შრომის უნარს მოკლებული უმწეო, უპატრონო და მატერიალურად გაჭირვებული, მაშინ იგი აუცილებლად მიიღებს თქვენგან ალიმენტს (სარჩოს); წინააღმდეგ შემთხვევაში მას ასეთი აღარ მიეცემა.

ის ყველაფერი, რაც მან მზითვის სახით შემოიტანა თქვენ ოჯახში, მას უნდა დაუბრუნდეს მთლიანად.

მასვე აქვს უფლება მიიღოს თქვენთან ცხოვრების დროს ერთად შეძენილი ქონების ნახევარი წილიც.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იუწყება, რომ შაბათს, 15 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ცენტრალურ მუშათა კლუბის შენობაში (პლეხ. პრ. № 123) იხსნება **არსენალის რაიონის მე-9 რაიონული პარტიული კონფერენცია.**

დღის წესრიგი:

1) მოხსენება შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ,
2) კ. პ. რაიკომის ანგარიში და ა. ლ. კ. კ. რაიკომის თანამოხსენება,
3) სარევიზიო კომისიის ანგარიში,
4) მოხსენება კოოპერაციის შესახებ.
5) რაიკომის, სარევიზიო კომისიის და დელეგატების არჩევა თბილისის სამაზრო-საქალაქო პარტკონფერენციაზე.

არჩეულ დელეგატებს მანდატების მიღება შეუძლიათ რაიკომის საორგანიზაციო განყოფილებაში 9-დან 8 საათამდე.

— საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ დღეს, 13 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე აგიტპროპმუშაკის კაბინეტში (რუსთაველის თეატრის შენობა მე-3-ე სართული) შესდგება ოქტომბრის დღესასწაულის ჩამტარებელ ქალაქის რაიონის ყველა დაწესებულება-წარმოებათა კომისიების თათბირი. ადგილობრივი კომისიები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ თათბირზე მასალები მათ მიერ ჩატარებულ მუშაობის შესახებ.

— დღეს, 13 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე შესდგება სახელმ. უნივერსიტეტთან არსებულ ა. ლ. კ. კ. უჯრედთა ბიურო-კოლექტივის სხდომა. ბიურო-კოლექტივის წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა. ამასთანავე უნდა დაესწრონ ის ამხანაგებიც, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადებები.

— ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 13 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს მცირე დარბაზში შესდგება საქარხნო-საფაბრიკო ადგილკომების ფრაქციების კონფერენცია კომპარტიის უჯრედების მდივნებთან ერთად.

დღის წესრიგშია: მოხსენება საქარხნო-საფაბრიკო ადგილკომების გადარჩევის შესახებ და 2) ფრაქციების მუშაობის შესახებ.

გულდათუთქულნი მამა ივანე შვილებით ნინა და ვალოდია იოსელიანები აუწყებენ ნათ სავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ 12 ოქტომბერს, დილით გარდაიცვალა მათთვის საყვარელი პირველის შვილი, დანარჩენების ძმა, სახელ-წიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკუმის ფაკულტეტის სტუდენტი

შალვა (ოტია) ივანეს ძე იოსელიანი

გამოსვენება საკუთარ ბინიდან (ფასანაურის ქუჩა № 2) შაბათს დღის 3 ნახევარ საათზე, პანაშვიდი ყოველ დღე 5 საათზე პირველი პანაშვიდი 13 ოქტომბერს არამიანცის საავათმყოფოში. დ. 1—1

აპოლლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი

მსოფლიო კომიკი ბესტერ კეიტონი საუკეთესო სურათი
სამი ეპოქა

პირველად თბილისში! ამერიკის კინო-წარმ. ახალი სურათი
„ვიქტორიის დაღუპვა"
მთავარ როლში ამერიკის ცნობილი სახიობი ქალი ბეტტი კომპსონი
შენიშვნა: ადგილები პარტერში დანომრილია

„მეჟრაბპომ-რუს"-ის იშვიათი სურათი
„კაცი რესტორანიდან"
დადგმა ი. ა. პროტაზანოვის
შენიშვნა: ადგილები პარტერში დანომრილია

ამერიკის ცნობილი მსახიობი ქალი
რუფ როლლანდი სურათში
„მზის საცოლე" 1 და 2 სერია ერთად

ი—11 ნ. 1388

„კომუნისტ"
გაზეთზე ხელის მოწერა
— და —
განცხადებების მიღება
სწარმოებს
მთავარ კანტორაში
რუსთაველის პრ. № 34
ტელეფონი 8—81.

იმ პირთა, რომლებიც არ ღებულობენ გაზ. „კომუნისტს", სწორი მისამართების უქონლობის გამო.

№ რიგზე	ხელის მომწერის სახელი და გვარი	გაზ. რაოდ.	ხელის მომწერის მოცემული მისამართი	რომ. თვ. გამ.
1	ქვრივიშვილი	1	საბჭოს ქუჩა № 24	I | X
2	რცხილაძე გიორგი	1	საბჭოს ქ. № 133 ფოსტის სია	„
3	ჭელიძე გინეკოლ. ინსტ.	1	გოგოლევის ქუჩა № 41	„
4	მუმლაძე ვასო საყ.	1	ორჯონიკიძის ქუჩა. № 45	„
5	შოშიტაშვილი მთ. სარ.	1	ალაჯანის ქუჩა № 8	„
6	იშხანაშვილი	1	საბჭოს ქუჩა № 199 გადასულ.	„
7	სამხარაძე წიგ.	1	ელისაბედის № 63 ფოსტ. სია	„
8	სტურუა იპოლიტე	1	სტავროპოლის 5 მოძ. დარ. სია	„

ზემოთ აღნიშნულ პირთ სთხოვენ აცნობონ ექსპედიციას თავიანთი სწორი მისამართი, რათა გაზეთის გზავნა იქნას აღდგენილი.

გაზეთ „კომუნისტის" ექსპედიცია
მისამართი: კამოს ქუჩა (ყ. დიდიმთავრის) № 68 ტელ. 5—43

გერმანელთა საავადმყოფო
განახლდა კანის და ვენერიულ ავადმყოფთა მიღება
3—1—ქვ. 112

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს" პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნ ო ე"-ს პირდაპირ 25—

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული და სიფილისი.
დილ. 9—12, საღ. 6—8. პლეხანოვის პროსპექტი № 7, კ. მარქსის ძეგლთან. შესავალი ამ სახლის კუთხიდან. 5—2

ექიმი ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25 | 1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—1

ექიმი მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და დაიწყო ავადმყ.
მიღება
შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონით და სინათლით მკურნალობა
ავადმყ. მიღება ახალი მისამართით ლენინის ქუჩა (ოლღას ქ.) № 11 საღ. 7—8 საათ. ტელ. 4—82 25—1

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 10—1 საათამდე და საღ 6—7 საათამდე
როგორც მოზრდილთა, ისე ბავშვთა შინაგანი ორგანოებისა და ნერვიული სისტემის ავადმყოფობათა მკურნალობა. გიპნოზი.
კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩა № 17, ზემო სართული. 25—

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 5—21

ექიმი ქ. ს. ფონ-ირტელი
საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყოფობანი
(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი და მათი შედეგები) სპეციალისტი. ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილის 7 ს-დან 11 ს-მდე, საღამოს 5—7 ს-მდე. ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედანის ახლო, (ყოფ. ვორონცოვის 3645—18—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს სანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02

ხელოვნურ კბილების
მომზადება და ჩასმა (კაუჩუკზე და ოქროზე) შეღავათიან ფასებში სწარმოებს სტომატოლოგიურ კლინიკასთან არსებულ კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე—პლეხანოვის გამზირი № 126 ავადმყოფობის მიღება სწარმოებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით საღამოს 4—6 საათამდე. 25—1

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ელექტრო-სინათლით მკურნალობის კაბინეტი.
ი. გ. კ ნტოროვიჩი
მიღება 11-დან 3-დე და 6-დან 8-დე კოსმეტიური მასაჟი და პირის სახის მკურნალობა უცხოეთის უახლეს მეთოდებით.
საბა-სულხანის ქ. (ყოფ. ფრეილინის). 1—25

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—

დაკარგა ინვალიდობის მოწმობა გაცემული სოც. უზრუნვ. სახ-კომისარიატის მიერ სანდრო სონღულაშვილის სახელზე, ჩ. გ. 119

დაკარგა კოოპერატივის წიგნაკი № 17625 ხ. კაპლატაძის სახელზე, ჩ. გ. 118

დაკარგა სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 1028 და პირადობის მოწმობა № 803 ალექსი ჩხენკელის სახელზე, ჩ. გ. 120

დაკარგა სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი მოცემული დუშეთის მაზრის სამხედრო კომისარიატის მიერ შალვა გადილიას სახელზე, ჩ. გ. 123

დაკარგა ლომბარდის ქვითარი № 64020 ისაკა იაკობისძე ხელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 122

დაკარგა სიღნაღის მაზრის სამხ. კომისარიატიდან გაცემული ჯარის გარეშე სამსახურის წიგნაკი გიგა ივანესძე გულიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 123

ქ. ხონსა
და მის რაიონში
გაც. „კომუნისტ"-ზე
და ჟურ. „ახალ გზა"-ზე
ხელის მოწერას და განცხადებების მიღებას აწარმოებს
მხოლოდ
რწმუნებული
მიტროფანე გოლდავაძე
„კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა
3—1

ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტი
ამით აცხადებს, რომ მისს ფართლის საჯაჭროს, ა. წ. 1-ლ აგვისტოდან
ლიკვიდაცია ეყო
ნ. 37 2—1. ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტი.

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
ს. ბოჭორიშვილი

ამით აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში შაუმიანის ქუჩაზე სახლი № 4 დანიშნულია 26 ოქტომბერს 1927 წ. დილის 11 საათზე საჯარო ვაჭრობით გაყიდვა რაფიელ ძოწეს-ძე რიქინაშვილის ერთი ორ სართულიანი ქვიტკირის სახლის, მდებარის იმავე ქუჩაზე, რომლის ძირა სართული შესდგება ორი ოთახისაგან და ზედა სართული ხუთი საცხოვრებელი ოთახისაგან შუშაბანდით და ერთი სამზარეულოსაგან, აგებული ნაკვეთ მიწაზე ზომით 40 ოთხკუთხი საჟენი, შეფასებული 5500 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და შენობა გაიყიდება სახ. მეურ. უმ. საბჭოს და სხვების პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ და ვისაც სურს მონაწილეობის მიღება საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. და შენობის შეფასების 10% საწინდარი. ნ. 45

ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 25 ოქტომბერს 1927 წ. დილის 11 საათზე ადგილობ ქ. ქუთაისში ზდანოვიჩის ქუჩაზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** გაიყიდება იოსებ ალექსანდრეს-ძე მორჩაძის ხის სახლი და აგურის სამზარეულო № 49 სახლი შეიცავს ოთხ საცხოვრებელ ოთახს და სამზარეულო ორ თვალს დახურული ყავრით, აგებულები საეზოვე ნაკვეთ მიწაზე ზომით მიახლოვებით 100 კვად. საჟენი, კალისტრატე ბურცხრიკიძის და სხვების ვალის დასაკმაყოფილებლად. სახლი და სამზარეულო დაგირავებული აქვს კალისტრატე ბუცხრიკაძეს 740 მანეთში სახლი და სამზარეულო დაფასებულია 1000 მანეთათ საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი 10%. ნ. 45

ზუგდიდის და ხობის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ი. დგებუაძე

ამით აცხადებს, რომ 23 ოქტომბერს 1927 წ. დღის 12 საათზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** ხეთის თემის აღმასკომის სამმართველოში. მაკარი გუდუს-ძე ქირიასი მოძრავი ქონების, ხის დუქანი შეფასებული 220 მანეთად, დასაკმაყოფილებლად დათიკო კიკნაველიძისა, თანახმად სენაკის უბნის სახალხო სასამართლოსაგან 13 სექტემბრიდან 1927 წ. თარიღით № 5728 გაცემული ბრძანების ფურცლისა.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან. ნ. 44

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68